ბიბლიოთეკა

**პარლამენტის თავმჯდომარე**

# ზურაბ ჟვანიამ მიიღო დოქტორი ჰასან რუჰანი



**18 ივლისს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ მიიღო ირანის ისლამური რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი დოქტორი ჰასან რუჰანი.**

„საქართველოსა და ირანის ისლამური რესპუბლიკის ისტორიული ურთიერთობა დღეს თვისებრივად ახალ საფეხურზე ვითარდება, როგორც სავაჭრო-ეკონომიკურ სფეროში, ისე პოლიტიკურ საკითხებში, რაც უპირველესად, საქართველოს სახელმწიფოს პრეზიდენტისა და მთლიანად ხელისუფლების კეთილი ნების შედეგია", განაცხადა შეხვედრისას საპატიო სტუმარმა.

მისი შეფასებით, კავკასიის რეგიონში საქართველოს გადამწყვეტი სტრატეგიული ფუნქცია აკისრია სწორედ მშვიდობის დამყარებისა და სტაბილური უშიშროების შექმნის მხრივ, რაც ირანის სახელმწიფოებრივ ინტერესებსაც ემსახურება. დოქტორ ჰასან რუჰანის აზრით, მისი ვიზიტის შედეგად, უკვე გამოიკვეთა, რომ ჩვენს ორ ქვეყანას შორის რეგიონული ... საკითხებში თანა... გაღრმავებას კარგ... ეყრება. საპატიო ს... ნიშნა, თუ რაოდ... მნიშვნელობა აქვს ი... ქართველოს შორ... ვალიანი სტრატეგ... ტნიორობის გააქტიურებას,

იხ. მე-2 გვ.

**სახელმწიფო მინისტრი**

## საგადასახადო შემოსავლის მობილიზების გაუმჯობესება ადმინისტრირების გამკაცრებით გახდა შესაძლებელი

წინასწარი მონაცემებით თბილისის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების გეგმა საგადასახადო დეპარტამენტმა 30 პროცენტით შეასრულა, საბაჟომ – 28 პროცენტით, ცენტრალურმა და ადგილობრივმა ბიუჯეტებმა კი –27-27 პროცენტით. რაც შეეხება სახელმწიფო ფონდების გეგმას, იგი სადღეისოდ 55 პროცენტითაა შესრულებული. ფონდების შევსების ამგვარი ზრდის ტემპი კი მნიშვნელოვანწილად განაპირობა ბოლო დროს სოციალურ დავალიანებათა დაფარვამ.

იხ. მე-2 გვ.

**ანონსი**

**ხვალ ჩვენს გაზეთში წაიკითხავთ:**

- პრეზიდენტების სიტყვა, რომელიც 2,9 მილიარდი აშშ დოლარი ღირს – ინტერვიუ გიორგი ჭანტურიასთან და ვალერ ალესკეროვთან.
- საქართველოს კანონი არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ.

**ჩვენი გაზეთი ინტერნეტში:**
http://www.opentext.ge/sakartvelos-respublika

სამ დღეში ჩვენს გაზეთს ინტერნეტით გაეცნო 5754 მკითხველი. მათ შორის, 56% აშშ-დან, 20% – გერმანიიდან.

„დილა ამ გაზეთის გადაშლით დაიწყეთ..." ე. შევარდნაძე

# საქართველოს რესპუბლიკა

სნსკ — საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია — Georgian International Oil Corporation

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს. №179 (3920) პარასკევი, 20 ივლისი, 2001 წელი. ფასი 50 თეთრი.

**კანონმდებლები**

## ოპოზიციამ რიგგარეშე სესია დატოვა

მას შემდეგ, რაც პარლამენტმა საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის თაობაზე 1999 წლის სტამბოლის სამიტის შეთანხმების პუნქტების შეუსრულებლობის მიზეზებისა და მათი დაუყოვნებლივ აღმოფხვრის შესახებ იმსჯელა და დადგენილებაც მიიღო, საპარლამენტო ოპოზიციამ რიგგარეშე სესია დატოვა. დარბაზში დარჩენილმა უმრავლესობამ კი რიგგარეშე სესიის დღის წესრიგი დაამტკიცა.

პარლამენტმა პირველი მოსმენით დაიწყო „ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სფეროს სახელმწიფო მართვისა და რეგულირების წესის შესახებ" კანონპროექტის განხილვა. სესიის დღის წესრიგში შეიტანეს აგრეთვე რამდენიმე საკითხი, მათ შორის საგადასახადო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

საქინფორმი.

**პრეზიდენტი**

## ირანი მხარს უჭერს ერთიან და ძლიერ საქართველოს

**19 ივლისს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ირანის ისლამური რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი ჰასან რუჰანი თანმხლებ პირებთან ერთად.**



„ჩვენი სურვილია, ვითანამშრომლოთ ძლიერ და აყვავებულ საქართველოსთან, საქართველოს ძალა კი მის ტერიტორიულ მთლიანობასა და ერთიანობაშია. სწორედ ამიტომ, ირანის ისლამური რესპუბლიკა მხარს უჭერს ერთიან და ძლიერ საქართველოს", – განაცხადა შეხვედრაზე ირანის ისლამური რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა ჰასან რუჰანმა.

შეხვედრაზე მხარეებმა ისაუბრეს ირან-საქართველოს ურთიერთობაზე. ორმხრივი შეფასებით, ეს ურთიერთობა დამაკმაყოფილებელია, თუმცა პოტენციალი გაცილებით დიდია და სასურველია მისი სრულად ამოქმედება. ნაყოფიერად ვითარდება თანამშრომლობა კულტურის სფეროში. ამ თვალსაზრისით, ჰასან რუჰანის განცხადებით, ირანში ძალზე მაღალი შეფასება მისცეს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის ვიზიტს. მისივე თქმით, მნიშვნელოვანი იყო საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას ვიზიტი ირანში. „მივესალმებით მის წინადადებას, რომ გაიმართოს რეგიონის ქვეყნების პარლამენტების ერთობლივი სხდომა, ასევე, მნიშვნელოვანი იქნება უშიშროების საბჭოების მდივანთა სხდომის გამართვა. საერთოდ, უშიშროების საბჭოების მაღალი დონე, როგორც ირანში, ასევე საქართველოში ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნების თანამშრომლობის თვისებრივად ახალ საფეხურზე აყვანას,

იხ. მე-2 გვ.

**გიხაროდეს!**

## 113-დან 68 გოგონაა 45 – ბიჭი



გუშინ თბილისის სამშობიარო სახლებიდან ჩვენმა მახარობლებმა შეგვატყობინეს:

– სამშობიარო სახლ „ორიონში" (მდებარეობს დიღმის დასახლებაში) პირველი ივლისიდან დღემდე 53 ბავშვი დაიბადა, აქედან 30 გოგონაა, 23 ბიჭი. ჭიათურელი ნატალია ხვედელიძე ჩვენთან მეორე შვილს ელოდება, მზრუნველობას არ მოვაკლებთ, – გვაცნობა ექიმ-გინეკოლოგმა ნანა მაისურაძემ.

– მარტო პირველი ივლისიდან 10 ივლისის ჩათვლით (მომდევნო დღეების მონაცემებს „სიმართლის წიგნიდან" დავაჯამებთ და გადმოგცემთ) 60 ბავშვი დაიბადა, აქედან 22 ვაჟია, დაგვიკავშირდა №5 სამშობიარო სახლიდან (მდებარეობს თემქის დასახლებაში) უფროსი ბებიაქალი იამზე ერისთავი... ასე, რომ დედაქალაქის ამ ორ სამშობიარო სახლში ორი კვირის განმავლობაში 68 გოგონა და 45 ბიჭი უფლის ნაჩუქარია.

გაიზარდონ!

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

## მადლობის წერილი საქართველოს პრეზიდენტს

საქართველოს კომპოზიტორთა საერთო-ეროვნული შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარემ ეკა აზარაშვილმა მადლობის წერილი გაუგზავნა საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს. გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორი, რომელსაც ამ დღეებში 65 წელი შეუსრულდა, უღიდეს მადლობას მოახსენებს ქვეყნის მეთაურს გულთბილი მილოცვისა და საუკეთესო სურვილებისათვის. „მერწმუნეთ, ქართველი კომპოზიტორები, ჩვენი კავშირის მთელი კოლექტივი, არსებული დიდი სიძნელეების მიუხედავად, ყველაფერს იღონებენ იმისათვის, რომ განავითარონ ეროვნული მუსიკალური ხელოვნების დიდებული ტრადიციები და ახალი შემოქმედებითი წარმატებებით ხელი შეუწყონ საქართველოსა და ქართველი ხალხის საერთაშორისო ავტორიტეტის განმტკიცებას. პირადად მე ძალას არ დავიშურებ ამ მამულიშვილური საქმის განხორციელებისათვის. დარწმუნებული ვართ, რომ თქვენ, როგორც ყოველთვის, ყურადღებას არ მოაკლებთ ქართველ კომპოზიტორებსა და, საერთოდ, მთელ ქართულ მუსიკალურ ხელოვნებას", – ნათქვამია წერილში.

საქინფორმი.



**ალოობა**

## სიუხვის მადლი ქიზიყში

ივლისის მცხუნვარე მზე დაჰნათოდა „მეფენილს", „ნატბეკს", „ნაომარსა" და „ვაკეს". ოქროსფრად მოლივლივე თავთავთა ზღვა ღელავდა და მოუთმენლად ელოდა „ზღვის ხომალდებად" წოდებულ კომბაინთა გამოჩენას.

ყანის პირას სამი უზარმაზარი მანქანა იდგა, რომელთაც გახარებული ხალხი შემოხვეოდა. კომბაინი პირველად ვნახე ასე ახლოს.

ქიზიყში ვიყავი, სიღნაღის რაიონის ერთ-ერთ დიდ და ლამაზ სოფელ ბოდბეში, ალოობა უნდა მენახა. აერთაშულებულ ხალხში ჩემი მასპინძელი, ახალგაზრდა ბოდბელი ფერმერი მიხეილ მაჭარაშვილი მოვძებნე და ხალხის თავშეყრისა და სიხარულის მიზეზი ვკითხე.

– ამ ხალხს რომ უყურებ, ყანა ყველას მოსამკალი აქვს, კომბაინები არ გვყოფნის, თუ ამინდი გაფუჭდა და პურის მოსავალი დროზე ვერ ავიღეთ, გლეხკაცის შრომა წყალში ჩაიყრება, – მიპასუხა მან.

ქიზიყი კახეთის ერთ-ერთი ულამაზესი კუთხეა. ჩვენ ბატონი არ გვყოლიაო, – ახლაც ამბობენ ქიზიყელები. ბოდბე დიდი სოფელია, ძველი, ისტორიული სახელით. აქ უცხოვრია წმინდა ნინოს. აქვე გვერდით, ზემო მაღაროში ჰქონდა საზაფხულო სასახლე „პატარა კახს".

ამაყი და მშრომელი ხალხი ცხოვრობს ბოდბეში, სამშობლოსა და ოჯახის მოყვარული. მშვენიერი სახლ-კარი აქვს მოსახლეობის უმრავლესობას. ეს ძველი დროის „ნაჩუქარია".

იხ. მე-2 გვ.

**სიტუაცია**

## კახელებმა მძევლები გაათავისუფლეს, ახლა ქისტების ჯერია

კახეთში ლუკა რამაზაშვილის მეთაურობით შექმნილმა სახალხო რაზმმა, რომელმაც ხუთშაბათს ღამით ჩეჩნებთან მოლაპარაკებების შედეგად მძევლად აყვანილი 5 ქისტი და 1 ჩეჩენი უპირობოდ გაათავისუფლა, დილით პანკისის ხეობის მიმართულებით გზები გახსნა.

იხ. მე-2 გვ.

გამოიწერეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა" თავის ფასში ტელეფონით! ხელმოწერის ვადები: 1 თვით, 2 თვით, 3 თვით, 6 თვით, 12 თვით. 98-89-09, 26-10-80, (899) 55-30-97 ფოსტის ყუთები და დამონტაჟება უფასოა! „პრეს-მოზილი"

**აქცენტი**

## „ცრუ დიმიტრი", „ცრუ ჟვანია", და... ქართული გენეტიკა

დღევანდელი პუბლიკაციის მომზადება ლამის „მოამბის" გუშინწინდელმა გადაცემამ გადამაწყვეტინა, რომლის მხოლოდ ბოლო ნაწილს მივუსწარი სამსახურიდან გვიან დაბრუნებულმა.

– რატომ ახლდითო ფრაქცია „აფხაზეთის" წევრები სამეგრელოში პარლამენტის თავმჯდომარეს? – ამუ-...

**თუ მართლა გვიყვარს სამშობლო, ბრეხტის გრუშეს მაინც მივბაძოთ „კავკასიური ცარცის წრიდან": მის მსგავსად ერთ-ერთმა მხარემ ხელი ვუშვათ პარტიული ამბიციების მსხვერპლ-გასაგლეჯად გამზადებულ საქართველოს!**

**ინფორმაცია**

### მოითხოვეს სამხედრო ბაზის უპირობო გაყვანა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან თამაზ ნადარეიშვილთან შეიკრიბნენ საპარლამენტო ფრაქცია „აფხაზეთისა" და „ახალი აფხაზეთის" წარმომადგენლები და კატეგორიულად მოითხოვეს გუდაუთის ბაზის გაყვანა სტამბოლის სამიტის გადაწყვეტილების შესაბამისად. რაც შეეხება საკონსტიტუციო ცვლილებას და თვითმმართველობის არჩევნებს, კონსულტაციები გრძელდება და საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არა აქვთ.

### დიტერ ბოდენმა მოლაპარაკებათა პროცესის ჩაშლას შეცდომა უწოდა

საქართველოში გაეროს მისიის ხელმძღვანელის დიტერ ბოდენის ინიციატივით, სოხუმში გაიმართა მისი შეხვედრა სეპარატისტთა პრემიერ-მინისტრთან ანრი ჯერგენიასთან, რომელიც დახურულ კარს მიღმა საათნახევარი გაგრძელდა. განიხილეს ქართულ და აფხაზურ მხარეთა მშვიდობიანი მოლაპარაკების პროცესის განახლების შესაძლებლობები, რაც გულრიფშის რაიონში განვითარებული მოვლენების გამო შეწყდა. როგორც ცნობილია, უცნობმა პირებმა მოკლეს 4 და ტყვედ აიყვანეს 5 კაცი, რის გამოც აფხაზურმა მხარემ უარი განაცხადა თბილისში დაგეგმილი საკოორდინაციო საბჭოს სხდომაში მონაწილეობის მიღებაზე.

დიტერ ბოდენმა აფხაზური მხარის უარს მოლაპარაკებაში მონაწილეობაზე შეცდომა უწოდა. გაეროს მისიის ხელმძღვანელი იმედოვნებს, რომ სოხუმიდან მიიღებს მონაცემებს იმ პირების შესახებ, რომელთაც კავშირი აქვთ ინციდენტთან.

### გადაზიდულია 6 მილიონ ტონაზე მეტი ტვირთი

6,005 მილიონი ტონა ტვირთი გადაიზიდა ქვეყანაში რკინიგზით მიმდინარე წლის პირველ ნახევარში, აქედან 4,131 მილიონი ტონა ნავთობი და ნავთობპროდუქტებია, 1,874 მილიონი ტონა მშრალი ტვირთები.

### „კონტიტრეიდი" მეჩაიეთა მოთხოვნას დააკმაყოფილებს

ივლისის მესამე დეკადაში იწყება ჩაის ფოთლის მეორე ვეგეტაცია. ფირმა „კონტიტრეიდი", რომელმაც მეჩაიეობის აღორძინების რესპუბლიკური პროგრამის ფარგლებში ტენდერი მოიგო, ქართულ ჩაის ჰყიდის ინგლისში, საფრანგეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და გერმანიაში. სწორედ ამიტომ არის, რომ მოკრეფილი ჩაის ფოთლის ხარისხს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. თუმცა ისიც არის, რომ მეჩაიეები, თავის მხრივ, მოითხოვენ შრომის ანაზღაურებას. ფირმა „კონტიტრეიდის" წარმომადგენელთა ინფორმაციით, მეჩაიეთა კუთვნილი ფულის გაცემა უახლოეს დღეებში დაიწყება.

### ფრთხილად! შეირგეთ ზაფხული

მიმდინარე წლის მხოლოდ ივლისის თვეში ზღვაზე, მდინარეებზე, ტბებზე და წყალსაცავებზე უსაფრთხოების წესების დაუცველობის გამო 9 ადამიანი დაიხრჩო, რომელთაგან 7 მცირეწლოვანი იყო. ადამიანთა შემდგომი უაზრო მსხვერპლის თავიდან ასაცილებლად, მოსახლეობამ მაქსიმალურად უნდა დაიცვას უსაფრთხოების წესები და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მოზარდებს.

ინფორმაციები მოგვაწოდეს იპრინდამ, პრაიმ-ნიუსმა, საქინფორმმა.

**დღის თემა**

## პოლიცია, როგორიც არის და რომელსაც უტევს ყველა, ვისაც არ ეზარება

### საუბარი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრთან კახა თარგამაძესთან

– ჩვენი „კრიტიკოსების" ყველაზე დიდი ნაკლი, – განაგრძობს საუბარს კახა თარგამაძე, – რომელსაც ისინი ვერ გრძნობენ, არის დილეტანტიზმი და, უფრო მეტიც, – პრიმიტივიზმი. ზოგს ოპერატიული მუშაობა, დანაშაულის გახსნა „ბორჯომის" ბოთლის გახსნასავით მარტივი და იოლი წარმოუდგენია. ამ დროს ეს არის ურთულესი დარგი, რომელსაც პროფესიონალები ემსახურებიან. მაგრამ, რა უნდა გააკეთო, როცა შექმნილი მდგომარეობის გამო პროფესიონალი გამომძიებლები გარბიან სამსახურიდან?! ეს მარტო ხელფასების პრობლემის ბრალი არ არის, მორალური ტერორის ბრალია.

დასასრული, დასაწყისი იხ. „სრ" №№177, 178.

იხ. მე-3 გვ.

**გვწერენ**

## ჰუმანურობამ და სამართლიანობამ გაიმარჯვა

მოსაშვილის ქუჩის მოსახლეობის სახელით გვინდა გადმოგცეთ გულითადი მადლობა იმ თანადგომისათვის, რაც თქვენმა გაზეთმა გამოიჩინა ჩვენი გულისწუხილის გაზიარებისას და იმ მძიმე სიტუაციის გადალახვისას, რომელშიც ჩაგვაყენა დისკო-კლუბ „ტროპიკანას" „საქმიანობამ".

იხ. მე-4 გვ.

**გვირეკავენ, გვეკითხებიან**

– ვარ დიასახლისი, აღვზარდე რვა შვილი, რომელთაგანაც ამჟამად ორი პატიმრობაშია, ხოლო სამი ინვალიდია. მე პირადად არასოდეს არ მიმუშავია. ამჟამად 60 წლის ვარ. მეკუთვნის თუ არა მოხუცებულობის პენსია?

ოლიკო ბალდასტანიშვილი.

– მოხუცებულობით სახელმწიფო პენსია ენიშნებათ ქალებს 60 წლის შესრულების შემდეგ, 20 წლის შრომის სტაჟით, მაგრამ როდესაც ქალს შრომის სტაჟი არ გააჩნია, სოციალური პენსია მხოლოდ 65 წლის შესრულების შემდეგ დაენიშნება.

ირინე ლლონტი.

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-16-90, 93-28-54.

**ლარის კურსი**

20 ივლისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. | 1 | 2.9358 ლარი |
| გერმანული მარკა | 1 | 0.9249 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.0705 ლარი |
| ევრო | 1 | 1.8088 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0707 ლარი |

**უკანასკნელ საათს**



დიდ ბრიტანეთში პირველ სახელმწიფო ვიზიტად მყოფმა აშშ პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა უარყო ბრალდება, თითქოს იგი იზოლაციონიზმის პოლიტიკას ატარებს.

გუშინ ჯორჯ ბუში დედოფალმა ელისაბედ მეორემ მიიღო, მოგვიანებით კი ტონი ბლერს შეხვდა.

დღეს ორივე ქვეყნის ლიდერები გენუამი „დიდი რვეულის" სამიტის მუშაობაში მიიღებენ მონაწილეობას.

თელ-ავივის ჩრდილოეთით, ქალაქ ნეთანიაში ძლიერი აფეთქება მოხდა. ბომბი ავტომანქანაში იყო ჩადებული.

ისრაელმა უარყო პალესტინის ტერიტორიაზე საერთაშორისო მეთვალყურეთა განთავსების წინადადება. აშშ სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმაც ნაადრევი უწოდა ამ ინიციატივას.

**ინტერპანორამა**



იუგოსლავიის ექს-პრეზიდენტის სლობოდან მილოშევიჩის ...

იხ. მე-2 გვ.



ბონში დაიწყო 180 ქვეყნის გარემოს დაცვის მინისტრების სხდომა. კიოტოს შეთანხმების შესრულება, როგორც ჩანს, განწირულია. ევროპის წარმომადგენლებმა უკვე ჩაიქნიეს ხელი აშშ-ზე. ახლა იმასღა ცდილობენ, როგორმე დაითანხმონ იაპონია, ხელი მოაწეროს ოქმს.

„საქართველოს რესპუბლიკა" — ავიაკომპანია „აირზენა-საქართველოს ავიახაზების" თვითმფრინავებში.

პრეზიდენტი



## ირანი მხარს უჭერს ერთიან და ძლიერ საქართველოს

(პირველი გვერდიდან)

მით უმეტეს კავკასიის უშიშროება ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია მრავალი მიმართულებით. ირანი მხარს უჭერს საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივას მშვიდობიანი კავკასიის შესახებ“, — ხაზგასმით აღნიშნა ჰასან რუჰანმა. შეხვედრაზე იმსჯელეს ორი ქვეყნის ურთიერთობის შემდგომ გამარტივებაზე, რაც, თავის მხრივ, ჰარმონიული საბაჟო ტარიფების შემუშავებას, ურთიერთხელსაყრელი პროექტების ამოქმედებას და გარკვეულ ეტაპზე სავიზო რეჟიმის გაუქმებას გულისხმობს.

* * *

**19 ივლისს მთავრობის კრწანისის რეზიდენციაში ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა ნუგზარ საჯაიამ და ირანის ისლამური რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა ჰასან რუჰანმა ხელი მოაწერეს ურთიერთგაგების მემორანდუმს.**

საქინფორმი.

პარლამენტის თავმჯდომარე

## ზურაბ ჟვანიამ მიიღო დოქტორი ჰასან რუჰანი

(პირველი გვერდიდან)

მათ შორის ეკონომიკური პროექტების განხორციელების თვალსაზრისით. სტუმარმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ირანი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ განაცხადა, რომ ირანის ისლამური რესპუბლიკა საქართველოსათვის დიდი მეზობელია, რომელიც რეგიონში განსაკუთრებულ როლს ასრულებს და აღნიშნა, რომ ეს როლი დროთა განმავლობაში კიდევ უფრო გაიზრდება. ზურაბ ჟვანიამ გაიხსენა ირანის ისლამურ რესპუბლიკაში მისი ამასწინანდელი ვიზიტი და გულთბილი შეხვედრები პრეზიდენტ ხათამისა და ირანის დიდი მეჯლისის თავმჯდომარესთან ქარუბისთან, რომლის დროსაც მრავალმხრივი თანაბარპარტნიორული თანამშრომლობის პროექტები დაისახა. ზურაბ ჟვანიამ მეტად დიდი შეფასება მისცა ირანის მხარის ინიციატივას საქართველოს ტერიტორიაზე დიდი გაზსადენის გაყვანის პროექტთან დაკავშირებით, რაც მისი აზრით, ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალს მნიშვნელოვნად გაზრდის.

შეხვედრაზე შეეხნენ აგრეთვე, ჯერ კიდევ ირანში ვიზიტისას ზურაბ ჟვანიას მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, შავი და კასპიის ზღვების აუზების ექვსი ქვეყნის საპარლამენტო ფორუმის შექმნის შესახებ, რასაც ირანის ისლამური რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა რეალური იდეა უწოდა და განაცხადა, რომ მისი ქვეყანა მზად არის მხარი დაუჭიროს ამ წინადადებას.

დასასრულ, ზურაბ ჟვანიამ აღნიშნა, რომ დღეს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა მხოლოდ მცირე ნაწილია იმ რეალური პოტენციალისა, რომელიც შეიძლება მომავალში ამოქმედდეს თანამშრომლობის ყველა სფეროში. ეს მოსაზრება ირანის ისლამური რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმაც გაიზიარა.

საქინფორმი.

სახელმწიფო მინისტრი

## საგადასახადო შემოსავლის მობილიზების გაუმჯობესება ადმინისტრირების გამკაცრებით გახდა შესაძლებელი

(პირველი გვერდიდან)

19 ივლისს სახელმწიფო მინისტრთან გიორგი არსენიშვილთან გამართულ საგადასახადო შემოსავლების მობილიზაციის გაუმჯობესების კომისიის ოპერატიულ თათბირზე საგადასახადო შემოსავლების მინისტრმა მიხეილ მაჭავარიანმა განაცხადა, რომ მიმდინარე თვეში მობილიზებული შემოსავლის რაოდენობა ივნისის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 1,5 მილიონი ლარით აღემატება. „საგადასახადო შემოსავლის მობილიზების გაუმჯობესება ადმინისტრირების გამკაცრებითა და სტრუქტურული გაჯანსაღების საფუძველზე გახდა შესაძლებელი“, — განაცხადა მიხეილ მაჭავარიანმა.



მედიანიუსის ფოტო.

საგადასახადო დეპარტამენტის ხელმძღვანელობას დასახული პარამეტრის შესრულების იმედი აქვს, საბაჟო სფერო, ადმინისტრირების გაუმჯობესების მიუხედავად, კვლავ დიდი ამოცანის წინაშე დგას. იმის მიუხედავად, რომ ივნისში ნავთობპროდუქტების დაბეგვრიდან შემოსული თანხის რაოდენობამ ეგრეთ წოდებულ რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია, ივლისში საბაჟო დეპარტამენტს ყველაზე დიდ პრობლემას საწვავის იმპორტიდან ამოსაღები ბეგარა უქმნის. რაც შეეხება ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტის აქილევსის ქუსლს — თამბაქოს ნაწარმს, ამ თვეშიც თამბაქოს იმპორტიდან თანხის აკრეფაც ერთგვარ სირთულეებთან არის დაკავშირებული. სამაგიეროდ, ადგილობრივი თამბაქოს მწარმოებელი კომპანიებიდან ბიუჯეტი კუთვნილ გადასახადს ერთმნიშვნელოვნად მიიღებს.

საგულისხმოა, რომ ისევ გაურკვეველია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდან ცენტრალურ ბიუჯეტში გადმოსარიცხი თანხის ბედი. საგადასახადო შემოსავლების მინისტრი ფარ-ხმლის დაყრას არ აპირებს. მისი თქმით, ირღვევა კანონი, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის მტკიცე პრინციპებს კი ჩვენმა საზოგადოებამ უკვე არაერთხელ დაუჭირა მხარი. მიხეილ მაჭავარიანმა დღის წესრიგში კიდევ ერთხელ დააყენა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ცენტრალური ხაზინის ფილიალის გახსნის აუცილებლობა და გადაუდებლობა. სახელმწიფო მინისტრის გიორგი არსენიშვილის თქმით, საგადასახადო შემოსავლების მობილიზაციის გაუმჯობესებისა და ქვეყნის ფინანსური სტაბილიზაციის მთავრობის კომისიების მუშაობასა და სხდომებში აუცილებლად უნდა მონაწილეობდნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელი პირები.

როგორც ოპერატიულ თათბირზე ითქვა, იმის მიუხედავად, რომ კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ერთგვარი პროგრესია მიღწეული, საქართველოში აღურიცხავი პროდუქციით ვაჭრობის აღმოფხვრა ხელისუფლებისათვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხად რჩება, ბიუჯეტისათვის კი — ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დამზარალებლად. როგორც საგანგებო ლეგიონის ხელმძღვანელმა თემურ ხევსურიანმა აღნიშნა, გამოვლენილია უკანონო ვაჭრობის არაერთი ფაქტი, უაქციზო პროდუქციის რეალიზაციაზე ასეულობით სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, მაგრამ დამნაშავეთა მიმართ სათანადო ზომები არ არის განხორციელებული. კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ყველაზე სერიოზული პრობლემა კი ის არის, რომ უაქციზო პროდუქციის დასაფასოებელი საწყობები ძირითადად გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯში, ცხინვალის რეგიონსა და ერგნეთის გადასასვლელზეა განთავსებული. ყველაზე სავალალო კი ისაა, რომ შესაბამისმა უწყებებმა ამგვარი საწყობების არსებობის შესახებ იციან, ხოლო ობიექტურ მიზეზთა გამო სათანადო ზომებს ვერ ახორციელებენ. საგანგებო ლეგიონის ხელმძღვანელის თქმით, აუცილებლად უნდა აღდგეს კარალეთის საგუშაგო პუნქტი, რადგან ეს არის ცხინვალისაკენ მიმავალი ერთადერთი ცენტრალური გზა.

სახელმწიფო მინისტრმა გიორგი არსენიშვილმა განაცხადა, რომ ახლო მომავალში ძალოვან უწყებათა, სასამართლო სისტემისა და პროკურატურის წარმომადგენლებმა ერთობლივად უნდა დასახონ აღნიშნული პრობლემის დაძლევის ყველა შესაძლო გზა. ხელისუფლებამ კიდევ უფრო უნდა გააააქტიუროს ფალსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებანი.

საქინფორმი.

სიტუაცია

## კახელებმა მძევლები გაათავისუფლეს, ახლა ქისტების ჯერია

(პირველი გვერდიდან)

ხეობის შესასვლელში გაჩერებული ჰუმანიტარული ტვირთით დატვირთული მანქანები რამაზაშვილმა თავის მომხრეებთან ერთად პირადად გააცილა დანიშნულების ადგილამდე. ახლა ჯერი ჩეჩნებზე და ქართველ სამართალდამცავებზეა. პანკისის ხეობაში ამჟამად საუკეთესო ფონია შექმნილი იმისათვის, რომ იქ სამართალდამცავებმა სიტუაციის გაკონტროლება შეძლონ. ამასთან, სახალხო რაზმელების ერთ-ერთ ძირითად მოთხოვნად კვლავ რჩება პანკისის ხეობაში მყოფი გატაცებულების გათავისუფლება. სარწმუნო მონაცემებით, ხეობაში თბილისიდან გასულ წელს გატაცებული ორი ესპანელი ბიზნესმენი, ასევე ადგილობრივი მცხოვრები ლია მაისურაძე და კიდევ რამდენიმე პირი იმყოფება, რომელთა გატაცების ფაქტები არ გახმაურებულა. რაც შეეხება კიდევ ორ გატაცებულს, იტალიის „მილანის“ ლეგიონერ კახი კალაძის ძმას ლევან კალაძეს და ლიბანელ ბიზნესმენს, სახალხო რაზმელებმა მათ შესახებ არაფერი იციან.

სახალხო რაზმელები მოითხოვენ პანკისის ხეობის გაკონტროლებას შინაგანი ჯარებისა და სხვა ძალოვანი უწყებების მიერ, რაც იქ კრიმინოგენული ვითარების მოწესრიგებას შეუწყობს ხელს. შეიარაღებული კახელები ითხოვენ აგრეთვე პანკისში თავშეფარებული კრიმინალების ქართველი სამართალდამცავებისათვის გადმოცემას.

პრაიმ-ნიუსი.

ალოობა

## სიუხვის მადლი ქიზიყში

(პირველი გვერდიდან)

ბოლო წლებში გაუჭირდა კახეთს, განსაკუთრებით კი ქიზიყს. მიწები კი დაურიგდათ, მაგრამ ბოდბის სავარგულები, ძირითადად, ურწყავ ზონაშია. არეულობის წლებში ხელოვნური სარწყავი სისტემაც განადგურდა. მექანიზაციაც გაიძარცვა და გვალვამაც თავისი დაღი დაასვა სოფელს. მოუვლელი და ნაგვალავი მიწა მოსავალს აღარ იძლეოდა, მით უმეტეს, თესლიც უხარისხო იყო. მინიმუმამდე დაეცა მზესუმზირის და ხორბლის მოსავლიანობა. შარშანდელი გვალვა უბედურების ბოლო წვეთი აღმოჩნდა როგორც მთელი კახეთისთვის, ისე ბოდბელი გლეხკაცისთვის. მოსავალს ვინ ჩივის, ივნისის დასაწყისში ბალახიც აღარ იყო საძოვრებზე, ნახევარი პირუტყვი დაიკლა საკვების უქონლობის გამო.

ეს ყველაფერი თავის მხრებზე გადაიტანა ჩემმა ახალგაზრდა მასპინძელმა. მიხეილ მაჭარაშვილმა სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, სწავლა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, ენერგეტიკის ფაკულტეტზე გააგრძელა. პარალელურად მუშაობაც დაიწყო მსს ქ. თბილისის დიდუბის რაიონულ განყოფილებაში. საშუალო სიმაღლის, მზით გარუჯული, ცისფერთვალება მიხეილ მაჭარაშვილი ხალისით იხსენებს თბილისში ცხოვრების, სტუდენტობის და მუშაობის წლებს. მომავალს სხვანაირად გეგმავდა, მაგრამ...

— და გარდამეცვალა, ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე, ამ უბედურებამ წელში გაწყვიტა ჩემი მშობლები, სიცოცხლე აღარ უნდოდათ. იძულებული გავხდი, სოფელში დავბრუნებულიყავი და სახლ-კარისთვის მიმეხედა. მაშინ ვფიქრობდი, დროებით-მეთქი. ბავშვობიდან ფიზიკურად არასოდეს მემუშავა. ისეთი დრო დაემთხვა, ხელს თუ არ გაანძრევდი, შიმშილით მოკვდებოდი, — სევდიანად მიყვება ჩემი რესპონდენტი, — ნელ-ნელა შევეჩვიე, მერე დავქორწინდი კიდეც. მალე პატარა გიორგიც შეგვეძინა. ხუთსულიან ოჯახს რჩენა ხომ უნდოდა, მეც თავს არ ვზოგავდი. ღვთის მადლით სახლ-კარი კარგი მაქვს, ეს მაინც არ მქონდა საზრუნავი. ფიზიკურ შრომას თანდათან მივეჩვიე. სოფელში ბევრი მობრუნდა ქალაქიდან, ვამუშავებდით მიწას, მოგვყავდა მზესუმზირა, ხორბალი, ქერი, ვუვლიდით ვენახს, მაგრამ მიწა მოსავალს იმდენს არ იძლეოდა, — არ იყო სასუქები და ნიადაგი გამოიფიტა, არ იყო შხამ-ქიმიკატები და ვენახი ნაცარმა გაანადგურა. ბევრმა ისევ საშოვარს მიაშურა, მეც, რომ არ დაგიმალო, შარშანდელი გვალვის შემდეგ ოჯახით თბილისში ვაპირებდი გადასვლას, ცოლ-შვილს შიმშილით ხომ არ დავხოცავდი. არადა, თქვენ რომ შარშანდელი გვალვა გენახათ... „ნაომრებში“ ნახევარმეტრიანი ნაპრალები იყო.

ბოდბელებს ხოდაბუნები „ნატბევში“, „ნაომარში“, „შეფენილსა“ და „ნაბამბრებში“ აქვთ.

„ნაომრისა“ და „ნატბევის“ ისტორიას ბავშვიც კი მოგიყვებათ ბოდბეში. ურიცხვი მტერი შემოსევია ქიზიყს, აულებელ სიმაგრეებად უქცევიათ კახელებს სიღნაღისა და ხორნაბუჯის ციხეები. დიდი ომები გამართულა სწორედ იქ, სადაც „ნაომარს“ უწოდებს ხალხი. სისხლს ნაკადულებად უდენია და დაბლობში დაგუბებულა. სამი თვე ტბად იდგა თურმე სისხლი. ამ ადგილს ხალხი დღესაც „ნატბევს“ უწოდებს. ორი საუკუნის განმავლობაში არ ამუშავებდნენ ამ მიწებს კახელები. კომუნისტების დროს დაიწყეს მისი სავარგულებად გამოყენება და ზღვა მოსავალი მოდიოდა. ხარისხიანი თესლის უქონლობამ და გვალვამ გააბერწა ნიადაგი. დაიმშა ხალხი.



— რაზე აღარ ვმუშაობდი, რას აღარ ვაკეთებდი, 50-კილოგრამიან ტომრებს ბუმბულივით ვიტაცებდი ხელში, მაგრამ უსარგებლო ფიზიკურმა შრომამ ისე გამწყვიტა წელში, ვედროს აწევაც მიჭირს, — მითხრა სევდანარევი ღიმილით ჩემმა რესპონდენტმა. სწორედ შარშანდელმა გაუსაძლისმა ზაფხულმა გადააწყვეტინა მიხეილ მაჭარაშვილის ოჯახს ლუკმა პური სხვაგან ეძებნა.

ბოდბის გამგებლის მოადგილის მარიკა ჯანიაშვილის თქმით, კომისიამ გვალვისაგან განსაკუთრებით დაზარალებულად დედოფლისწყაროს, სიღნაღისა და საგარეჯოს რაიონები ცნო. ადგილზე ნანახმა შეძრა ქვეყნის პრეზიდენტიც და უცხოელებიც. უდიდესი ძალისხმევით მოხერხდა მოსახლეობისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი დახმარების გაწევა. საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაცია „ამქორის“ მეშვეობით, მოსახლეობას დაურიგდა პროდუქტები, საწვავი, ფულადი დახმარება და, რაც მთავარია, ხორბალი.

— სათესლე ხორბალი ძალზედ მაღალხარისხიანი და შხამ-ქიმიკატებით დამუშავებული, ტომრებში დაფასოებული მოგვაწოდა „ამქორმა“, — მითხრა ბოდბის გამგებლის მოადგილემ გივი ლაზარიაშვილმა. — წინა წლებში ჰუმანიტარული დახმარებით მიღებული სათესლე მასალა უხარისხო გამოდგა და ხალხს იმედი არ ჰქონდა, მაგრამ ჯეჯილი რომ ამოვიდა, ისეთი იყო, გლეხკაცი მაშინვე მიხვდა, მოსავალი კარგი იქნებოდა.

სოფელ ბოდბეში 130 ტონა სათესლე ხორბალი დაურიგდათ გლეხებს, რომელიც 600 ჰექტარზე დათესეს. დროულად მიაწოდეს მოსახლეობას საწვავიც, რამაც ნიადაგის სწრაფი დამუშავება განაპირობა.

— ჩვენი მშრომელი ხალხის დიდი მადლი მოისხეს ამ დახმარებით უცხოელებმაც და ჩვენმა მთავრობამაც, — განაცხადა მიხეილ მაჭარაშვილმა. — მთელი წელიწადი იმას ვნატრობდი, ოღონდ ეს ხორბალი ამაღებინა და მეტი არაფერი მინდა-მეთქი. ეს იყო ჩემი და ყველა ჩემს გვერდზე მდგომი გლეხის ნატვრა. ეს ნატვრა შესრულდა და კახეთი წელში გაიმართა.

„ნატბევსა“ და „ნაომარში“, სადაც ჩვენი მასპინძლის მამულებია, ზღვასავით ღელავს პურის ყანები, თითქოს გესალმებიანო, ნელა ირხევიან მსხვილ-მსხვილი თავთავები. კომბაინი გუგუნით შედის ყანაში. ვუყურებ ამ ნაჯაფარი მშრომელი ხალხის სიხარულითა და იმედით გაცისკროვნებულ სახეებს და ვხედავ, ივლისის მზე ბრწყინავს მათ თვალებში. სიცხესა და გადაღლას აღარავინ დაგიდევთ, ახლა ალობაა, მთელი წლის ნამუშევრის მოწევა-დაბინავების დრო. ამიტომაა გამოსული მთელი სოფელი მინდვრად. დიდიან-პატარიანად მოუთმენლად ელოდნენ მოსავლის აღებას. მოსავალი კი მართლაც ზღაპრულია, — ჰექტარზე 40-60 ცენტნერი. ასეთი მოსავალი კომუნისტებისდროინდელ მოწინავე კოლმეურნეობებშიც არ ახსოვთ. გაიხარა ხალხმა, მომავლის იმედი გაუჩნდათ. მოსავალი მოსავლად და ხორბალი ხარისხითაც საუკეთესოა, უკვე დაუფქვიათ კიდეც და გამოუცხვიათ, ისეთი პური ცხვება, სურნელი მეზობელ სოფელს აღწევსო, გახარებულები მიყვებიან და მთავაზობენ რბილ კახურ შოთებს. პატარა გიორგი უდარდელად კოტრიალობს ყანაში.

— ქალაქში გადასვლას ისევ აპირებთ? — ვეკითხები მიხეილ მაჭარაშვილს.

— სად უნდა წავიდე?! აქ არის ჩემი ფესვი და ადგილის დედა. ცოტა ვენახები გაგვიფუჭა უხარისხო წამალმა, მაგრამ ჩვენს სამყოფ ღვინოს მაინც დავწურავთ. ხომ ხედავთ, ხალხი როგორი გახარებული და მადლიერია. ეს ხორბალი, სულ ცოტა, შვიდ წელს მაინც გვეყოფა სათესლედ და ოჯახის სარჩენად, დიდი მადლი დატრიალდა, ქიზიყში... ცისკენ აფრინდა მწყრების გუნდი და მზის სხივებზე ბაჯაღლო ოქროსფრად აკიაფდა კომბაინისაგან გაჭრილი პირველი სვე. ღმერთო, რა სილამაზეა! ახლა ვხვდები რატომ უწოდებენ კომბაინს „ველის ხომალდს“. ერთი შეხედვით უმწეოდ აწოწილი და თითქოს მოუხერხებელი მანქანა პურის ყანაში მიცურავს და მისი ხედერი რიტმულად, ლამაზად მკის გლეხკაცის სარჩოს. მალე კომბაინს სატვირთო მანქანა მიუყენეს გვერდით და წამოვიდა ძარაში ოქროსფერი მსხვილ-მსხვილი ხორბლის მარცვლების ჩანჩქერი. დაუძლეველი სურვილი მიჩნდება, ზემოდან გადავხედო „ნაომრებს“. მალე კომბაინის კაბინაში აღმოვჩნდი. მანქანა ზრიალებს და დგანდგარებს. გემბანზე მდოგვივით ვირწევი და რაიმე ხელმოსაკიდს ვეძებ. მტვერი და ხმაური სულ მავიწყდება, როცა მაღლიდან ვუმზერ მოლივლივე თავთავების ზღვას და თვალწინ მიდგას უზომოდ გახარებული ბოდბელების ბედნიერი, მადლიერი და იმედიანი სახეები.

ბარაქა, ქიზიყო!

**შორენა ბარნაბიშვილი,**
**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ჟურნალისტიკის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი.**

აქცენტი

## „ცრუ დიმიტრი“, „ცრუ ჟვანია“, და... ქართული გენეტიკა

(პირველი გვერდიდან)

სიმართლე გითხრათ, გავეოცდი.

ნებისმიერი ხელსაყრელი შემთხვევისას, სად უნდა ჩავიდნენ „აფხაზეთის“ წევრები ამომრჩევლებთან, მოსახლეობასთან შესახვედრად, თუ არა, უწინარესად, კოლხეთში და, კერძოდ, სამეგრელოში, სადაც ყველაზე მეტი აფხაზეთიდან ოტებული ადამიანია განსახლებული?

ამ ბოლო რვა წლის მანძილზე პირადად მე მრავალგზის ვხლებივარ აფხაზეთის დეპუტაციას სამეგრელოში დევნილებთან შესახვედრად, თანაც პარლამენტისა და მთავრობის წარმომადგენელთა გარეშე: არჩეულები ამომრჩევლებს ხვდებოდნენ, მათი საჭიროებებით, ყოფა-ცხოვრების პირობებით ინტერესდებოდნენ, პრობლემათა გადაჭრას ცდილობდნენ.

რა შეუძლია ამის შემდეგ პარლამენტარს?

მხოლოდ ის, რომ საკითხი ქვეყნის ხელმძღვანელობამდე მიიტანოს, პარლამენტის სხდომაზე დააყენოს, მოსთხოვოს, ვისაც ჯერ არს, მისი გადაწყვეტა.

მაგრამ რად უნდა შეასრულოს დეპუტატმა „ფოსტალიონის“ როლი, თუ ადგილობრივთან ერთად დევნილი მოსახლეობის წარმომადგენლებთანაც შესახვედრად თვით პარლამენტის თავმჯდომარე ჩადის? მისი სტუმრობა ხომ ბევრად დააჩქარებს იქაური მტკივნეული პრობლემების გადაჭრას?

მე თუ მკითხავთ, „აფხაზეთის“ წარმომადგენლები მაშინ უნდა დაგვემუნათებინა, ამ შეხვედრებში მონაწილეობისთვის თავი რომ აერიდებინათ. თქვენ რომ თქვენი დევნილი ამომრჩევლების ბედი გაწუხებდეთ, გამუდმებით თბილისში ყოფნას იქ ჩასვლას ამჯობინებდითო, — უნდა გვეთქვა.

სამართლიანი საყვედურიც იქნებოდა.

მაგრამ თუ მავანისთვის მიზანი ამართლებს საშუალებას, უსამართლო საყვედურსაც დაიმსახურებ ადამიანი.

რაც შეეხება აბაშაში მომხდარ ინციდენტს და „აღორძინების“ ბრალდებას, — ჩვენი მხარდამჭერები დარბაზში არ შეუშვესო, — რბილად რომ ვთქვათ, არ არის სრული სიმართლე.

თავად ემონაწილეობდი იმ შეხვედრაში და მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო: „აღორძინების“ მხარდამჭერთათვის ეს არავის აუკრძალავს. პირიქით, დარბაზში თავიდანვე იჯდა დაახლოებით 15 ასეთი ადამიანი, რომლებმაც შეხვედრა საკუთარი ინიციატივით, პროტესტის ნიშნად დატოვეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც სიტყვა მისცეს პარლამენტის წევრს სოსო ჭანტურიას, რომლის დეპუტატობაც, როგორც ცნობილია, საკონსტიტუციო სასამართლომ არაკანონიერად სცნო, მაგრამ უფლებამოსილება ჯერ არ შესწყვეტია.

ასე რომ, „აღორძინების“ ადგილობრივ წარმომადგენლებთან დაკავშირებით, პრობლემა არ ყოფილა.

პრობლემა ფოთიდან ჩამოსულმა მათი თანამოაზრეების ჯგუფმა შექმნა.

ამაზე უკვე ბევრჯერ ითქვა და დაიწერა. ამიტომ მეტს არაფერს ვიტყვი. მხოლოდ ფოთში პატივცემული პიროვნების, ბატონ მურმან კოკაიას სიტყვებს გავიმეორებ: მხოლოდ ზუგდიდი არ გახლავთ სამეგრელო, ისევე, როგორც მარტო ის ხალხი არ გამოხატავს ყველა ფოთელის პოზიციას, ვინც აბაშასა თუ ზუგდიდში ჩამოვიდა სამიტინგოდ.

სხვათა შორის, ზუგდიდში, „დარბაზის“ შეხვედრაზე, მისმა წევრმა, ნარაზანელმა ბორის ლომაიამ, ბევრ საჭირბოროტო პრობლემასთან ერთად, პირადად ჩემთვისაც მნიშვნელოვან ერთ საკითხზეც გაამახვილა ყურადღება.

— რა გვჭირს ჩვენ, მცირე ერს, — თქვა მან, — ასე ხელაღებით რად მივაწებებთ ხოლმე უცხოტომელის იარლიყს ადამიანს, როცა 150-მილიონიან რუსეთს არასოდეს ხმამაღლა არ უთქვამს, რომ მისი მმართველობის უმეტესობა მართლაც უცხოტომელი იყო, რომ სამოქალაქო ომის გმირი ჩაპაევი ჩუვაში გახლდათ, რომ მარშალი ჟუკოვი ბერძენია, ისევე, როგორც მოსკოვის ყოფილი მერი პოპოვი, ხოლო ბოროდინოს გმირი ბაგრატიონი თურმე „ველიკი რუსსკი პოლკოვოდეცია“....

მართლაც რა გვჭირს? რომელ ნორმალურ ფრანგს დაუძრახავს ნაპოლეონი მისი კორსიკული წარმოშობის გამო?

სულ სხვა საკითხია, თუ ადამიანი თავის ეროვნულ კუთვნილებას საგანგებოდ მალავს, ღამურასავით იქცევა, თორემ რომელ რასობრივ დისკრიმინაციაზე შეიძლება საუბარი დღეს, თანაც ოდითგანვე ტოლერანტობით ცნობილ საქართველოში?

მაგრამ თუ შეგნებულად მალავს, ამასაც ხომ დამტკიცება უნდა?

თუმცა, დამტკიცებას შრომა სჭირდება, იარლიყის მიწებებას კი — მხოლოდ უძვლო ენა.

ჰოდა, „რბილენიანებო“, ნუთუ ვერ ხვდებით, რომ ამგვარი დაუსაბუთებელი ბრალდებებით, ადრესატისთვის მიყენებულ მორალურ-ფსიქოლოგიურ ტრავმაზე რომ არაფერი ვთქვათ, იმ ბევრი უცხოელი ავანტიურისტის წისქვილზე მივუშვებთ წყალს, ბაგრატიონებთან ერთად ლამის რუსთაველიც რომ უცხოტომელად (ყველამ კარგად ვიცით, რომელ უცხოტომზეც არის საუბარი) შერაცხეს?

არადა, ფოთიდან ჩამოსულ „აღორძინების“ წევრებს აბაშაში ერთი ასეთი „ლოზუნგიც“ ჩამოუტანიათ: „ცრუ ჟვანია“.

დაამტკიცეთ ეს, ბატონებო, და მეც მხარში ამოგიდგებით: ორგანულად ვერ ვიტან ტყუილსა და მატყუარას, „ღამურასაც“.

წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხიც აგეთ, რადგან ნებისმიერი ადამიანის სული, მით უმეტეს, ისეთისა, თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის თუ აღზრდის გამო ყოველ ავანტიურას რომ ვერ გამოეხმაურება, სულაც არ გახლავთ მამაპაპეული ზანდუკი, რომელშიც ძველი ნივთების საძებნად დაურიდებლად შეიძლება აფათურო ხელი.

ახლა ორიოდ სიტყვა ამ წერილის სათაურთან დაკავშირებით:

— ბაბუაჩემს გენა ერქვა, მამაჩემიც გენა იყო, მეც გენა ვარ.

აი, ასეთია ჩვენი გენეტიკა! — „მუდმივი გენას“ ფილოსოფიას „ახმოვანებს“ ერთი ძველი რუსული ანეკდოტი.

როგორც ჩანს, ჩვენი ეროვნული „გენეტიკაც“ ასეთია, უცვლელი.

ამის დასამტკიცებლად უფრო შორეული წარსულის მაგალითებს არ მოვუხმობ ჩვენი ქვეყნის ისტორიიდან. აკაკი წერეთლის ზუსტად 100 წლის წინანდელი პუბლიკაციიდან კიდევ ერთხელ მოვიტან რამდენიმე ამონარიდს, საოცრად რომ ეხმიანება ჩვენს დღევანდელობასაც: **„...რაც ჩვენთვის საჭიროა, მხოლოდ ისა გვგონია ქვეყნისთვისაც სასარგებლო. საზოგადო სარბიელი საპირადო ბაზარმოედნად გადაგვიქცევია... დღეს ჩვენში ქვეყნის ორგულადა და მოღალატედ დასახვასა და დასახელებას ბევრი არა უნდა რა, საკმაოა მხოლოდ უტიფრადა და უცხვად სხვის გულში ბატონურად ხელის ფათური... ჩვენი ჟურნალ-გაზეთები... ქვეყანას გზასა და კვალს უბნევენ... სულ კერძოობა, სულ პირადობა, წვრილმანი ანგარიშები და ურცხვი თავხედობა... და ნეტავ! როდის მოეღება ბოლო ამ სნეულებას?!“**

როგორც ჩანს, სამწუხაროდ, არასოდეს!

ყოველ შემთხვევაში, უახლოეს მომავალში არა, რადგან მართლაც ასეთია ჩვენი „გენეტიკა“, რადგან, პერიფრაზირებით თუ ვიტყვით, „ჩვენ იგივე ვართ მარად და მარად“.

რადგან ბევრ ქართველს, ჩვენდა საუბედუროდ, კვლავ ყველაფერს ურჩევნია ქართველისავე ხორცი.

ამიტომაც არის, რომ პოლიტიკური პარტიები, რომელთაგან ნებისმიერს თავი, ლამის, მესიად წარმოუდგენია, ან ცდილობს წარმოგვიდგინოს, დაუნდობლად ჭამენ ერთმანეთს.

ამასობაში კი ქართული საქმე ფუჭდება, პოეტისა არ იყოს, „ქართლი გვეცლება თვალს და ხელს შუა“.

ჰოდა, იქნებ ვიზრუნოთ „გენეტიკის“ შეცვლისთვის, ერთმანეთთან ქიშპობით ნუ ვგლეჯთ და ვწეწავთ ქვეყანას.

თუ მართლა გვიყვარს სამშობლო, ბრეხტის გრუშეს მაინც მივბაძოთ „კავკასიური ცარცის წრიდან“: მის მსგავსად ერთ-ერთმა მხარემ ხელი ვუშვათ პარტიული ამბიციების მსხვერპლ-გასაგლეჯად გამზადებულ საქართველოს!

ვგრძნობ, ეს მოწოდება თითქმის წყლის ნაყვაა, მაგრამ იქნებ მაინც ვცადოთ და დავძლიოთ გენას „გენეტიკის“ დარად უცვლელი ქართული გენეტიკა?

**რუსლან რუსია.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ელექტრონული ბიბლიოთეკა

დღის თემა

# პოლიცია, როგორიც არის და რომელსაც უტევს ყველა, ვისაც არ ეზარება

## საუბარი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრთან კახა თარგამაძესთან

(პირველი გვერდიდან)

რა თქმა უნდა, ჯობია გრანტებით იცხოვრო, — ადამიანის უფლებებს ვიცავთ, იმას ვიცავთ, ამას ვიცავთო... ჩვენ რომ მოსვენებას არ გვაძლევენ (შეგვამოწმონ, თანახმა ვართ), ერთი, ისინიც გააკონტროლონ — როგორ ფინანსდება და სად იხარჯება მათთვის გამოგზავნილი ფული? მაგრამ ამით დაინტერესება, თურმე, არ შეიძლება, ეს ხომ თქვენი (ე. ი. ჩვენი ქვეყნის) ფული არ არისო!

მსოფლიოში არ არსებობს ქვეყანა, არ აინტერესებდეს მის წინააღმდეგ მიმართული დივერსიის ავტორები.

მილიონები იხარჯება იმისთვის, რომ დაინგრეს ქვეყნის სამართალდაცვითი სტრუქტურები. ამით იწყებენ და მერე თავისთავად დაიშლება სახელმწიფოებრივი მართვის ყველა რგოლი.

კბილებით გვიჭირავს სიტუაცია.

*— ბატონო კახა, მე უკვე მეშინია თქვენი საუბრიდან დასკვნის გაკეთება, ისე გამოდის, რომ ქვეყანაში დამნაშავეთა წინააღმდეგ ბრძოლის რაღაც დონეს მიაღწიეთ, იყო აღმავლობა და შემდეგ, თანდათანობით წლების განმავლობაში, უკან და უკან დაიხიეთ?*

— ყოველ შემთხვევაში, სამართალდაცვითი სტრუქტურები ამ მდგომარეობაში ჩავაგდეთ, განსაკუთრებით, — შინაგან საქმეთა სამინისტრო...

— სიმართლე გითხრათ, მეც მეშინია ამის.

ზეთს რომ არ ჩაასხამ მანქანაში, რაღაც პერიოდის შემდეგ ხომ გამოვა მწყობრიდან ძრავა? დაახლოებით ასეთი მდგომარეობაა.

ვეძებთ გზებსა და საშუალებებს, რაღაცნაირად რომ ვამუშაოთ, მაგრამ ყოველი მხრიდან შემოსეულები ხან რას შემოგვიგდებენ და ხან რას, ხან ახალ კანონს მიიღებენ: ლამის არის, მინისტრის და ოპერატიული მუშაკის კაბინეტებში მეთვალყურე ჩაგვიყენონ — არ გააკეთოთ არაფერიო!

და, იცით, ყველაზე საშიში ამ შემთხვევაში რა არის?.ის, რომ ამგვარი დამოკიდებულება მოღად ჩამოყალიბდა: გააკეთებ, რატომ აკეთებო; არ გააკეთებ, რატომ არ აკეთებო; კაცის მკვლელს დაიჭერთ, რატომ დაიჭირეთო; არ დაიჭერ, რატომ არ დაიჭირეო! ადამიანების გამტაცებლები დავაკავეთ, ყველა გამოუშვეს მოსამართლეებმა. რას არ მოიგონებენ, რას არ დაგვაბრალებენ — ხან „ლორომში“ გაცვალესო, ხან კიდევ სხვაშიო.

სასწაულია!

მოსამართლეების იმ გადაწყვეტილებაზე, ახლა რომ ვახსენე, არავის ხმა არ ამოუღია. ეს თურმე კარგია.

უბედურებაა!

*— მოგვერია ვინმე, ბატონო კახა?*

— ასე რომ იყოს, ჯერ კიდევ 1996 წელს დაამთავრებდა მოღვაწეობას შინაგან საქმეთა სამინისტრო.

მაგრამ, მითხარით, შეიძლება ვიბრძოლო იმისთვის, რომ მუშაობის უფლება მომცენ?

მესმის, რომ დღეს ქვეყანას უჭირს, რომ ერთი ხელის მოსმით ყველა პრობლემას ვერ გადაწყვეტ. მაგრამ ელემენტალური საშუალება მაინც მოგვეცით, ვიხვეწებით.

ხომ არ შეიძლება ფინანსთა მინისტრმა იცოდეს რა სპეციფიკა აქვს დანაშაულის, კრიმინალის წინააღმდეგ ბრძოლას, რა საშუალებები და ტექნიკური უზრუნველყოფა სჭირდება?

არც უნდა იცოდეს (მარტო დღევანდელი მინისტრი არ მყავს მხედველობაში).

მაშინ, დაგვიჯერეთ ჩვენ, პროფესიონალებს და ჩვენი პოზიცია ასახეთ ბიუჯეტში.

იცით, რა არის დღეს ყველაზე საშიში ტენდენცია?

კრიმინალები ცდილობენ მართონ საზოგადოება და ზოგჯერ აღწევენ კიდეც ამას.

საზოგადოების კრიმინალიზება ხდება.

**— ასე კატეგორიულად?**

— დიახ, ასე. ასეთი მსოფლმხედველობა ყალიბდება. გამოდიან სხვადასხვა ტრიბუნებიდან ჩვენი პოლიტიკოსები და კრიმინალურად აზროვნებენ.

კრიმინალზე, როგორც დიდ მამულიშვილზე, ლამის წმინდანზე ისე გელაპარაკება და შენ გამტყუნებს: — ოხ, თარგამაძე, ბაკურაძე, ჩხაიძე! ის ქურდი და მამაძაღლი კი — აი, კაცური კაცი!

ჩვენი ახალგაზრდები, მომავალი თაობა უყურებს, როგორ ალვაზევეთ კრიმინალი და მის, ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ აზროვნებაში ადგილს იკავებს მიბაძვის საგანი — ქურდის, ყაჩაღის, ბანდიტის კულტი.

ამიტომაც არის დღეს საქართველოში ყველაზე მეტი „კანონიერი ქურდი“. ეს ინსტიტუტი, „ქურდად კურთხევა“ მისწრაფების მიზნად იქცა, ავტორიტეტი მოიპოვა.

უარესს გეტყვით.

მე უკვე ვხედავ, რომ ბევრი თანამდებობის პირი, თავი დავანებოთ თანამდებობას, რადგან ეს დროებითი მოვლენაა, — საზოგადოების საკმაოდ ბევრი თვალსაჩინო წარმომადგენელი არ თაკილობს დაჯდეს ქურდის, ყაჩაღის გვერდით: ხომ იცით, ვინ არის — „კანონიერი ქურდია“!

ეამაყებათ!

ესე იგი, კარგი ბიჭობა და კარგი კაცობა ის არის, რომ კრიმინალი, კაცისმკვლელი იყო? არ მესმის ასეთი „ფილოსოფია“!

***— გასული საუკუნის 70-იან წლებში (რა დრო გავიდა!) იმდროინდელ საბჭოთა კავშირში პირველად ედუარდ შევარდნაძე შეებრძოლა სწორედ ამგვარ დამოკიდებულებას და შედეგიანადაც. „მითხარი, ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი, ვინ ხარ შენ“.***

*ისევ გეკითხებით, რა ხდება, უკან მივდივართ?*

— მხოლოდ ედუარდ შევარდნაძის და მის ირგვლივ მყოფი ადამიანების ბრძოლა დღეს შედეგს ვერ მოიტანს, თუმცა ბევრ რამეს განაპირობებს, უწინარესად, პოლიტიკის, მიმართულების, კურსის ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

70-იან წლებში სხვა სიტუაცია იყო — სიტყვის თქმა, დადგენილების მიღება გადამწყვეტი იყო. ვერც ვერავინ შეეწინააღმდეგებოდა.

დღეს თქვენ ხედავთ, ქილიკისა და უკადრებელის კადრების რა ღვარცოფი იღვრება პრესის ფურცლებიდან, როგორ ელანძღავთ ქვეყნის პრეზიდენტს, საკუთარ ქვეყანას, როგორი შეჯიბრია გამართული, ვინ უფრო ცუდსა და უარეს იტყვის.

ეს ხომ ერის შეურაცხყოფაა, საკუთარი ქვეყნის, საკუთარი თავის შეურაცხყოფა!



თანამეგობრობის ქვეყნების შინაგან საქმეთა მინისტრების ამასწინანდელ შეხვედრაზე რამდენიმე კოლეგამ მკითხა: — გაგვაგებინეთ, თავმოყვარეობა დაკარგეთ ქართველებმა? თქვენ რა, საკუთარ სახელმწიფოს ებრძვით?

რა უნდა მეპასუხა?

რა უნდა ვთქვა გასამართლებლად იმისა, რომ ჩვენთან ხელაღებით ებრძვიან ეროვნულ ტრადიციებს, თაობებს, რომლებმაც დღემდე მოგვიტანეს საქართველო. 19-20 წლის ბიჭები, ვისაც ჯერ ვერაფრის გაკეთება ვერ მოუსწრიათ, ჭკუას გვარიგებენ.

მომავალი ახალგაზრდებისაა. აი, მართლა მათი რომ იყოს, ჯერ კარგად უნდა ისწავლონ, რაღაც კონკრეტული გააკეთონ და მერე დასხდნენ მენტორებად, გზას რომ გვიჩვენებენ ლენინის კატეგორიულობით.

მომავლის ასპარეზი, რა თქმა უნდა, მათ დაეთმობა. ამას მარტო სიტყვის მასალად არ ვამბობ, ვცდილობ, ჩემს გვერდით დავიყენო ახალგაზრდები — ვასწავლი, ვზრდი.

***— ამ ბოლო დროს იშვიათად, შეიძლება ითქვას, საერთოდ არ ჩანხართ არც ეკრანზე, არც პრესაში. რატომ? დაიღალეთ ბრძოლით?***

— ბრძოლა არ მომბეზრებია, არც არავის არაფერს დავუთმობ. მაგრამ შეიძლება მუდმივად იმის მტკიცება, რომ თეთრი თეთრია და არა შავი?

ხომ ნახეთ, რა აჟიოტაჟი ატეხეს — თბილისის „დინამო“ კრიმინალებმა ხელში ჩაიგდესო, თარგამაძემ ხელში ჩაიგდოო. რა ბრძოლა გადავიტანეთ ამის გამო. ამ დროს კი გუნდი კატასტროფის წინაშე იდგა და მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი დღე-დღეზე წყდებოდა. პრეზიდენტის წინადადებით ვიკისრეთ ეს მისია. დავიწყეთ პირველი ეტაპი. რაღაც ტვირთი ხომ ვიტვირთეთ? სანაცვლოდ რა მივიღეთ? ლანძღვა-გინება, შეურაცხყოფა.

აქვეყნებენ სტატიებს, პრესაში გამოდიან ჩვენი სისტემიდან გაყრილები, რომლებსაც მთელი საქართველო უწამებიათ. ასეთები, სამწუხაროდ, გვაყვდა და გვყავს. დღეს მათ გმირებად წარმოადგენენ, რადგან თარგამაძეს ებრძვიან, პირველ გვერდებს უთმობენ გაზეთებში.

შეკვეთილი წერილები!

ყველაფერი ვიცით, ვიცით ვინ უკვეთავს, რატომ უკვეთავს, ვინ წერს, სად წერს, ყველაფრის საქმის კურსში ვართ.

რა დავუპირისპიროთ ამას?

კანონი პრესის შესახებ, თურმე, არ გვჭირდება, რედაქციები პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე არ იღებენ — ავტორი არის პასუხისმგებელიო. მაშ, გიჟი რომ მოვიდეს, დაუბეჭდავენ? უბეჭდავენ. შეიძლება ასეთი ინფორმაციაც გამოაქვეყნონ: თარგამაძემ კაცი მოკლაო. ხომ არის სისულელე? არის. მაგრამ მეორე დღეს გაზეთში დაიბეჭდება.

ყოველ წამს და ყოველ წუთს მიხდება სიმართლის მტკიცება.

აი, მაგალითად. მართვის მოწმობების, ტექნიკური პასპორტების, სახელმწიფო ნომრების დამზადებას შუამავალი ფირმები მოვაცილეთ, შინაგან საქმეთა სამინისტროშივე შექმნილი ფირმები, და აქედან შემოსული თანხები პირდაპირ ბიუჯეტში მივმართეთ — ათეულ მილიონობით ლარზეა ლაპარაკი.

ხომ კარგი საქმე გაკეთდა?

თურმე არა. დარაზმეს ჩვენგან გაშვებული ხალხი, ისინი, ვინც ამ ფულს საკუთარ ჯიბეებში იწყობდა და შემოგვიტიეს — როგორ გაბედა შინაგან საქმეთა სამინისტრომ ამის გაკეთებაო.

არ მოეწონათ ის, რომ ქვეყნისთვის და ხალხისთვის სასარგებლო საქმეს დავადგით თავი, პრეზიდენტის განკარგულებების საფუძველზე, რა თქმა უნდა.

1997 წლიდან ამ საქმეს მივდევ, ამ მართვის მოწმობებს და, წარმოიდგინეთ, ახლაც სასამართლო პროცესებზე გვიწევს სირბილი — რატომ მიმართეთო ეს მილიონები ბიუჯეტში?

სამი სასამართლო პროცესი გვაქვს ერთდროულად. თორნიკე აფაქიძე, სხვები და სხვები, პირველ გვერდებზე გამოტანილი სურათებით, მუშტებს იქნევენ — ამას და იმას ვუზამთ თარგამაძესო.

ვინ რას მიზამს, თუ კაცი ხარ!

ასეთი მუქარების რომ მეშინოდეს, კახა თარგამაძე კი არ ვიქნებოდი, არამედ — იმ გვარისა, ვინც მებრძვის.

არც ერთ გვარს არ ვაყენებ შეურაცხყოფას. იმ გვარებში, უთუოდ, უამრავი ღირსეული ადამიანია. კონკრეტულად იმათ ვგულისხმობ, ვინც ცილს მწამებს და მემუქრება.

შეკვეთით გამოქვეყნდა წერილები „დინამოს“ გამოც და შუამავალი ფირმების ალკვეთის გამოც.

მე მგონი, არ გაგიკვირდებათ, თუ გეტყვით, რომ ეს არის არა მარტო თარგამაძის წინააღმდეგ მიმართული კამპანია, არამედ ბრძოლა პრეზიდენტის წინააღმდეგაც.

***— ვისი?***

— მოდით, ეს თქვენ გამოთვალეთ ცნობილი პრინციპით — ვისაც ხელს აძლევს ასეთი ბრძოლა, ვინც რაიმეს გამორჩენას ელის.

ჩვენ კი, ძირითადად საქმეს მოცდენილები, სიმართლის გაუთავებელი მტკიცებით ვართ დაკავებული.

ხომ ხედავენ ჩვენი თანამებრძოლები, რა გააფთრებით ებრძვიან მინისტრს, უყურებენ და ისმენენ ამ ანომალიას? შინაგან საქმეთა სამინისტრო კი არის სისტემა, სადაც მინისტრის ბრძანება დაუყოვნებლივ და კორექტივების გარეშე უნდა შესრულდეს.

ახლა მითხარით, უწყობს ხელს ჩვენი სისტემის ფუნქციონირების ამ ძირითადი პრინციპის განხორციელებას ჩვენს გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი?

არა.

ჩვენს სისტემაში, შინაგანი ჯარის ჩათვლით, 29 ათასი კაცი მუშაობს. ვერ შევასმინე, რომ სწორედ ამდენია და არა 70 ათასი. ვეუბნები, მოდით, დოკუმენტებში ჩაიხედეთ. არ მოდიან. არ სურთ, რადგან მაშინ მათი ბრალდებები ხუხულასავით დაიშლება.

აი, ამხელა მასაში ყველას ხომ არ ექნება ერთნაირად მყარი ფსიქიკა? ასეთ გამუდმებულ და დაუმთავრებელ სტრესულ სიტუაციას ყველა ვერ უძლებს.

რთული მისახვედრი არ უნდა იყოს, რისკენ არის მიმართული მინისტრის და ხელმძღვანელობის გარშემო მიმდინარე წიოკი.

ახლა მუხროვანის მეურნეობას გადასწყვეტდნენ, მარაზმშეყრილი ადამიანების უაზრობით.

ამ მეურნეობაში მივიყვანეთ ისეთი ხალხი, ვინც საქმეს აკეთებს, და სულ რამდენიმე წლის წინათ წამგებიანი მეურნეობა რენტაბელური გახდა.

თარგამაძე იქ საქეიფოდ დადისო...

ჯერ ერთი, სად არის ქეიფის დრო და, მეორეც, სხვა ადგილს ვერ ვიპოვიდი? (**ეღიმება, მგონი, მეორედ**).

ისევ და ისევ ჩვენს სისტემას ხმარდება აქედან მიღებული პროდუქცია. ნახონ, შეამოწმონ, დარწმუნდებიან.

***— ჩვენი საუბრიდან ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ერთი კაცი კი არ გებრძვით, არამედ...***

— ბევრი, რა თქმა უნდა, საკმაოდ ბევრი. მაგრამ ისინი კი არ მაღიზიანებენ, მათი ინტრიგები და ავანტიურები, არამედ ის, რომ მათ გარყვნეს ირგვლივ მყოფი ახალგაზრდები. უბედურება სწორედ ეს არის.

დემოკრატია, საბოლოო ჯამში, სიმართლის თქმა არის, და მეც სიმართლეს გეუბნებით.

ერთი სიმართლე ისიც არის, რომ ამ ცილისმწამებლური აქციებით ჩვენი ახალგაზრდების წონასწორობიდან გამოყვანა ჰქონდათ განზრახული, გეგმავდნენ მათ გამოსვლას ქუჩაში და შემდეგ კეხს შეგვიბრუნებდნენ — პოლიციას ქუჩაში გამოსვლის უფლება არა აქვსო.

ვერ წარმოიდგენთ, რა ენერგიის დახარჯვა მომიხდა ჩვენი ახალგაზრდების დასარწმუნებლად, არ წამოგებოდნენ ანკესს.

ნურავის ჰგონია, რომ ჩვენს თანამშრომლებს თავმოყვარეობა არა აქვთ!

მხოლოდ წლეულს დამნაშავეებთან ბრძოლაში 27 ბიჭი დაგვეღუპა (**დამეღუპაო, ამბობს თარგამაძე, როგორც საკუთარ ტრაგედიას, ისე განიცდის**). ვინ მისცემს უფლებას, ვინც გინდა იყოს, შეურაცხყოს მათი ხსოვნა.

მე ამ სისტემაში გავიზარდე და ვამაყობ ამით. ჩემს გვერდით იყვნენ და არიან კაცები.

დიახ, კაცები!

ვერ და არ გავცვლი მათ გაპუტკუნებულ დედიკოს ბიჭებზე.

მოვიდნენ, დაგვეხმარონ, გვერდით დაგვიდგნენ. ეს ხომ მარტო ჩემი საქართველო არ არის?! ყველასია, ჩვენია.

მაგრამ მათ სურთ იცხოვრონ ისეთ საქართველოში, რომელშიც მე არ მინდა ვიცხოვრო — უფესვო, უძირო, უტრადიციო, უზნეო საქართველოში, რომელშიც, ბოდიშს ვიხდი, „ჩაშვება“ და არაკაცობა ნორმად იქნება მიჩნეული.

მე მინდა, რომ ჩემმა შვილმა, როგორც ყველას შვილებმა, ნორმალურ ქვეყანაში იცხოვრონ.

კარგის და ცუდის გარჩევა აღარ ხდება ქვეყანაში. ყველაფერი წყდება ეკრანზე და გაზეთის ფურცლებზე.

რატომ ჩამოყალიბდა ასეთი ვითარება? მიჭირს პასუხის გაცემა, როდესაც ამ შეკითხვით მომმართავენ ჩვენი თანამშრომლები.

მეკითხებიან: თავის დროზე რამდენიმე ათეულმა კაცმა ვითავეთ ბრძოლის დაწყება და იმ დიდი პოტენციალის ამოქმედება, რომელიც ჩვენს სისტემაში იდო.

თავი გადავდეთ, შედეგსაც მივაღწიეთ და რა მივიღეთ სანაცვლოდ? მატერიალურ და სოციალურ გაჭირვებას თავი დავანებოთ, ლანძღვა და გინება დავიმსახურეთ.

ამაზე მეკითხებიან, რატომო.

მე უნდა ვუპასუხო. ვალდებული ვარ ვუპასუხო.

ვალდებული ვარ, თუნდაც იმიტომ, რომ იმედი არ მოვუკლა, იმიტომ, რომ იმედიანად მოვიდეს ახალგაზრდობა ჩვენთან სამუშაოდ, იმედიანად და არა დაზაფრული შიშით, რომ დღეს თუ ხვალ მასაც ესვრიან ტალახს.

ამ ვალდებულებამ მიკარნახა თქვენთან საუბარში მაქსიმალურად გულახდილი ვყოფილიყავი.

ვიყავი და ვარ პოლიციელი და, როგორც ამ პროფესიის წარმომადგენელი, ბოლომდე ვატარებ ჩემს მძიმე ჯვარს.

ხომ ვაშენებთ ცივილიზებულ საზოგადოებას? მაშ, გადმოვიღოთ ცივილიზებული სამყაროს ნორმები და მიდგომები პოლიციის, პოლიციელის მიმართ. წესით, არაფერმა არ უნდა შეგვიშალოს ხელი.

**მისი კაბინეტიდან რომ გამოვდიოდი, ვკითხე: ბატონო კახა, ამ საათნახევარში დახარჯული უარყოფითი ემოციების იქით მე დავინახე მინისტრი, რომელიც არ აპირებს კრიმინალების წინააღმდეგ ბრძოლის შესუსტებას, და არც ფარ-ხმალს დაყრის იმათ წინაშე, ვისაც ჩვენი ქვეყნის მართლაც კრიმინალიზაცია სურს.**

**ხომ სწორედ გავიგე-მეთქი?**

**სწორედ გაიგეთო.**

**მაშინ გამახსენდა, რომ რედაქციაში დამრჩა წერილი-მინიატურა, რომელიც ჯანსულ ჩარკვიანმა კახა თარგამაძესთან გამატანა.**

**ვასწორებ შეცდომას, წაიკითხეთ, ბატონო კახა:**

[illegible]

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე.**

---

**იმუშავებს ბავშვთა უფლებების ცენტრი**

ზუშინ სახალხო დამცველის ოფისში, UNICEF-სა და ომბუდსმენის აპარატს შორის ხელი მოეწერა ხელშეკრულებას ბავშვთა უფლებების ცენტრის შექმნის შესახებ, რომლის ძირითადი ამოცანაა ბავშვებისა და მოზარდების ჩართვა საზოგადოებრივ საქმიანობაში, საკუთარი პრობლემების მოგვარების პროცესში და სხვა.

**თბილისში კარდიო-ექსპრეს დიაგნოსტიკის ცენტრი გაიხსნა**

გუშინ აშშ სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის დაფინანსებით, თბილისში გაიხსნა კარდიო-ექსპრეს დიაგნოსტიკის ცენტრი. იგი ხელმისაწვდომ ფასებში კვალიფიციურ კარდიოლოგიურ-საკონსულტაციო მომსახურებას გაუწევს საქართველოს მოსახლეობას, ამასთან უფასოდ მოემსახურება მოსახლეობის დაუცველ ფენებს. სამედიცინო სასწავლებლების სტუდენტებს საშუალება ექნებათ გამოიყენონ ცენტრის დიაგნოსტიკის მეთოდები, ჩაუტარონ პაციენტს კლინიკური შემოწმება და მიიღონ ფარმაკოლოგიაში თეორიული ცოდნა.

**ევროკავშირი აფინანსებს, გაერო ახორციელებს**

გაეროს განვითარების პროგრამამ დაიწყო სამხრეთ კავკასიის ანტინარკოტიკული პროგრამის განხორციელება, რომელსაც ევროკავშირი აფინანსებს. პროგრამას მხარს უჭერენ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მთავრობები.

საქართველოში რეგულარულად ჩამოდიან ევროკავშირის მიერ შერჩეული ექსპერტები, რომლებიც სწავლობენ და აფასებენ არსებულ ვითარებას, რაც ხელს უწყობს ევროსტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად საქართველოში საკანონმდებლო ბაზის დახვეწას, ნარკომანთა რეაბილიტაციისა და მონიტორინგის ცენტრების დაარსებას.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, იპრინდამ.

**გასწორება**

ჩვენი გაზეთის გუშინდელ, 19 ივლისის ნომერში მესამე გვერდზე გამოქვეყნებულ წერილში „პოლიცია, როგორიც არის და რომელსაც უტევს ყველა, ვისაც არ ეზარება“, პირველი სვეტის მესამე აბზაცის პირველ სტრიქონში უნდა იკითხებოდეს: „დაირღვა ბალანსი“.

---

პიროვნება და ქვეყანა

# მძიმე დრო თუ ტკივილიანი გარდამავლობა?

## ჟურნალისტი პროექტის განხორციელებას იწყებს

ახლა ქვეყანა წინა წლებთან შედარებით, გვარიანად დაწყნარდა. უკან დარჩა სროლის ხმა, პურის რიგები... ჩვენ ახალ ცხოვრებაში მოვხვდით, ჩვენთვის უცნობ საზოგადოებრივ ფორმაციას ვაშენებთ, რომელსაც, ჯერჯერობით, ადამიანთა მხოლოდ გარკვეულმა ნაწილმა აუწყო ფეხი. ძნელია ადაპტაცია ახალ გარემოში, ძნელია ერთდროულად ბევრ პრობლემაზე ფიქრი: აქეთ ტერიტორიებია დაკარგული, იქით — ეკონომიკაა ასაღორძინებელი.

ერი კი გატრუნულია, გაჩუმებული. მესაბრალისნი არიან ჯან-ღონით სავსე უმუშევრად დარჩენილი ვაჟკაცები, თუმცა ქვეყანა ახლა ისეთ პერიოდშია, ერთი კაცი ხუთი კაცის გასაკეთებელს უნდა აკეთებდეს, არამცთუ უმუშევრად იყოს — ეს ქვეყანა ჩვენი ასაშენებელია, რადგან ბევრი რამ ჩვენგან დამოუკიდებლად, ბევრიც — ჩვენივე წინდაუხედაობით დაინგრა.

ფსიქოლოგები ამბობენ, ერის ფიზიკური სიჯანსაღე მისი სულიერი სიჯანსაღიდან მოდისო.

მადლობის მეტი რა გვეთქმის იმ მეგობარი სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართ, რომლებმაც გაჭირვებაში დახმარების ხელი გამოგვიწოდეს. მიმოვიხედოთ, რამდენი არასამთავრობო ორგანიზაცია შეიქმნა, რამდენმა ინიციატივიანმა ადამიანმა არარსებულიდან დაიწყო და შექმნა ახალი სამუშაო ადგილები, კიდევ რამდენი ადამიანი იგრძნობს მომავალში ახალი, გრანდიოზული პროექტების სიკეთეს.

რაც უნდა მოხდეს, იარე წინ — ესეც ფსიქოლოგთა ლოგიკური რჩევაა.

იმედია, გაივლის დრო და ქვეყანაში ნელნელა აეწყობა ცხოვრება, გაუმჯობესდება სოციალური ფონი. მთავარია ერის ზნეობა, სულიერება კიდევ უფრო აღორძინდეს. მთავარია, იმედი არ ჩაკვდეს.

ამ იმედისთვის მინდა ჩემი პროექტის მსვლელობისას ხალხის წიაღში გამოვარჩიო ღირსეული ადამიანები, რომელთაც შენარჩუნებული აქვთ მაღალი პიროვნული თვისებები, სულის ღადარში გამოატარეს სამშობლოს ტკივილი, არიან მართლები საკუთარი ქვეყნისა და ღმერთის წინაშე.

ჩვენ გამოვიარეთ უმძიმესი გზა უახლესი ისტორიისა და უკვე გარდამავალი პერიოდის ბოლო ფაზაში ვიმყოფებით. ყველანი ვხვდებით, რომ ასე ცხოვრების გაგრძელება აღარ შეიძლება. მაგრამ საით უნდა წავიდეთ, გვიფიქრია კი? გვიზრუნია კი რაიმე ჩვენი ყოფის ოდნავ მაინც გაუმჯობესებაზე? თითოეული ჩვენგანი ხომ განუმეორებელია თავისი ინდივიდუალობით, შესაძლებლობებით, ნიჭით, რომელიც ისევ და ისევ ამ ქვეყნად საფიცარ ხატს, სამშობლოს უნდა მოვახმაროთ! საზოგადოება ხომ აზროვნებს, ფიქრობს, მოქმედებს — პროექტის მიზანიც მისი ჯანსაღი აზრების სამზეოზე გამოტანაა.

მჯერა, მკითხველი ეყოლება ამ პროექტის „პიროვნება და ქვეყანა“ — „გმირებს“. საზოგადოების მხრიდან გამოხმაურების იმედიც მაქვს.

*ჩემი დღევანდელი რესპონდენტი სოციოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და სოციოლოგიის კათედრის დოცენტი ამირან ბერძენიშვილია. წინასწარ მინდა გითხრათ, რომ ის მოაზროვნე, გულწრფელი და კეთილგანწყობილი პიროვნება ჩანს — მისთვის სულ ერთი არ არის თავისი ქვეყნის ბედი.*



**— ბატონო ამირან, ცნობილი ფაქტია, რომ მოსახლეობის უმრავლესობას ეკონომიკური პრობლემები აწუხებს. ამას თან ერთვის სულიერი ტკივილი, რომ ცუდ დროში მოგვიწია ცხოვრება. გადასაჭრელია უამრავი საკითხი, რომელთა მოგვარებასაც ხელისუფლების ძალისხმევის გარდა, საზოგადოების ერთობა და აქტიურობა სჭირდება. თუმცა, ჩვენს თვალწინ დღითი დღე იკვეთება მომავლის კონტურები, კეთდება რაღაც ახალი, მაგრამ ამ „კარგი სიახლის“ სიკეთე მაინცდამაინც ხელშესახები როდია მოსახლეობის ფართო ფენისათვის... ამ მხრივ სად ვდგავართ ჩვენ, საით მიდის ქვეყანა განვლილი სოციალური ძვრების შემდეგ?**

— ნებისმიერი კრიზისული სიტუაცია შეიძლება ღირსეულად დავძლიოთ, თუ ერი და ბერი ერთი სატკივარით იქნება გამსჭვალული. ასეთი ერთიანობის მიღწევაში ლომის წილი კომპეტენტურ და ქვეყნის ინტერესების დამცველ ხელისუფლებას მიუძღვის, მაგრამ ხელისუფლება, რომელსაც არ ძალუძს გააერთიანოს ქვეყნის მოსახლეობა ერთი მიზნით და გამოძებნოს ამ მიზნის მიღწევის მატერიალური და სულიერი რესურსები — შეუძლებელია სახარო ხელისუფლებად იწოდებოდეს.

დღეს არსებული სიტუაცია კი, მართლაც რომ, დამაფიქრებელია, რამეთუ ესაა საზოგადოება, რომელსაც არ ძალუძს აწარმოოს და შექმნას იმდენი მატერიალური პროდუქტი, რომ შეძლოს საკუთარი თავის მინიმალურ დონეზე უზრუნველყოფა.

ესაა საზოგადოება, რომლის გავლენიანი და ძალაუფლების მქონე პირები თუ წრეები ცდილობენ ნგრევის პირას მიიყვანონ ქვეყნისათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ობიექტები, რათა იოლად დაეუფლონ მათ. იმას კი არად დაგიდევენ, რომ ამით ძირს უთხრიან ქვეყანასა და საკუთარ თავსაც. ესაა საზოგადოება, რომელშიც კატასტროფულად იზრდება სოციალური თუ ქონებრივი პოლარიზაცია — ერთ მუჭა, ძალიან მდიდრებსა და ღატაკ უმრავლესობას შორის.

ძალიან ცოტას შეადგენენ საშუალო ფენის წარმომადგენლები, რომლებიც ნებისმიერი სახელმწიფოების სტაბილურობისა და განვითარების გარანტია.

კატასტროფულად იზრდება კორუფციის მასშტაბები, რომელმაც, თუ შეიძლება ასე ითქვას, საყოველთაო ხასიათი მიიღო, ამის დამადასტურებელია საზოგადოებრიობის ნეიტრალური დამოკიდებულება მისდამი.

საგანგაშოა დანაშაულებების, ნარკომანიის, პროსტიტუციის მასშტაბები, ყველაზე დამაფიქრებელი კი, როგორც ხელისუფლების, ისე მთელი საზოგადოებრიობისათვის უნდა იყოს თვითმკვლელობათა ყოველწლიურად ზრდა, განსაკუთრებით, ამ ბოლო სამი წლის მანძილზე.

თუ მთელი საზოგადოებრიობა არ ჩაუფიქრდება მის გამომწვევ მიზეზებს და დროულად არ მიიღებს ქმედით ზომებს და ძველებურად მხოლოდ ხელისუფალთა იმედზე დატოვებს ამ პრობლემების გადაწყვეტას, მაშინ ფატალური ბოლო გარდაუვალი იქნება.

ასეთი სიტუაციის ჩამოყალიბებაში მხოლოდ ხელისუფლებას ვერ დავადანაშაულებთ. სიტუაციის სიმწვავე გამოწვეულია იმ ობიექტური პირობებით, რომელშიც ვარდება ნებისმიერი ქვეყანა, რომელიც ერთი თვისებრივად განსხვავებული სოციალური წყობიდან მეორეზე გადადის. ცნობილია უძველესი ჩინური წყევლა, რომლითაც დაპირისპირებული ადამიანები „უსურვებდნენ“ ერთმანეთს, ეცხოვრათ ქვეყანაში, რომელშიც დიდ სოციალურ ცვლილებებს და ძვრებს ჰქონდა ადგილი“.

ის. მე-5 გვ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 179. პარასკევი, 20 ივლისი, 2001 წელი.

გვწერენ

# ჰუმანურობამ და სამართლიანობამ გაიმარჯვა

(პირველი გვერდიდან)

როგორც იქნა, **ჰუმანურობამ და სამართლიანობამ იმარჯვა,** მაგრამ რა ფასად დაგვიჯდა ეს ჩვენ. წელიწადზე მეტი თეთრად ვათენეთ ღამეებს და, ფაქტობრივად, განვიცდიდით ნამდვილ წამებას უძილობით, რადგან დილის 4-5 საათამდე დისკოთეკიდან განუწყვეტლად ისმოდა „თანამედროვე რიტმები, მისი შეზარხოშებული კლიენტების გარეთ გაგრძელებული ღრიალი და უცენზურო შეძახილები. ამას ემატებოდა ავტომანქანების ძრავების გუგუნი, სიგნალიზაციის ყივილი, ხშირი იყო ხულიგნობის, ჩხუბის და დავიდარაბის შემთხვევები, სროლა, აქ ორი ახალგაზრდაც მოკლეს.

თქვენი გაზეთის პუბლიკაციებმა ჩვენი გასაჭირის შესახებ (№ 328, 2000 წ. და № 61, 2001 წ.) არსებითი როლი შეასრულა ამ პრობლემაზე საზოგადოებრივი აზრის შექმნასა და მისი გადაჭრის გზების მოძებნაში. იქ მოყვანილი კვალიფიციური დასკვნები და საქმიანი რეკომენდაციები, რომელიც ჩამოაყალიბეს რედაქციის მიერ მოწვეულმა სპეციალისტებმა და ექსპერტებმა, გადამწყვეტი არგუმენტები აღმოჩნდა სამართლის დადგენაში. აქვე გვინდა ჩვენი გასაჭირის გაგებისა და გულისხმიერი დამოკიდებულებისათვის გულითადი მადლობა მოვახსენოთ საქართველოს სახალხო დამცველს, ქალბატონ ნანა დევდარიანს, ბატონებს – იუსტიციის მინისტრს მიხეილ სააკაშვილს, თბილისის მერს ვანო ზოდელავას, ქალაქის პროკურორს თენგიზ მახარაძეს, ქალაქის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსს სოსო ალავიძეს, აგრეთვე, ტელევიზიისა და რადიოს სპეციალური პროგრამების ავტორებს – ქალბატონ ჯულიეტა ვაშაყმაძეს, ბატონებს ზურაბ მურვანიძეს, ილია ქევხიშვილს, რომლებმაც არაერთი მახვილი პუბლიცისტური სიტყვა თქვეს ჩვენს დასაცავად. ბევრი იმეცადინა უბანში წესრიგის დამყარებისათვის მისმა უფროსმა ინსპექტორმა, პოლიციის უფროსმა ლეიტენანტმა დავით ტყაბლაძემ.

საუბედუროდ, ჩვენში ჯერჯერობით ბევრი სოციალურ-საყოფაცხოვრებო სფერო საკანონო სივრცის გარეთაა დარჩენილი, რაც ქმნის მოსახლეობისათვის უამრავ პრობლემას, რადგან მათი გადაწყვეტა ადმინისტრაციული გზით შეფერხებულია. ამით კი, ძალიან კარგად სარგებლობს ზოგიერთი „საქმიანი ადამიანი". და, როგორც წერდა თქვენი გაზეთი: „თუ არა გვაქვს კანონი, რომლის მეშვეობით უნდა გადაწყდეს პრობლემა, ვინ, თუ არა ქალაქის მმართველმა ორგანოებმა უნდა გამოსცენ ის წესი, გადაწყვეტილება, განკარგულება ან სხვა ნორმატიული აქტი, რომელიც დაიცავს მოქალაქეებს მათი უფლებების შელახვისაგან".

დასანანია, რომ ჩვენს საკითხში სრული ფორმალობა გამოამჟღავნა სწორედ ქალაქის საკრებულომ. იანვარში შეტანილი ჩვენი განცხადების ბედის შესახებ, არაერთი შეხსენების შემდეგ, მხოლოდ მარტის ბოლოს მოვიდა ადგილზე საკრებულოს მიერ გამოგზავნილი კომისია, რომელიც შემოიფარგლა იმის კონსტატაციით, რომ თურმე დისკოთეკა რეგისტრირებულია კანონის დაცვით და ხმაურის დონე არ აღემატება ნორმატივს. დიახ, **ფორმალურად** აქ ყველაფერი სწორია: დისკოთეკა ამ მისამართზე რეგისტრაციაში გაატარა ქ. სოხუმის (?!) სასამართლომ (მეპატრონე ლტოლვილია), სადაც, ალბათ, არც იციან, სად მდებარეობს ეს ქუჩა და რა გარემოა მის ირგვლივ. და მეორეც: ხმაურის დონე დისკოთეკის მესვეურებთან შეთანხმებით, „შემოწმდა" საღამოს 10.30 საათზე, ეს მაშინ, როცა „გრიალის" პიკი დისკოთეკაში და მის გარშემო დილის (?!) 4-5 საათისათვის აღწევს.

აი, ასე გვიცავენ ისინი, ვისაც არჩევნების დროს მივეცით ჩვენი ინტერესებისა და უფლებების დამცველების მანდატები.

ამას ყველაფერს იმისათვის ვწერთ, რომ ეს გართულებული და დამქანცველი პრობლემა ბოლოს და ბოლოს გადაწყდა: ამა წლის 6 ივლისს ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ (მოსამართლე იოსებ ხურციძე) განიხილა ჩვენი სარჩელი და გამოიტანა არგუმენტირებული გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ „შეწყვეტილ იქნეს ქ. თბილისში მოსაშვილის ქ. № 11-ში მდებარე დისკოკლუბ „ტროპიკანას" ფუნქციონირება", რასაც საფუძვლად დაედო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის №№ 170, 175 მუხლები, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის №№ 230, 234, 235, 236, 237 მუხლები და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის № 24 და № 29 მუხლები.

იმედი გვაქვს, რომ სამართალმა ბოლომდე იმარჯვა და ჩვენ – მოსაშვილის ქუჩის მობინადრეები – დავუბრუნდებით ნორმალურ ცხოვრებას და გვექნება ძილის და დასვენების საშუალება.

**მოსაშვილის ქუჩის მცხოვრებთა სახელით**
**ედუარდ კანდელაკი,**
**თსუ-ს დოცენტი.**

**რედაქციისაგან:** სიტუაცია, ანალოგიური „ტროპიკანას" მაგალითისა, არ არის რაიმე ექსტრაორდინარული შემთხვევა ჩვენს სინამდვილეში. წინა პუბლიკაციებში აღვნიშნავდით, რომ ქალაქში გახსნილმა უამრავმა კლუბმა, კაფე-ბარმა თუ რესტორანმა ხმაურით და აურზაურით გაავსო ჩვენი ქუჩები; მათ მეპატრონეებს სრულიად არ აწუხებთ ის, რომ მოქალაქეებმა დაკარგეს მოსვენება. „ხაზეინები" კარგად სარგებლობენ იმით, რომ მათ არავინ არ უკრძალავს, აკეთონ ის, რაც მოესურვებათ: დაუკითხავად გამოიტანონ ქუჩებში ხმის გამაძლიერებლები, მაგიდები; ისეთი სიმძლავრის აუდიოტექნიკა ჩართონ, რომ პარი-პარალო ცხრა მთას იქით ისმოდეს. კანონით ეს ხომ არ არის რეგლამენტირებული. ასეთი „მკვდარი ზონები" ბევრია ჩვენს სამართლებრივ სივრცეში, რითაც კარგად სარგებლობენ მავანი და მავანი. გავიხსენოთ თუნდაც სრული განუკითხაობა ფერადი ლითონებისა და ჯართის შესყიდვა-გატანის სფეროში (ი. ჭავჭავაძისა და გ. ჩუბინაშვილის ბიუსტებიც კი მოიტაცეს უნივერსიტეტის ბაღიდან), ბორჯომის ტყეში ხეების მასობრივი ჩეხვა და მრავალი სხვა.

„არ არის კანონი" – და წვიმის შემდეგ სოკოებივით მრავლდებიან საუნა-საროსკიპოები; არა გვაქვს კანონი – და ვინ დათვლის, აზარტული თამაშების რამდენი პრიტონი გაიფურჩქნა ჩვენს ირგვლივ; არ არის კანონი – და აბა-ჰე: გავჩეხოთ ვაკის პარკი და ავაშენოთ შემოსავლიანი ცათამბჯენები.

როდემდე იქნება ეს „კლონდაიკი" იმათთვის, ვინც არაფრად აგდებს ერის კეთილდღეობას და ადამიანის პატიოსნებას, ზრუნავს მხოლოდ მოგებაზე. ნუთუ „საქწყალპროექტის" ხელმძღვანელობა არ უნდა დაინტერესებულიყო, რა სახის „დაწესებულება" იქნებოდა „ტროპიკანა" და რა გავლენას მოახდენდა იგი გარემოზე, როცა მას სათავსო მიაქირავა?

როდემდე შეიძლება გაუთავებლად ვილაპარაკოთ სამართლებრივ ვაკუუმზე? არადა, „ბუნება ვერ ითმენს სიცარიელეს", ვაკუუმი იმთავითვე, ივსება სხვა ნივთიერებით. ამ შემთხვევაში – უკანონობით.

როდემდე?!

პრობლემა

# მოსარგებლის დასაცავად

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" 2001 წლის 15 ივნისის ნომერში რუბრიკით „სამართალი" გამოქვეყნდა ვრცელი წერილი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში", სადაც ნათქვამია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ 2001 წლის 10-22 მაისს ღია სასამართლო სხდომაზე განიხილა საქმე „საქართველოს მოქალაქეები (ჩამოთვლილია დაახლოებით 60 კაცის გვარი) – საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ". დავის საგანს წარმოადგენდა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ" საქართველოს 1998 წლის 25 ივნისის კანონის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლთან მიმართებით.

საკონსტიტუციო სასამართლომ 2001 წლის 7 ივნისს მიიღო გადაწყვეტილება და დაადგინა, რომ ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს სარჩელი და სადავო კანონიდან ამოღებულ იქნას რამდენიმე მუხლი, რომელიც მეტ-ნაკლებად მოსარგებლეთა უფლებებს იცავდა.

საკითხი იმდენად რთული აღმოჩნდა, რომ სერიოზულ სპეციალისტებსა და მეცნიერებს შორის აზრთა სხვადასხვაობა წარმოიშვა. მაგალითად, ბატონ ბესარიონ ზოიძეს მიაჩნია, რომ სადავო კანონის მე-2 მუხლის I პუნქტი ვერ შეფასდება საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლთან მიმართებით არაკონსტიტუციურად. არადა, სასამართლოს კოლეგიამ იგი არაკონსტიტუციურად ჩათვალა და გააუქმა.

ის ურთიერთობა, რომლის გარშემოც ასეთი დაუსრულებელი დავა მიმდინარეობს, ათეული წლების განმავლობაში არსებობს თბილისში და საქართველოს სხვა რეგიონებში, იგულისხმება „დათმობის" („ოტსტუპნოის") წესით ამ ბინების ყიდვა-გაყიდვა.

თბილისის ძველ უბნებში მრავლად შეხვდებით ამგვარ ურთიერთობას. მოქალაქეთა ერთი ნაწილი ასე აგვარებდა საბინაო პირობებს და ხელისუფლებასაც საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა. მობინადრეები ბინის მიღების აღრიცხვაზე არ აჰყავდათ, რადგან თვლიდნენ, რომ მათ ბინა ნაყიდი ჰქონდათ.

ამ ურთიერთობაში გამოვლენილი იყო ორივე მხარის თავისუფალი ნება, უპირველესად კი, მესაკუთრისა, რადგან ამ წესის დამდგენელი ის (მესაკუთრე) იყო და არა მოსარგებლე.

„დათმობის" წესით ბინის გაყიდვა მესაკუთრისთვის მრავალმხრივ სასარგებლო იყო. უპირველესად იღებდა ბინის მთლიან ღირებულებას, თუ მობინადრე (მესაკუთრესთან შეთანხმებით) გაყიდდა ბინას, მესაკუთრე აღებული თანხის დადგენილ პროცენტს იღებდა. იგი დაინტერესებული იყო მობინადრის ხშირი ცვლით, რაც მას საკმაოდ სოლიდურ შემოსავალს აძლევდა. იმის გამო, რომ მობინადრეები არემონტებდნენ ნაყიდ ბინებს, მათი ფასი იწევდა და შესაბამისად მესაკუთრისათვის მისაცემი პროცენტიც იზრდებოდა. მოსარგებლეს უფლება ჰქონდა იქ მუდმივად ეცხოვრა, ჩაეწერა შვილები და შვილიშვილები, რომლებიც იბადებოდნენ და იზრდებოდნენ მშობლების ნაყიდ ბინაში. ამის საწინააღმდეგო არც მესაკუთრეებს ჰქონდათ, თუმცა ერჩივნათ მარტოხელა, უპატრონო მობინადრე, რომლის გარდაცვალებისას გაყიდული ბინა მათ რჩებოდათ.

მესაკუთრე მოსარგებლისგან თხოულობდა ქირის იმ რაოდენობას, რაც სახელმწიფოს მიერ 1 კვ. მეტრზე იყო დადგენილი. ეს ქირა, ისევე როგორც სხვა კომუნალური გადასახადი, მოსარგებლეს შეეძლო თვითონვე შეეტანა სახელმწიფოს სალაროში, მაგრამ იმისათვის, რომ მესაკუთრეს ხაზი გაესვა თავისი უფლებისათვის თავისი ნებით გაყიდულ ბინაზე, ამ ქირას მობინადრეებისგან იღებდა და მთელი სახლის ფართობზე დადგენილი ქირა სალაროში თვითონვე შეჰქონდა.

როდესაც საბინაო კოდექსის 154-ე მუხლი ცალმხრივად ამოქმედდა, რასაც ჩაწერის ინსტიტუტის მოსპობა დაემატა (1996 წლიდან), მესაკუთრეთა ერთმა ნაწილმა მიაკითხა სასამართლოს და მოითხოვა მოსარგებლისგან [illegible] ქირის გადახდა. რა თქმა უნდა, მათ მშვენივრად იცოდნენ, რომ ქირს მიიღებდნენ. მაგრამ მათთვის მთავარი იყო საბაბი ხელოვნურად შეექმნათ, რათა „ქირის ურჩი გადამხდელისგან" (მობინადრისგან) ბინის დაცლა მოეთხოვათ. ასე აივსო სასამართლოები არაკეთილსინდისიერი მესაკუთრეების საჩივრებით.

მესაკუთრეთა ერთმა ნაწილმა მოახერხა მობინადრეების, უმთავრესად მარტოხელა უპატრონო, სოციალურად დაუცველი ხალხის გამოსახლება. ამ „წარმატებამ" ბევრი დაინტერესა და თუ ადრე მობინადრეებიანი ბინების ყიდვას ერიდებოდნენ, ახლა იმ პერსპექტივით, რომ იაფად ნაყიდი სახლიდან 154-ე მუხლის წყალობით იოლად მოიშორებდნენ მობინადრეებს. ასეთი სახლების ძებნაც კი დაიწყეს.

„ახალი მესაკუთრეები" განსაკუთრებული დაუნდობლობით შეებრძოლნენ მობინადრეებს, მოითხოვეს მათგან უპირობოდ ბინის დაცლა. მესაკუთრეებსა და მობინადრეებს შორის დაძაბულობა გამწვავდა. მობინადრეებმა პარლამენტს მოსთხოვეს შექმნილიყო კანონი, რომელიც მათ 154-ე მუხლისაგან დაიცავდა.

ახალი კანონის შექმნაში ჩაერთვნენ მეცნიერები, პრაქტიკოსები, იუსტიციის სამინისტროს, უზენაესი სასამართლოს და სხვა დაწესებულებების წარმომადგენლები, მოსაზრებები წარადგინეს მესაკუთრეებმა და მოსარგებლეებმაც და კანონი, რომელიც მოსარგებლეებს მხოლოდ ქუჩაში გამოყრისგან იცავდა. ზოგიერთ მესაკუთრეს ესეც არ მოეწონა და მათი „თავდაუზოგავი" ბრძოლის შედეგად საკონსტიტუციო სასამართლო დაინიშნა – მესაკუთრეებმა მიზანს მიაღწიეს, სასამართლოს დადგენილებით, კანონს მოშორდა ის პუნქტები, რომლებიც მათ მობინადრეების გასახლებაში ხელს უშლიდათ.

ბევრი მესაკუთრე მობინადრეთაგან მორიგებით ამჟამადაც იბრუნებს თავისი ნებით გაყიდულ ბინებს. ასევე იქცევა ბევრი „ახალი" მესაკუთრეც – სამაგიეროდ საცხოვრებლების, ან ფულადი კომპენსაციის მიცემით გაჰყავს მოსარგებლეები. მათ იციან, რომ ამის გარეშე არავინ დათმობს იმ ბინას, რომელშიც ფული გადაიხადა.

ბინების გაყიდვის ეს წესი მესაკუთრის დადგენილი იყო, მთავარი დამნაშავე სწორედაც იგია, ხოლო მოსარგებლე – მსხვერპლი, და თუ დასჯაა, უნდა დაისაჯოს დამნაშავე და არა მსხვერპლი. აქ კი პირიქით ხდება. ნაყიდი ბინის მოსარგებლისთვის საკუთრებაში გადაცემაც ვერ დააზარალებს მესაკუთრეს, რადგან მან ბინა თავის დროზე უკვე გაყიდა, ფული აიღო და თუ ყოფილი საკუთრების უკან დაბრუნება სურს, კომპენსაციის გადახდის შემთხვევაში, ეს უფლება მისთვის არავის წაურთმევია. მრავალმა კეთილსინდისიერმა მესაკუთრემ ამ გზით დაიბრუნა გაყიდული ბინა.

სადავო კანონის რამდენიმე მუხლის გაუქმების შემდეგ მესაკუთრეს აღარ ევალება კომპენსაციის გადახდა. სახლის მეპატრონეთა ერთი ნაწილი არ ქმნის კონფლიქტურ სიტუაციას, რადგან იცის, რომ ოდესმე ძველი ბინები დაინგრევა. სახლის დანგრევისას ბინის მიცემა მობინადრისთვის არ ევალებათ. მასაც დაენგრა ბინა და რა ქნას? მიწა – მისია. ასე რომ, მისი შთამომავლობისთვის მემკვიდრეობა გარანტირებულია.

სადავო კანონიდან ვითომდა მოსარგებლეთა დამცავი მუხლების ამოღებამ დიდად არც მოსარგებლეები შეაწუხა. უხელწერილოდაც აშკარაა, რომ მათ ბინებში ფული გადახდილი აქვთ. ისინი მესაკუთრეთა ნებართვით ცხოვრობენ და მათივე ნებართვით არიან ჩაწერილი საბინაო წიგნებში, რაც დადასტურებულია სახელმწიფო შტამპით და ბეჭდით (მამაკაცებისათვის დამატებით სამხედრო კომისარიატის ბეჭდით), პირად ანგარიშზე ყოველგვარ კომუნალურ გადასახადს იხდიან.

ვფიქრობთ, რომ კანონს შესწორება და დახვეწა სჭირდება, რათა მოსარგებლე დაცული იყოს არაკეთილსინდისიერი მესაკუთრისგან, ამას ახალი სამოქალაქო კოდექსიც ითვალისწინებს.

**მოსარგებლეების ლიანა გოქაძის, ირინა ასათიანის, ომარ მჭედლიშვილის, ნენსი ჯავაშვილის, ზამირა ბერიძის და სხვათა სახელით**
**თამარ ზურაშვილი.**

სოციუმი

**ის, რაც პოსტსაბჭოურ ეპოქაში მოსახლეობის დანაზოგებს დაემართათ, რაც ბოლო წლებში ხელფასებთან, და განსაკუთრებით, პენსიებთან დაკავშირებით ხდება, ყველასათვის კარგადაა ცნობილი. ამაზე კიდევ ერთხელ ფუჭი ლაპარაკი ნამდვილად ზედმეტი იქნებოდა, რომ არა ერთი, უდავოდ საყურადღებო და მნიშვნელოვანი ფაქტი: ცნობილი გახდა, რომ უახლოეს მომავალში ამოქმედდება კერძო საპენსიო ფონდი, რომლის ანალოგი ჩვენში მანამდე არ ყოფილა, თუმცა კი, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ასეთი სახეობის ფონდები დიდი წარმატებით მოქმედებენ.**

**კომპანია „საქართველოს საპენსიო და სადაზღვევო ჰოლდინგი" 2001 წლის 8 მაისს დაარსდა. მისი მიზანია საპენსიო დაზღვევის უზრუნველყოფა საქართველოში. დამფუძნებლები არიან: პოლანდიური საფინანსო ჯგუფი „TBI ჰოლდინგ კომპანია", რომელიც აპირებს აღმოსავლეთ ევროპასა და პოსტსოციალისტურ ქვეყნებში საპენსიო დაზღვევის განხორციელებას. იგი 1994 წელს დაარსდა ჰოლანდიაში, და მას შემდეგ რამდენიმე ქვეყანაში, კერძოდ, ბულგარეთში, ხორვატიაში, სლოვაკეთში, მაკედონიაში, პოლონეთსა და რუმინეთში შეასხეს ხორცი პროექტს, რომელიც მალე საქართველოშიც ამოქმედდება. კომპანიის სოლიდურობას ისიც მოწმობს, რომ მისი ერთ-ერთი აქციონერია ევრობანკი, რომელიც სწორედ ამ კომპანიის საპენსიო დაზღვევაზე მუშაობით არის დაინტერესებული. გარდა ამისა, „TBI ჰოლდინგ კომპანიის" თანადამფუძნებელია „დოიჩე ბანკიც". ინვესტიციების საერთო ოდენობა შეადგენს 3 მილიონ ამერიკულ დოლარს და გათვალისწინებულია საქართველოში ამ პროექტის განსახორციელებლად. საქართველოს მხრიდან ამ კომპანიის დაარსებაში მონაწილეობდა TBC ბანკი და „სამგორის" ჯგუფი. არის კიდევ მეოთხე დამფუძნებელი – ისრაელის კომპანია „ჯინი", რომელსაც საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს სადაზღვევო საქმიანობაში. იგი საკონსულტაციო კომპანიაა მარკეტინგის, ტექნიკური დახმარების თვალსაზრისით. სწორედ ეს ოთხი კომპანია განახორციელებს საპენსიო დაზღვევასა და, საერთოდ, სიცოცხლის დაზღვევის შემდგომ განვითარებას საქართველოში.**

# სიბერე უზრუნველყოფილი გვექნება

**– რატომ აირჩიეს ქართულმა კომპანიებმა ასეთი სფეროები და რამ გამოიწვია ჩვეულებრივი კომერციული საქმიანობისაგან სრულიად განსხვავებული მიმართულების არჩევა?**

**ზვიად ძურული, კერძო საპენსიო ფონდის პროექტის დირექტორი:**

– მოგეხსენებათ, რომ საქართველოში, საპენსიო დაზღვევის თვალსაზრისით, საკმაოდ მძიმე მდგომარეობაა. მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით დიდი სიფრთხილეა საჭირო, მას მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს სოციალური კუთხით. რა თქმა უნდა, ამ პროექტიდან თითოეული დამფუძნებელი გარკვეულ შემოსავალს ელის. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უახლოეს მომავალში მოგებაზე ლაპარაკი ზედმეტია, რადგან პროექტი გრძელვადიანია და შემოსავალი მისი ამოქმედებიდან ექვსი-შვიდი წლის შემდეგ არის დაგეგმილი. როგორც ცნობილია, დღევანდელი პენსიით ადამიანი საკუთარ თავს მინიმალურადაც ვერ უზრუნველყოფს. ამ პროექტის რეალიზაციის შემდეგ კი, როგორც მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების გამოცდილება ცხადყოფს, ყველაფერი კალაპოტში ჩადგება. მოიხსნება მრავალი, მათ შორის, საპენსიო დავალიანებების პრობლემა. სავარაუდოა, პენსიების მინიმალური დონის გაზრდა. მაშინ ბაზარი თავად დაარეგულირებს სისტემას. ხალხი საქმიანობის დაწყებისთანავე იხდის და, შესაბამისად, აგროვებს ფულს და როცა საპენსიო ასაკს მიაღწევს, საკუთარი პენსია უკვე გარანტირებული ექნება. იქნება ასე, და არა ისე, როგორც დღეს ხდება, – ჩვენ ვიხდით ფულს, მაგრამ არ ვიცით რისთვის. დღესდღეობით საქმიანი ადამიანების უმრავლესობა ამას აღიქვამს როგორც კიდევ ერთ დამატებით გადასახადს. აქედან გამომდინარე, ზოგი მეწარმე მალავს შემოსავალს, რადგან, ფაქტობრივად, შედეგი არ ჩანს. ერთი სიტყვით, დღევანდელი არაეფექტიანი საპენსიო სისტემის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ადამიანს არა აქვს დაინტერესება, რომ თავისი მომავალი პენსიის უზრუნველსაყოფად შესაბამისი თანხა გადაიხადოს. ეს სისტემა იმითაც განსხვავდება სახელმწიფო საპენსიო ფონდისაგან, რომ კერძო საპენსიო ფონდში თითოეულ ადამიანს აქვს თავისი პირადი ანგარიში და იცის, რამდენი აქვს ამ ანგარიშზე. ხოლო დღევანდელი სოციალური უზრუნველყოფის სისტემაში ზუსტად არავინ იცის, რამდენი აქვს გადახდილი და სად წავიდა ეს თანხა.

კერძო საპენსიო ფონდი პირველ კლიენტებს ზაფხულის დამლევიდან მიიღებს. დაბალი შემოსავლის მქონე მოსამსახურეებისათვის თავიდან დაწესდება ფიქსირებული გადასახადი რვაათი ლარის ფარგლებში, ხოლო შრომის შედარებით მაღალი ანაზღაურების მქონეთათვის იქნება პროცენტული შეფარდება ხელფასთან – დაახლოებით 10 პროცენტი, თუმცა თავად პიროვნების სურვილზეც შეიძლება იყოს დამოკიდებული – მას შეეძლება საპენსიო ფონდში უფრო მეტიც შემოიტანოს.

რაც შეეხება, სახელმწიფო საპენსიო ფონდს, რა თქმა უნდა, ის ისევ იარსებებს და უზრუნველყოფს საპენსიო მინიმუმს, რადგან არის გარკვეული კატეგორია, რომელიც ჩვენთან ვერ გადაიხდის სათანადო თანხას. ამდენად კერძო და სახელმწიფო ფონდებს შორის კონკურენციას ადგილი არ ექნება. ახლადშექმნილი კი იქნება კერძო ნებაყოფლობითი საპენსიო ფონდი, რომელიც უზრუნველყოფს შედარებით მაღალი დონის საპენსიო ანაზღაურებას. კერძო საპენსიო დაზღვევა პირველ ხანებში იქნება ნებაყოფლობითი იმის გათვალისწინებით, რომ ხალხი ჯერ ფსიქოლოგიურად არ არის მომზადებული, თუმცა საკმაოდ მალე დარწმუნდება მის საიმედოობაში.

ამ სისტემის გამჭვირვალობიდან გამომდინარე, თითოეული კლიენტი დაინახავს ჩვენი მუშაობის სტილს. დასახული გეგმა შეიძლება გავაშიფროთ კიდეც: კაცი რასაც იხდის, ის, უდავოდ, მისი ქონებაა, რომელსაც დროთა განმავლობაში გარკვეული პროცენტი ერიცხება. არავის ეგონოს, რომ ეს, ფაქტობრივად, ბანკში შეტანილი თანხაა, რომელიც ბანკის აქტივად ითვლება. კერძო საპენსიო ფონდის შემთხვევაში პირიქით არის. ეს პიროვნების აქტივია, საიდანაც კომპანია იღებს გარკვეულ პროცენტს. დანარჩენ საკითხებში განსხვავება არ არის. პიროვნებას შეუძლია ნებისმიერ დროს გამოიტანოს თავისი კუთვნილი ქონება უკლებლივ, და არ არის აუცილებელი, დაელოდოს საპენსიო ასაკს. ასეთი მდგომარეობა კი შეიძლება შეიქმნას მისი პირადი მიზეზით, ან, თუ ფონდის მუშაობით უკმაყოფილო იქნება. მას უფლება აქვს ყოველ კვარტალში მოითხოვოს სრული ინფორმაცია, საიდანაც შეიტყობს, თუ რა თანხაა მის ანგარიშზე, რამდენი დაერიცხა, რა თანხა დაექვითა, როგორი ინვესტირება განხორციელდა ამ თანხით, რა საქმეში ჩაიდო მისი ფული და ასე შემდეგ. იმ შემთხვევაში კი, თუ საპენსიო ფონდის წევრი გარდაიცვლება, თანხის მფლობელი მისი სამართალმემკვიდრე გახდება.

საგულისხმოა ის მომენტიც, რომ ფონდს აქვს საწესდებო კაპიტალი, რომელიც მილიონ ამერიკულ დოლარს შეადგენს, რაც ორჯერ აღემატება საპენსიო ფონდისთვის წაყენებული მოთხოვნის მინიმუმს. ეს კი, თავის მხრივ, საიმედოობის გარანტიაა. ყოფილა ბანკების „აორთქლების", კომპანიების გაკოტრების შემთხვევები, მაგრამ სწორედ საწესდებო კაპიტალის უქონლობა განაპირობებდა მათს უპასუხისმგებლობას. ამ შემთხვევაში, ეს ფაქტორი, პრაქტიკულად, გამორიცხულია.

გარდა ამისა, არსებობს დაზღვევის მარეგულირებელი სახელმწიფო სამსახური. მას დაახლოებით იგივე უფლებები და ფუნქციები აქვს, რაც ეროვნულ ბანკს სხვა კომერციული ბანკების მიმართ. არსებობს გარკვეული მაჩვენებლების სისტემა, რომელიც ყოველ კვარტალში მოწმდება, ანუ საპენსიო სადაზღვევო კომპანიები ვალდებული არიან კვარტალში ერთხელ წარადგინონ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ. და, თუ დაზღვევის მარეგულირებელი სახელმწიფო სამსახური უკმაყოფილო იქნება ფონდების მუშაობით, ან საფრთხე დაემუქრება მათ არსებობას, იგი აქტიურად ჩაერევა ამ ფონდების საქმიანობაში და ვიდრე მდგომარეობა არ გამოსწორდება, მმართველობის სადავეებს თავის ხელში აიღებს. სახელმწიფოს ასეთი აქტიური მონაწილეობა კი, თავისთავად, უსაფრთხოების გარანტს წარმოადგენს. თუნდაც ის ფაქტორი, რომ ქართული მხარის გარდა, ამ ფონდის მუშაობით უცხოელი პარტნიორებიც არიან დაინტერესებული, თავისთავად ქმნის საიმედოობის გარანტიას, რადგან მათ საკმაოდ გრძელვადიანი გეგმები და პროგნოზები აქვთ. მათი მიზანია საქართველოში დაზღვევის განვითარება და, რა თქმა უნდა, ამ საქმეში საკუთარი ინტერესებიც აქვთ.

გარდა ამისა, არსებობს უამრავი პრობლემა, რომელიც აუცილებლად უნდა გადაიჭრას მანამდე, სანამ კერძო საპენსიო ფონდი რეალურად ამოქმედდება. უპირველეს ყოვლისა, შესაქმნელია საკანონმდებლო ბაზა. მართალია, 1998 წელს მიიღეს კანონი „არასახელმწიფო ნებაყოფლობითი საპენსიო დაზღვევის შესახებ", მაგრამ მან ვერ იმუშავა, ვინაიდან ასეთი ფონდი არ შექმნილა. კანონში არის გარკვეული ხარვეზები, რომლებიც უნდა გამოსწორდეს. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანას. საპენსიო ფონდები გარკვეული საგადასახადო შეღავათებით უნდა სარგებლობდნენ. არ უნდა არსებობდეს ორმაგი დაბეგვრა. მსოფლიოში დანერგილია შემდეგი სისტემა: საპენსიო ფონდის წევრი თავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისაგან. ეს ერთგვარი სტიმულიცაა იმისთვის, რომ ადამიანი დაინტერესდეს კერძო საპენსიო ფონდში თანხის შეტანით. თანხა შეიძლება გადაიხადოს არა მარტო კონკრეტულმა პიროვნებამ, არამედ კომპანიამ, ორგანიზაციამ, და, შესაბამისად, საშემოსავლო გადასახადისაგან ისიც თავისუფლდება. ესეც ერთგვარი სტიმულია. თუმცა, ყველაფერი ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს გადასახადს ეს თანხა არასოდეს დაექვემდებარება. არსებობს გარკვეული დაბეგვრის მექანიზმი, რომელიც ამოქმედდება პენსიის მიღების ან თანხის სრულად გატანის დროს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხდება საპენსიო ფონდში შეტანილი თანხების ინვესტირება. ინვესტირებული თანხიდან მიღებული შემოსავალიც თავისუფლდება გადასახადისაგან.

ისმება კითხვა, თუკი შეტანილი თანხა თავისუფლდება გადასახადებისაგან, თანხა კი შეგვიძლია შევიტანოთ განუსაზღვრელი რაოდენობით, მაშინ ადამიანი იფიქრებს, რომ მთელი შემოსავალი ასე დაუბეგრავად გადაულოცოს საპენსიო ფონდს. ისიც გასაგებია, ამ თანხების დაბეგვრა მოხდება მოგვიანებით. არადა, რა ვუყოთ დღევანდელ ბიუჯეტს?

–მაგალითისათვის შეიძლება ვთქვათ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში შემოსავლის 25 პროცენტამდე შეტანილი თანხა არ იბეგრება, 25 პროცენტის ზემოთ კი, ნურას უკაცრავად; ბულგარეთში არის ფიქსირებული გადასახადი, დაახლოებით 20 ამერიკული დოლარის ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში, რომელიც არ იბეგრება, დანარჩენი კი დაბეგვრას ექვემდებარება. დაბეგვრა-არდაბეგვრა ისე უნდა დაბალანსდეს, რომ არც სახელმწიფომ იზარალოს და არც მოქალაქემ.

საპენსიო ფონდი არის ძალზე მძლავრი საინვესტიციო რესურსი. როგორც წესი, მთელ მსოფლიოში ყველაზე დიდი ინვესტორები, ყველაზე დიდი მონაწილეები საფონდო და საფინანსო ბაზრებზე საპენსიო ფონდები არიან. დროთა განმავლობაში გროვდება საკმაოდ დიდი თანხა. ეს კი ის რესურსია, რომელიც შეიძლება ისევ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას მოხმარდეს. საპენსიო ფონდის დამფუძნებლები და ორგანიზატორები, ჯერჯერობით იდეის დონეზე, განიხილავენ იმას, რომ, თუ ეს თანხა გათავისუფლდება გადასახადებისაგან, მაშინ იგი შეიძლება გამოიყენონ სახაზინო ვალდებულებების შესასრულებლად.

ფონდი მუშაობას უახლოეს ხანში დაიწყებს. ჯერჯერობით კი, გასავლელია სალიცენზიო პროცედურა, ასევე უნდა გაიყიდოს მათი პოლისები.

ყველაფერი ზემოთ თქმული, მაგალითად, საპენსიო თანხების მიღება-ჩარიცხვა, მათი აკუმულირება-დაბანდება, შემდეგ კი ნაწილ-ნაწილ თუ ერთიად გაცემა, საკითხის შიდა მხარეა. მაგრამ, არის კიდევ ერთი, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი. პირველ რიგში, შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნა და მის შესრულებაზე უმკაცრესი კონტროლის დაწესება ფონდის წევრთა უსაფრთხოების მიზნით. თორემ, სამწუხაროდ, ჩვენთვის მრავალი მაგალითია ცნობილი, როცა უაღრესად კეთილშობილურ ნიღაბს ამოფარებული ასეთივე საქმე არა მოყვასის სასარგებლოდ, არამედ მხოლოდ საკუთარი ჯიბის გასასქელებლად გამოუყენებია მავანს, ხალხს კი დიდი ზარალი მოსვლია. ვფიქრობ, მართებული იქნება იმის მტკიცება, რომ მსგავსი რამ კერძო საპენსიო ფონდთან დაკავშირებით არ შეიძლება მოხდეს.

**მაია კობახიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**საქინფორმის კორ.**

ქველმოქმედება

## „ფანასკერტელში" ხელმოკლეებს უფასოდ მკურნალობენ

თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი 115-ში, დიდუბის პოლიციის ეზოში, მდებარეობს ყველასათვის ცნობილი „ფანასკერტელი", რომელმაც 15 ივნისიდან დაიწყო პაციენტების უფასო მომსახურება. მკურნალობს მათ, ვისაც არა აქვს მკურნალობისთვის საჭირო თანხის გადახდის საშუალება.

ავადმყოფებს ეწევათ ექიმის კონსულტაციები, უტარდებათ აპარატ „ვიტაიზით" მკურნალობა, ასევე უფასოდ მკურნალობენ „სკანერის" უახლესი თერაპიის აპარატით, ჩინური ნემს-თერაპიით, კლასიკური, სამკურნალო მასაჟით და ბიოკოლექციის სეანსებით.

გარდა ამისა, პროფილაქტიკის მიზნით მათვე ეძლევათ სამკურნალო საშუალება, ხალხური მედიცინის წამლები. წამლებს ისეთი ცნობილი ფიტოთერაპევტები ამზადებენ, როგორებიც არიან ცირა მენთეშაშვილი და ცისანა სუმბაძე.

„ფანასკერტელის" ხელმძღვანელის პროფესორ გურამ ხაჭაპურიძის განცხადებით პოლიკლინიკა „ფანასკერტელი" 1989 წელს დაარსდა ხელმოკლეებისთვის. იგი მათ უფასოდ ემსახურებოდა და მომავალში კვლავაც მოემსახურება.

**რიტა ჩაკვეტაძე.**

პატივი

## კიდევ ერთი გამორჩეული ადამიანი დააფასეს

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორმა პაველ გვარამაძემ მთელი თავისი სიცოცხლე ახალგაზრდების უანგარო აღზრდას შეალია. მადლიერი სტუდენტები მის განსაკუთრებულ მზრუნველობას დიდად აფასებდნენ და შეუდარებელ, ამაღლებულ პიროვნებად მიიჩნევდნენ.

ღირსეული, გამორჩეული ადამიანი საზოგადოებამ დააფასა – პაველ გვარამაძის მემორიალური დაფა ამას წინათ საზეიმოდ გაიხსნა.

**ნუნუ მერაბიშვილი.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

პიროვნება და ქვეყანა

# მძიმე დრო თუ ტკივილიანი გარდამავლობა?

(მესამე გვერდიდან)

დღეს საქართველო იმყოფება სწორედ ღრმა სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ტრანსფორმაციის ეპოქაში. ნებისმიერი ქვეყანა, როგორ ხელშემწყობ საშინაო თუ საგარეო პირობებშიც არ უნდა იმყოფებოდეს, ამგვარი ღრმა ტრანსფორმაციების დროს აუცილებლად ვარდება, სოციოლოგების ენით რომ ვთქვათ, ანომიის მდგომარეობაში, როდესაც ძალას კარგავს ძველი საზოგადოების გამაერთიანებელი მორალური კოდი, ღირებული ფასეულობები, ქცევის ნორმები, კანონები, ხოლო ახლის განმტკიცებას კი ათეული წლები სჭირდება. ამგვარი „გლოვის ველის“ გავლა ნებისმიერი ტრანსფორმირებადი საზოგადოებისათვის ისტორიული აუცილებლობაა, ზოგჯერ მთელი თაობის შეცვლაა საჭირო, რომ „აღთქმულ ქვეყანაში“ შევიდეთ. ეს იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც შედარებით ხელსაყრელ საშინაო თუ საგარეო პირობებში იმყოფებიან. ამგვარი პრობლემები წარმოექმნა ყოფილ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას მაშინ, როდესაც ის, ფაქტობრივად, თავის ბუდეს დაუბრუნდა და მსგავსი პრობლემები არ უნდა გასჩენოდა. მაშ, რა უნდა ვთქვათ საქართველოზე, რომელიც არეალია წამყვან სახელმწიფოთა ინტერესთა გადაკვეთისა. ასეთი ურთულესი სიტუაციის დაძლევა მხოლოდ იმის იმედზე, რომ თავისთავად მოვა კომპეტენტური, კეთილშობილი, პატიოსანი კადრებით დაკომპლექტებული ძლიერი ხელისუფლება და გადაჭრის ყოველ სიძნელეს, გულუბრყვილობაა! თუ არ შეიცვალა თითოეული ჩვენგანის მენტალიტეტი, დამოკიდებულება ქვეყნის ნებისმიერი სატკივარისადმი, თუ არ გაიზარდა თითოეული ჩვენგანის მოქალაქეობრივი აქტიურობა.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ჩვენ, ფაქტობრივად, ხელთ შეგვრჩა, არაეფექტიანი და არარენტაბელური საბჭოური ეკონომიკის ნაფლეთები, ხოლო ის, რომელიც შედარებით რენტაბელური იყო, თავად დავანგრიეთ ძალაუფლებისა და საკუთრების გადანაწილებისათვის ბრძოლაში, როდესაც მოხდა საწარმოთა არასამართლიანი პრივატიზაცია, თანაც არსებული საწარმოების გაჩანაგებისა და გაკოტრების ფონზე კერძო საკუთრების ინსტიტუტებმა მსოფლიო მასშტაბით დაამტკიცეს თავიანთი უპირატესობა სახელმწიფო საკუთრებაზე დამყარებულ ეკონომიკურ ინსტიტუტებთან შედარებით.

დღეს ხშირად გაისმის, რომ უნდა გადაისინჯოს ადრინდელი პრივატიზაციის შედეგები, ზნეობრივად ეს შეიძლება მართებულიც იყოს, მაგრამ თუ დაფიქრებულა ვინმე, რას გამოიწვევს ხელახალი რეპრივატიზაცია, როგორც პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ისე სოციალურ სფეროში — უფრო ხომ არ გაამწვავებს იგი ამ სფეროებში არსებულ პრობლემებს, რომელსაც შეიძლება ახალი დამანგრეველი შიდა ომი მოჰყვეს?

გარდამავალი პერიოდის სიძნელეებს კიდევ უფრო ამძიმებს დიდი ბიუროკრატიული აპარატი და მისი ყველაზე დამღუპველი სენი — ბიუროკრატიზმი. დღეს, როდესაც ჩვენს საზოგადოებაში არ არის ძლიერი და დამოუკიდებელი ორგანოები, ფაქტობრივად, კონტროლის გარეშეა ძალოვანი სტრუქტურები, მინიმუმამდეა დაყვანილი ამომრჩევლების წინაშე ანგარიშგება, როდესაც ჯერ კიდევ ძალის მოკრების პროცესშია სამოქალაქო საზოგადოება — ბიუროკრატიზმი იქცა ხელისუფლების ყოვლად ძლიერ, ჩაკეტილ, იერარქიის კანონების მიხედვით მოქმედ მექანიზმად, რომელიც თითქმის კანონსა და სოციუმის წევრთა ნება მაღლა დგას.

დღეს, სამწუხაროდ, ხელისუფლება გარდაიქმნა თვითკმაყოფილების ორგანიზაციად, რომელსაც აღარ ახსოვს თავისი ვალდებულებები საზოგადოების მიმართ და მოქმედებს მხოლოდ საკუთარი ინტერესების შესაბამისად.

ძალიან მცირე გამონაკლისის გარდა, დღევანდელი ხელისუფლება და, რაც ყველაზე საგანგაშოა, ოპოზიციაც კი, ყალიბდება განსაკუთრებულ სოციალურ ჯგუფად, რომელიც, ნაცვლად იმისა, რომ მოემსახუროს საზოგადოებას, რეგიონს, ხელში იღებს მთელ ძალაუფლებას და მას მხოლოდ საკუთარი ინტერესებისათვის იყენებს.

დღევანდელი ვითარების ტრაგიკულობას მოწმობს: ფართო მასშტაბების მქონე კორუფცია, რომელიც თვით სახელმწიფოს არსებობის საფუძვლადაც კი ითვლება ზოგიერთი პოლიტიკოსის მიერ, მიუხედავად იმისა, როგორ პარადოქსულადაც უნდა გვეჩვენებოდეს აღნიშნული მოსაზრება, კომერციულ საქმიანობაში თანამდებობის პირთა ფართო მონაწილეობა, ერთი და იმავე პიროვნებების მიერ საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებში რამდენიმე პოსტის შეთავსება; სამართლებრივი ნიჰილიზმი, როდესაც საქმის გასარჩევად სასამართლოს ნაცვლად ე. წ. „კანონიერ ქურდებს“ მიმართავენ. მეწარმეთა გაერთიანებების პოლიტიკურ პარტიებად ქცევა, ბიზნეს-ელიტის პოლიტიკურ ელიტასთან შერწყმა; დანაშაულობების, განსაკუთრებით ადამიანთა გამოძალვის მიზნით გატაცებების წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის უუნარობა და მრავალი სხვა — აჩვენებს ჩვენი ბიუროკრატიული აპარატის გადაგვარებას და უუნარობას.

ასევე, საგანგაშო სიმპტომია სიტყვიდან საქმეზე გადასვლის უუნარობა, როდესაც ვიხარშებით საკუთარი აზრებისა თუ სიტყვების „წვენში“, როდესაც დღევანდელობის ერთ-ერთი უმთავრესი მონაპოვრის — თავისუფალი მასმედიის ძალისხმევა, ფაქტობრივად, ნულზე დაგვყავს, როდესაც საზოგადოებრივი აზრი კი იქმნება, მაგრამ ის თითქმის არანაირ ზეგავლენას არ ახდენს ხელისუფალთა პოზიციებზე.

ტრაგიკულობის მაჩვენებელია, აგრეთვე, პასუხისმგებლობის ტოტალური დეფიციტი, თითქმის ყველა მოქალაქისა და განსაკუთრებით, პოლიტიკოსების მხრივ. ერთ-ერთი საშიში მენტალური სენი, რომელიც მემკვიდრეობით გვერგო ტოტალიტარული რეჟიმიდან, ესაა სხვისი მოიმედეობა, რომ ჩვენი გასაკეთებელი საქმე სხვამ გააკეთოს, რომ ყველაფერი სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ ყოველგვარ წარუმატებლობაში მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო მმართველები არიან დამნაშავენი; ხოლო, რაც შეგვეხება ჩვენ, მოქალაქეებს, არც არაფერი შეგვიძლია შევცვალოთ და არც ქვეყნის ბედ-იღბალი არის ჩვენზე დამოკიდებული. ჩვენი თანამემამულეების უმრავლესობა მხოლოდ იმაზე ფიქრობს: რას მიკეთებს, რას მაძლევს მე ჩემი ქვეყანა, მაგრამ თითზე ჩამოსათვლელია ისინი, რომლებიც პირიქით ფიქრობენ და მოქმედებენ: რას ვაძლევ მე ჩემს ქვეყანას!

თუ გვსურს კრიზისული სიტუაციის დაძლევა, მაშინ ასე უნდა ფიქრობდეს და მოქმედებდეს თითოეული ჩვენგანი. ყველაფერს სახელმწიფო და პოლიტიკოსები ვერ გააკეთებენ. თითოეული ჩვენგანის ინიციატივა და ძალისხმევა უნდა წარიმართოს ქვეყნისათვის საჭირბოროტო პრობლემების მოსაგვარებლად.

**— გასაგებია, ბატონო ამირან, თქვენი ინტელექტუალური ხედვა ქვეყნის, საზოგადოების ახლანდელი ყოფისადმი, მაგრამ ხშირად, ალბათ, თქვენც გიგრძვნიათ მოსახლეობისაგან ნოსტალგია გარდასული დროის, საბჭოური ცხოვრების მიმართ. აქ მახსენდება ძველი ნათქვამი: „ფილოსოფოსი და მეოცნებე: პირველს მიწაზე დაუდგამს ფეხი, ოღონდ — ზეცისკენ უჭირავს თვალი, ხოლო მეორე — ტალახს უმზერს ფეხებაწვდილი“. კარგია, როცა ადამიანი ზემოთ, ცისკენ იყურება. მაგრამ რატომ უმზერენ ზოგნი ტალახს და არ ზრუნავენ უკეთესი ყოფისათვის? რატომ გახდა გულგრილი საზოგადოება ქვეყნის მომავლის მიმართ?**

— საქართველოს მოსახლეობა კარგად აცნობიერებს, რომ უკან დაბრუნება დამღუპველი აღმოჩნდება ჩვენი ქვეყნისათვის. თავისუფლებისაკენ, აღთქმული ქვეყნისაკენ მხოლოდ ერთი — საბაზრო ეკონომიკაზე დამყარებული, დემოკრატიული გზა მიდის! ოპტიმიზმის საფუძველს, რომ ჩვენი ქვეყანა სწორედ თავისუფლებისა და დემოკრატიის გზით განვითარდება, მაძლევს ჩვენი მოსახლეობის თავისუფლებისმოყვარეობა, ბუნებრივი სილაღე, გამომგონებლობა და „პრაგმატულობა“, „პროდასავლურად“ განწყობილი პოლიტიკური, ეკონომიკური და ინტელექტუალური ელიტის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილის ძალისხმევა.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მხოლოდ ელიტის ძალისხმევა, თითოეული ჩვენგანის ძალისხმევის გარეშე, ქვეყანას, ერს ვერ გააძლიერებს, რადგან „ერი ვერ იქნება ძლიერი, თუ მისი შემადგენელი ყოველი ინდივიდი სუსტია“ და რომ „ჯერ არ გამოუგონიათ სოციალური პოლიტიკის ისეთი ფორმა თუ კომბინაცია, რომელიც შეძლებს შექმნას ენერგიული ადამიანები სუსტი და სულმოკლე მოქალაქეთა გაერთიანებებისაგან“.

**ჩვენ საუკუნეების განმავლობაში ვოცნებობდით დამოუკიდებლობაზე და მოვიპოვეთ იგი. ახლა დადგა დრო, ვიოცნებოთ ყველა ჩვენგანის კეთილდღეობაზე, რომ საქართველოს ყოველი მოქალაქე შეძლებული იყოს, ჰქონდეს საკუთარი სახლი, ქონება და გარანტირებული სამუშაო. ვიოცნებოთ და ვიმოქმედოთ დიდი ბიზნესისა და ძლიერი, დემოკრატიული ხელისუფლების შექმნისა და მათი გამაწონასწორებელი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის.**

ოპტიმიზმის საფუძველს მე, აგრეთვე, ვხედავ ჩვენი თანამემამულეების თვითდასაქმების ძლიერ სურვილში, რომ თავად მონახონ ღირსეული არსებობისა და თავისუფლების გარანტია და თუ ხელისუფლების მხრიდანაც, დემოკრატიული ძალები ამ ძლიერ სურვილს თავიანთ ძალისხმევას შეაშველებენ, მაშინ საქართველოს წინსვლას თავისუფლებისა და დემოკრატიული ფასეულობების ცხოვრებაში დამკვიდრებისაკენ წინ ვერაფერი დაუდგება.

დადგა დრო, პოლიტიკოსებმა ძირითადი ყურადღება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, საკუთარი ბაზრის დაცვას დაუთმონ, შექმნან სამართლებრივი ბაზა, ხელშემწყობი პოლიტიკური და ეკონომიკური ფონი, რათა წარმატებით ჩამოყალიბდეს მეწარმეთა, მესაკუთრეთა — თავისი თავის უზრუნველმყოფ და სხვა ადამიანთა დამსაქმებელ პირთა ფენა. დღეს ეკონომიკა უნდა იქცეს პოლიტიკად ანუ პოლიტიკა უნდა იქცეს ბიზნესმენთა, მეწარმეთა რაც შეიძლება ფართო სოციალურ ფენად ჩამოყალიბების ხელშემწყობად.

დროა, ერმაც და მისმა ელიტამაც გააცნობიეროთ, რომ ინდივიდისა თუ პიროვნების დაცვა მხოლოდ ძლიერ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტრუქტურებს ძალუძთ, რომლებიც ორიენტირებული არიან სოციალურ სფეროზე.



ესაუბრა
ლია ჭილლაძე.



## ოპერაცია „კურსკი“

**ბარენცის ზღვაში „კურსკ“ ატომური წყალქვეშა ნავის კატასტროფისა და მისი ეკიპაჟის 118-ვე წევრის დაღუპვის შემდეგ რუსეთის მთავრობამ, ბოლოს და ბოლოს, გადაწყვიტა, დაეწყო ზღვის ფსკერიდან რაკეტოსნის ამოღებისა და დაღუპულ მეზღვაურთა სხეულების ამოტანის რთული ოპერაცია.**

**ეს მინი-გზამკვლევი შესაძლებლობას მოგცემთ, ნაბიჯ-ნაბიჯ გაეცნოთ პროექტს.**



### უსაფრთხოება

თავდაპირველად, რობოტები სპეციალურად დაპროექტებული ხერხით მოაჭრიან ცხვირს წყალქვეშა ნავს. სუბმარინის ეს ნაწილი ისეა დაზიანებული, რომ ამოღებისას შეიძლება, თავისით მოძვრეს. თავიდან, გადანაჭერი ხაზიდან მყვინთავებმა უნდა ამოიტანონ ყველა ტორპედო, რომლებიც არ აფეთქდა (თუმცა, რუსი ექსპერტები ამტკიცებენ, რომ არც ერთი ტორპედო არ დარჩენილა აუფეთქებელი. **რედ.**), მაგრამ ამის შემდეგაც კი ოპერაცია ვერ იქნება მთლად უსაფრთხო: შეიძლება, ცხვირისაკენ გადმოინაცვლოს და დეტონაციით აფეთქდეს სხვა ტორპედოები.

### ამოტანა

„კურსკს“ ამოიტანენ 26 მძლავრი გვარლის მეშვეობით, რომლებიც ნავის კორპუსიდან გადაიჭიმება უზარმაზარი ბარჟისაკენ. ამისათვის მეზღვაურებმა სუბმარინის კორპუსში უნდა გაჭრან 70-70 სმ დიამეტრის ხვრელები, რომლებშიც გვარლებს გაუყრიან. შემდეგ ბარჟის მთელ სიგრძეზე განლაგებული ჰიდრავლიკური ამწევები შეუდგებიან 18300 ტონა წყალწყვის ნავის ამოტანას. თუ ყველაფერი გეგმის მიხედვით წარიმართა, მაშინ ოპერაცია 12-15 საათზე მეტ ხანს არ გასტანს.

### ბუქსირება

ბარჟა, რომელზეც ქვემოდან იქნება ჩამოკიდებული წყალქვეშა ნავი, ძალზე ნელა გაემართება მურმანსკისაკენ. ნაპირთან მას დაელოდება მცურავი დოკი. მას შემდეგ, რაც სუბმარინა დოკში გადაიტვირთება, დოკიდან ამოტუმბავენ წყალს. მერე ნავიდან ამოიღებენ 106 მეზღვაურის სხეულებს, (12 სხეული 2000 წლის ოქტომბერში გადაიტანეს ზედაპირზე), აგრეთვე ამოიტანენ 24 „გრანიტ“ ფრთოსან რაკეტას.

## ჩინეთის ეკონომიკა - ყველაზე დინამიკური

ჩინეთის ოფიციალური მონაცემების თანახმად, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ეკონომიკური ზრდის ტემპმა ქვეყანაში შეადგინა 7,9 პროცენტი. ეს არის უმაღლესი მაჩვენებელი მსოფლიოს დიდ ეკონომიკურ სახელმწიფოებს შორის. მაგრამ წინა წელთან შედარებით, ზრდის ტემპი ჩინეთში რამდენადმე შენელდა. როგორც ჩანს, ეს მოხდა ჩინური ექსპორტის შემცირების გამო, რაც ეკონომიკური ზრდის გლობალური შემცირებით არის გამოწვეული. სპეციალისტთა შეფასებების მიხედვით, დღეს ჩინეთი მეშვიდე ეკონომიკური სახელმწიფოა მსოფლიოში. გასულ წელს საზღვარგარეთელმა ინვესტორებმა ჩინეთის ეკონომიკაში 40 მილიარდ დოლარზე მეტი დააბანდეს. მსოფლიოს მთელი კომპიუტერული აქსესუარების მესამედი ჩინეთში იწარმოება.

## „ისლამური ჯიჰადის“ ნორჩ თვითმკვლელთა სკოლა



**„ისლამური ჯიჰადი“ დაჯგუფებამ მოაწყო საზაფხულო სკოლა ყმაწვილებისათვის, რომლებიც სხვა სასწავლებლებს არ ჰგავს. აქ ბავშვებს ეუბნებიან, თუ რაოდენ დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიათ, თუ თვითმკვლელი მებრძოლები გახდებიან.**



სკოლის მოსწავლეები არიან 12-15 წლის პალესტინელი ბიჭუნები, რომელთა სიყმაწვილის წლები მოდის ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის ახალ აფეთქებაზე.

„ისლამური ჯიჰადი“, როგორც თვით სახელწოდებიდან ჩანს, თავის მიზნად მიიჩნევს, აწარმოოს საღმრთო ომი დაუძინებელი მტრის — ისრაელის სახელმწიფოს წინააღმდეგ.

სკოლაში ბიჭებს ასწავლიან, რომ ხალხის ხოცვა კარგი საქმეა, და არა ნაკლებ კარგია — ამ დროს საკუთარი სიცოცხლე მესწირო ბრძოლას.

გამოცდილი დამრიგებლები ბავშვებს ეუბნებიან, რომ ისრაელთან ბრძოლის ყველაზე ეფექტიანი საშუალებაა ტერორისტული აქტები, რომელთა დროს მებრძოლები თავს იფეთქებენ ხალხმრავალ ადგილებში.

„ჩვენ ვასწავლით ბავშვებს, რომ აფეთქებები, რომლებსაც თვითმკვლელი მებრძოლები აწყობენ, ერთადერთია, რისაც ეშინიათ ებრაელებს. გარდა ამისა, ვეუბნებით, რომ ასეთი თვითმკვლელობის შემდეგ ისინი აუცილებლად მოხვდებიან სამოთხეში, როგორც დიდი წამებულები“.

ბუნებრივია, ისრაელებს თავზარს სცემს ასეთი რამ. პალესტინელთა ახალი თაობა, ამბობენ ისინი, სიძულვილის სულისკვეთებით იზრდება. ასე აღარ შეიძლება გაგრძელდეს.

„მხამიანი სიტყვები წამლავენ ცნობიერებას, ხოლო მოწამლული ცნობიერება წარმოშობს ძალადობას, ტერორს და ისრაელთა მკვლელობებს“, — ამბობს ისრაელის განათლების მინისტრი ლიმორ ლივნატი.

მაგრამ „ისლამური ჯიჰადი“, რა თქმა უნდა, არ აპირებს, ყურად იღოს ამ სკოლის დახურვის მოწოდებები. ღაზაში ბევრი პალესტინელი სრულიად დარწმუნებული ამბობს, რომ ეს არის უშუალო პასუხი ისრაელის ოკუპაციაზე.

აი, როდესაც ისრაელი დატოვებს პალესტინელთა ტერიტორიას, მაშინ ბავშვებს აღარ ასწავლიან ძალადობის აქტებს და ისინი აღარ იოცნებებენ იმაზე, თუ როგორ აიფეთქონ თავი და ააფეთქონ სხვები.

## მაკედონია ბრალს სდებს

**მაკედონიის პრემიერ-მინისტრმა ლუბჩო გეორგიევსკიმ კრიტიკის ქარცეცხლი დაატეხა თავს ორ საერთაშორისო შუამავალს, რომლებიც ცდილობენ, ბოლო მოუღონ სასტიკ კონფლიქტს, აგერ უკვე ხუთ თვეზე მეტია რომ გრძელდება ქვეყანაში.**





ქვეყნის სლავურ და ალბანურ თემებს შორის მშვიდობის დამყარების უკანასკნელ გეგმას გეორგიევსკიმ „უხეში ჩარევა“ უწოდა.

მან ბრალად დასდო შუამავლებს — ამერიკის დესპანს ჯეიმს პარდიუსა და ევროკავშირის წარმომადგენელს ფრანსუა ლეოტარს — რომ მათ ფარ-ხმალი დაყარეს ალბანელთა მოთხოვნების წინაშე და ცდილობენ, დაანგრიონ ქვეყანაში მოქმედი ხელისუფლების ინსტიტუტები. გეორგიევსკის თქმით, მაკედონიას წაუყენეს ულტიმატუმი. მას მუქარისა და შანტაჟის ენით ელაპარაკებიან.

მას შემდეგ, რაც საშაბათს მშვიდობიანი მოლაპარაკება ჩიხში მოექცა, ქვეყანას ნამდვილად ემუქრება სრულმასშტაბიანი კრიზისი.

მაკედონიის ყველა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებთან შუამავალთა შეხვედრაზე ქვეყნის პრეზიდენტი ბორის ტრაიკოვსკი შეეცადა, განხილვა გადაეყვანა ადრეული გეგმის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს ნაკლები მოცულობის დათმობებს ალბანელი ეროვნული უმცირესობისადმი. მაგრამ წამყვანმა მაკედონელ-ალბანელმა პოლიტიკოსმა არბენ ჯაფერიმ პროტესტის ნიშნად დატოვა შეხვედრა და, შუამავლები აღიარებენ, რომ მოლაპარაკების მაგიდასთან მისი დაბრუნება ძნელი საქმე იქნება.

ოთხშაბათს შუამავლები მთელი დღის განმავლობაში ცდილობდნენ თავიდან აეცილებინათ სამშვიდობო პროცესის სრული ჩაშლა.

იმ ბრალდებების შემდეგ, რომ პარდიუ და ლეოტარი მხარს უჭერენ ალბანური ენისათვის მაკედონურთან თანასწორი უფლებების მინიჭებას, შუამავალნი იძულებული გახდნენ, ოფიციალური განცხადებით გამოსულიყვნენ. განცხადებაში მათ განმარტეს, რომ წინადადებას აყენებენ, დარჩეს მაკედონური ძირითადი სახელმწიფო ენის სტატუსით.

შუამავლებმა, აგრეთვე, ხაზი გაუსვეს, რომ მათი უკანასკნელი გეგმა ითვალისწინებს მაკედონიის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებას.

აქამდე ვარაუდობდნენ, რომ ხუთშაბათს მაკედონიაში ჩავიდოდნენ ნატოს გენერალური მდივანი ჯორჯ რობერტსონი და ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის კოორდინატორი ხავიერ სოლანა, რათა ახალი იმპულსი მიენიჭებინათ სამშვიდობო პროცესისათვის.

მაგრამ ახლა, დასავლელი დიპლომატები ამბობენ, რომ ეს ვიზიტი ჯერჯერობით გადაიდო, წერს დასასრულ პოლ ადამსი, ბი-ბი-სის სკოპიელი კორესპონდენტი.

## Amnesty პოლიტკოვსკაიას აჯილდოვებს

ლონდონში გაიმართა პრესისათვის განკუთვნილი ჯილდოების გადაცემის ცერემონია, რომლებიც 10 წლის წინათ დააფუძნა **Amnesty International** მართლქომაგთა ორგანიზაციამ. იყო რამდენიმე ნომინაცია — მათ შორის — მსოფლიო პრემია უფლებების დამცველი ჟურნალისტიკისათვის **Media Awards** იგი მიიღო რუსმა ჟურნალისტმა **ანა პოლიტკოვსკაიამ.**

**Media Awards** ჯილდო ჟურნალისტებს ენიჭებათ კონკრეტული მასალებისათვის, და პოლიტკოვსკაიას შემთხვევაში — ეს იყო მისი სტატია „ნოვაია გაზეტას“ 26 თებერვლის ნომერში — „კომერციული ყაიდის საკონცენტრაციო ბანაკი“. მაგრამ, როგორც ლონდონის ცერემონიაზე აღინიშნა, **Amnesty**-მ პოლიტკოვსკაია ჯილდოზე წარადგინა არა მარტო და არა იმდენად ერთი სტატიისათვის, რამდენადაც ჩეჩნეთის ამბების გასაშუქებლად მისი მრავალი წლის მუშაობისათვის.

„ეს პრემია აღიარებაა ანა პოლიტკოვსკაიას ჟურნალისტური ვაჟკაცობისა, რომელმაც ამხილა ჩეჩნეთში მიმდინარე ამბების მთელი საშინელება, — თქვა მართლქომაგთა ორგანიზაციის პრესსამსახურის მეთაურმა რიჩარდ ბანტინგმა. — თავისი რეპორტაჟებით ჩეჩნეთში ადამიანთა წამებისა და მკვლელობების შესახებ პოლიტკოვსკაიამ უნიკალური წვლილი შეიტანა ჩვენს საერთო ბრძოლას. ცერემონია დროის მიხედვით დაემთხვა ლონდონში ანა პოლიტკოვსკაიას წიგნის — „ბინძური ომის“ გამოსვლას. ეს არის 1999-2001 წლის სტატიების გადამუშავებული თარგმანი. თებერვალში პოლიტკოვსკაია ჩეჩნეთში დააკავეს რუსეთის ჯარებმა.

## სახელმწიფო დეპარტამენტი განგაშს ტეხს

**ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ გამოაცხადა, რომ მზადდება ტერორისტული აქციები ამერიკის ინტერესების წინააღმდეგ არაბეთის ნახევარკუნძულზე. რეგიონში მყოფ ამერიკელ მოქალაქეებს ურჩევენ, გამოიჩინონ უაღრესი სიფრთხილე და სიფხიზლე.**

ეს უკვე მეორე გაფრთხილებაა, რომელიც აშშ სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაქვეყნა ბოლო ერთი თვის მანძილზე. იენისში განგაში გამოცხადდა მთელი მსოფლიოს მასშტაბით.





ამჯერად საქმე ეხება მხოლოდ არაბეთის ნახევარკუნძულს. ამასთან, სახელმწიფო დეპარტამენტი აცხადებს, რომ არ გააჩნია ინფორმაცია, თუ რა ობიექტებმა შეიძლება განიცადონ თავდასხმა, როდის და როგორ არის დაგეგმილი ამ თავდასხმების განხორციელება.

უკანასკნელი ორი გაფრთხილება გამოხატავს უკიდურეს დაძაბულობას, რომელიც შეერთებულ შტატებში წარმოიშვა მას შემდეგ, რაც გასული წლის შემოდგომაზე იემენში თავს დაესხნენ ამერიკის „კოულ“ ნაღმოსანს (მაშინ 17 კაცი დაიღუპა).

იემენში ფებ სპეციალისტთა ჯგუფი, რომელიც იემენის ინციდენტს იძიებდა, იძულებული გახდა, დაეტოვებინა ქვეყანა, რადგან მის უშიშროებას საფრთხე ემუქრებოდა.

ცოტა ხნის შემდეგ გამოქვეყნდა პირველი გაფრთხილება აშშ ფარგლებს გარეთ მყოფი ამერიკელი მოქალაქებისადმი. იმავე დროს, აშშ სამხედრო საზღვაო ძალების ყველა ხომალდმა, რომლებიც სპარსეთის ყურეში იმყოფებოდნენ, მიიღო გაფრთხილება, ყოველი შემთხვევისათვის გამოსულიყვნენ ნავსადგურებიდან.

ჯერჯერობით არავინ იცის, რა ღონისძიებების გატარებას აპირებენ ამერიკელი სამხედროები ამჯერად, მაგრამ აშშ მთავრობის ყველა ობიექტი გაძლიერებული განგაშის მდგომარეობაზე ჰყავს გადაყვანილი.

სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში არ არის ნათქვამი, სახელდობრ, რა წყაროდან მომდინარეობს მუქარა ამერიკის ინტერესებისადმი, მაგრამ არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ამერიკელებს კვლავინდებურად ყველაზე მეტად აღელვებს საგონებელში რადიკალ ისლამისტთა ლიდერი უსამა ბენ ლადენი, წერს დასასრულ **ჯონ ლეინი,** ბი-ბი-სის კორესპონდენტი.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით უძღვება
*არჩილ მანჯგალაძე.*

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## სასამართლო რეფორმა

**ნინო ზვენეტაძეს მოსამართლეობის პატივი მაღალი პროფესიონალიზმისა და იურიდიული მეცნიერების განვითარება-განმტკიცებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის ხვდა წილად. იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატს, ნაშრომებისა და მონოგრაფიების ავტორს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლეს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის კათედრის დოცენტს მოსამართლეთა კორპუსმა საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს ხელმძღვანელობაც მიანდო. ქალბატონმა ნინომ ამ საბჭოს საქმიანობის ანგარიში თავის კოლეგებს ახლახან გამართულ მოსამართლეთა კონფერენციაზე წარუდგინა.**

**სტატისტიკა ასეთია: მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოში ერთი წლის განმავლობაში შესულია 72 დისციპლინური სამართალწარმოების საქმე 98 მოსამართლის მიმართ, აქედან დღეისათვის განხილულია 56 საქმე 78 მოსამართლის მიმართ. 20 მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნა აღიძრა ორჯერ და მეტჯერ.**



# მოსამართლის შეფასება მხოლოდ მოსამართლეს შეუძლია

**— სტატისტიკა იმაზე ხომ არ მიუთითებს, რომ მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდები საკმარისი არ აღმოჩნდა კვალიფიციური და კეთილსინდისიერი მოსამართლეების შესარჩევად?**

— გამოცდაჩაბარებულ სასამართლო კორპუსს მთლიანად ახალი საკანონმდებლო აქტებით მოუწია მუშაობა და ბუნებრივია, შეცდომებისაგან დაზღვეულნი ვერ იქნებოდნენ. ამაზე თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ სადისციპლინო საბჭოში შემოსული თითქმის ყველა დისციპლინური საქმე ნაწარმოებია „საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-2 მუხლში მითითებული მხოლოდ ორი საფუძვლით. ეს გახლავთ საქმის განხილვისას მოსამართლის მიერ კანონის უხეში დარღვევა და საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება, მოსამართლის მოვალეობების არაჯეროვნად შესრულება, ანდა, შრომის დისციპლინის სხვაგვარი დარღვევა.

**— ამავე კანონის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების საფუძველია კორუფციული სამართალდარღვევა ან თანამდებობრივი მდგომარეობის გამოყენება მართლმსაჯულებისა და სამსახურებრივი ინტერესების საზიანოდ. ამის საბაბი გამოცდაჩაბარებულებს არ მოუციათ?**

— აღნიშნული საფუძვლით სადისციპლინო საბჭოს მიერ არც ერთი მოსამართლე არ დასჯილა. ვფიქრობ, ეს იმ სირთულით არის განპირობებული, რაც ასეთი კატეგორიის სამართალდარღვევის გამოვლენას და დამტკიცებას სჭირდება. თუ მოსამართლესა და მხარეს შორის გარიგებას აქვს ადგილი და მხარემ ეს ფაქტი გამოავლინა, აღნიშნული სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებაა და საგამოძიებო ორგანოების კომპეტენციაა.

**— პასუხისმგებლობის რა ფორმები გამოიყენება დისციპლინური სამართალდამრღვევი მოსამართლის მიმართ?**

— კანონი ითვალისწინებს დისციპლინური სახდელისა და დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებებს. დისციპლინური სახდელის ყველაზე მკაცრი სახეა მოსამართლის თანამდებობიდან განთავისუფლება.

**— საანგარიშო პერიოდში სახდელის რა სახეები გამოიყენეთ?**

— სადისციპლინო კოლეგიების მიერ 4 დისციპლინურ საქმეზე გაამართლეს შვიდი მოსამართლე, ხოლო სადისციპლინო საბჭომ — ერთ საქმესთან დაკავშირებით — ერთი მოსამართლე.

14 მოსამართლის მიმართ გამოყენებულია დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება — კერძო სარეკომენდაციო ბარათი. 17 მოსამართლის მიმართ დისციპლინური სახდელის სახით კი შენიშვნა, 11 მოსამართლეს გამოეცხადა საყვედური, 5 მოსამართლე თანამდებობიდან განთავისუფლდა, აქედან ერთ-ერთის მიმართ დისციპლინური სახდელი 5-ჯერ არის გამოყენებული.

**— კონფერენციაზე განიხილეს და მიიღეს მოსამართლეთა ეთიკის კოდექსი, რომლის დარღვევაც დისციპლინურ პასუხისმგებლობას იწვევს. როგორ შესძლებთ ამ სახის დარღვევის გამოვლენას და დისციპლინური სახდელის დაკისრებას?**

— საანგარიშო პერიოდში ეთიკის ნორმების დარღვევისათვის მოსამართლე არ დასჯილა. ვფიქრობ, კოდექსის მილების შემდეგაც იოლი არ იქნება ამ სამართალდარღვევისათვის მოსამართლის პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტა. უცხოელი ექსპერტებიც, ჩვენთან საუბრისას, ხშირად ამახვილებენ ყურადღებას ამ კატეგორიის საქმეთა განხილვის სირთულეზე, თუმცა, პრაქტიკა დააზუსტებს და დააკონკრეტებს ეთიკის იმ ნორმებს, რომელთა დარღვევისათვის მოსამართლისადმი დისციპლინური პასუხისმგებლობა განხორციელდება.

**— რამდენადაც ცნობილია, კანონის უხეში დარღვევის საფუძვლით მოსამართლისადმი დისციპლინური დევნის აღძვრის ფუნქცია იუსტიციის საბჭოსაც აკისრია. რამდენად გამართლებულია ამგვარი თანაარსებობა?**

— სათათბირო ორგანოს — საქართველოს იუსტიციის საბჭოს მიერ დისციპლინური დევნის წარმოება მოსამართლეთა კორპუსში აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა, რადგან მოსამართლის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერების შემფასებელი მხოლოდ და მხოლოდ ზემდგომი ინსტანციების სასამართლოა. ამ ინსტანციას საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული აქვს კერძო დადგენილების მიღების უფლება. გარდამავალ პერიოდში მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის ფუნქცია იუსტიციის საბჭოსაც ეკისრებოდა, დღეისათვის ეს ფუნქცია მოსამართლის მიერ კანონის უხეში დარღვევის საფუძვლით მხოლოდ და მხოლოდ სასამართლო ორგანოების კომპეტენციაა და ამით უზრუნველყოფილია მოსამართლეთა დამოუკიდებლობის კონსტიტუციური პრინციპის დაცვა.

**— წარმოუდგენელია თავდაუზოგავი შრომითა და უმკაცრეს კონკურსში გამარჯვებით მოპოვებული თანამდებობის დაკარგვის შედეგებს არ ითვალისწინებდნენ ის მოსამართლეები, რომლებიც კოლეგების სამართალდარღვევებზე მსჯელობენ, ე. ი. დისციპლინური ბრალდების მხარდამჭერად გვევლინებიან და ალბათ, ამის გამო უჭირთ კიდეც მოსამართლის ქმედების პირუთვნელი შეფასება, რა გამოსავალს ხედავთ?**

— დიახ, ხშირად სადისციპლინო კოლეგიებსა და საბჭოში წარმოდგენილი ბრალდების მხარდამჭერი მოსამართლეები პასუხისგებაში მიცემული კოლეგების დამცველნი უფრო არიან. ამიტომ შეიქმნა აზრი დისციპლინური ბრალდების მხარდასაჭერად არამოსამართლეების მოწვევის აუცილებლობისა და შესაბამისად, კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ. ჩემი აზრით, კანონმდებელი მართალია, როცა ბრალდების მხარდამჭერის ფუნქციას მხოლოდ და მხოლოდ მოსამართლეს აკისრებს, მაგრამ მთავარია მოსამართლეებმა გაითავისონ ეს პასუხსაგები მოვალეობა და პირუთვნელი შეფასება მისცენ კოლეგების საქმიანობას, რაც თავიდან აგვაცილებს მოსამართლეთა შეცდომების განმეორებას და განაწყენებული მოქალაქეების რიცხვსაც შეამცირებს. ბოლოს მინდა აღვნიშნო, რომ მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის პრობლემა ურთულესი და ძალზედ ფაქიზი საკითხია და ამ საქმის წარმატებით გაძღოლას სჭირდება, როგორც საზოგადოების მართლშეგნების დონის ამაღლება, ასევე, მოსამართლეთა კორპუსის პოზიტიური დამოკიდებულება ამ ინსტიტუტისადმი, რაც საბოლოოდ მართლმსაჯულების წარმატებით განხორციელების საწინდარია.

ესაუბრა
**ლეილა კოშკაძე.**

## ღვაწლი

# განვლილი გზის დაფასება

პროფესიის ერთგულების აღიარების ჭეშმარიტად სახალხო ზეიმი გაიმართა ბორჯომის კულტურის სახლში, სადაც საზოგადოებრიობამ საოცრად გულთბილი და ამაღელვებელი საღამო მიუძღვნა ბორჯომის რაიონის კავშირგაბმულობის ხუთ ღვაწლმოსილ მუშაკს — შალვა ტალახაძეს, შოთა ტურაბელიძეს, შურიკო ტურაბელიძეს, ივანე გიგოლაძეს და ალკივიად ბაგატუროვს.

ამ ღვაწლმოსილ ადამიანთა ნახევარსაუკუნოვან საქმიანობას კიდევ უფრო ღრმა შინაარსს ანიჭებდა რაიონის კავშირგაბმულობის განყოფილების 80 წლისთავის აღნიშვნა.

„საქართველოს ელექტროკავშირის“ ბორჯომის ფილიალის უფროსის გია წიქარიშვილის გულთბილი შესავალი სიტყვის შემდეგ, იუბილარ მუშაკებს მიესალმნენ ბორჯომ-ახალქალაქის ეპისკოპოსი მეუფე სერაფიმე, ბორჯომის რაიონის გამგებელი ემზარ ასპანიძე, სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორის მოადგილე ვაჟა ბერიძე, „საქართველოს ელექტროკავშირის“ გენერალური დირექტორი თემურ ბუცხრიკიძე, ბორჯომის მერი ავთანდილ გონგლაძე, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი ეთერ აფხაიძე, საქართველოს პარლამენტის წევრი, მწერალი ნოდარ გრიგალაშვილი, საფინანსო განყოფილების უფროსი ჯუმბერ კურტანიძე და სხვები.

ღვაწლმოსილ ადამიანებს გულთბილ სიტყვებთან ერთად საღამოს მონაწილეებმა უძღვნეს ფასიანი საჩუქრები, თითოეულ მათგანს გადაეცა პრემია 900 ლარის ოდენობით, ისინი ქალაქის საპატიო მოქალაქეებად აირჩიეს.

**რობერტ ცუცქირიძე,**
**საქინფორმის კორ.**

არგოტური
სიახლე ! ! !

• ვიზები რუსეთში 35 — დან

• ავიაკომპანია «უზბეკეთის ავიახაზებით»
ყველაზე დაბალ ფასებში მგზავრობა
შუა აზიის ქვეყნებში, იაპონიაში, ჩინეთში,
ინდოეთში, პაკისტანში, სამხრეთ კორეაში,
ტაილანდში, მალაიზიაში, ბაჰრეინში

მოგვმართეთ:
ცენტრალური ოფისი: ზალდასტანიშვილის 28/8 ტ.: 29-27-06, 29-27-79
მარჯანიშვილის 5 ტ.: 95-26-34, 95-39-85 შევჩენკოს 10 ტ.: 92-17-80, 98-51-86
ლ. ასათიანის 1 ტ.: 94-16-33, 95-65-99 წერეთლის 142ა ტ.: 29-01-73
ფარტავას 7 ტ.: 38-87-08, აეროპორტი, სალარო №15 ტ.: 94-71-78, 94-73-55
ფაქსი: 22-04-22, 29-27-01 E-mail: argoadnim@gol.ge

**განცხადება**

2001 წლის 1 ივლისის მდგომარეობით მიმდინარეობს სააქციო საზოგადოება „ტრანსმშენის“ თბილისის № 1, № 2, ზესტაფონის, ხარაგაულის, სოხუმის, მექანიზაციის და ტრანსპორტის, „ხიბლის“ სამრეწველო ფილიალების ლიკვიდაცია.

კრედიტორებმა, სხვა დაინტერესებულმა პირებმა, ერთი თვის ვადაში მოგვმართონ მისამართით: თბილისი, დოლიძის ქ. № 2, ტელ: 33-10-54; 33-23-06.

სს „ტრანსმშენის“ დირექცია.

## არასამთავრობო სექტორი

# მომველდა ლექსი „ნუ გინდა ქალი უცხო მხრის“...

ჟურნალ „არილის“ წინა ნომერში (№11) თამრი ფხაკაძის მოთხრობა „აქ“ წავიკითხე.

ჩემთვის უცნობი მწერლის ამ პაწია თხზულებამ საოცრად ამაფორიაქა.

უპირველეს ყოვლისა, იმედით აღმავსო: როგორც იტყვიან, „კოჭებში ეტყობა“, რომ საინტერესო ხედვის, სიღრმისეულად მჭვრეტელი მწერალია და მისგან ბევრს უნდა ველოდეთ; გასაოცარია, ჟურნალის ერთ გვერდში რა დიდოსტატურად ჩაატია უმწვავესი ეროვნული პრობლემა, თითქოს გროტესკულად, თითქოს იუმორით, მაგრამ უზარმაზარი შინაგანი ტკივილით, დამაჯერებლად, გადამდებად.

ახლა თვით იმაზე, რასაც თამრი ფხაკაძე ასე შთამბეჭდავად გვიამბობს: მოთხრობის გმირი ქალის „სადაქალოდან“ ერთი შტატებში გათხოვილა, მეორე — სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, მესამე — ხარაგაულში, მეოთხე მონაზვნად აღკვეცილა ღედათა მონასტერში... ის კი თბილისში დარჩა, ვერ მოშორდა „უდენოს, უფულოს, უსამართლოს და ზოგჯერ უსინდისოს, მაგრამ მაინც თბილისს“.

გათხოვდნენ გმირის დაქალები ამერიკაში, აფრიკაში, რადგან:

— აბა, აქ რას ველოდო? გოელროს გეგმას?

— დარჩი აქ, გახმი, გაატარე ცხოვრება გაჭედილ ლიფტში!

— ნუ, რა ყველაფერი? ნავთის ლამფა?! თუ ცრუპენტელა არჩევნები?! თუ რა?! დახეული კალგოტკა?! ცარიელი მაცივარი?! ქალი ვარ, გაიგე!? ახალგაზრდა ქალი! ახლა მინდა ყველაფერი!

— იცი რაა? თავს უშველე, დაო, წადი, მოხიე აქედან. ქალი ხარ — სუპერი. შენს ადგილას, ჰოლივუდში გავიჩითებოდი, მტერუცა.

იგი ვერ შველია თბილისს, სამშობლოს... მხოლოდ ამით და ზოოპარკში გალიაში ჩაკეტილი ლომის მიმართ გამოთქმულ თანაგრძნობით არის გამოხატული მისი პროტესტი დაქალების არჩევანზე: „იცი, მე რომ წავიდე სადმე — ვთქვათ, სამხრეთ აფრიკაში... ზუსტად ეგრე ვიქნები იქ, აი, შენ რომ ხარ, ლეო“.

მაგრამ ამით ბევრი რამ არის თქმული... იმიტაც, რომ ამას ჭაღარა დიდაქტიკოსი კი არა, ახალგაზრდა ქალი წერს...

მიდიან, თხოვდებიან ჩვენი გოგონები ამერიკაში, ევროპაში, მცირე თუ დიდ აზიაში და მხოლოდ თვითონ კი არ გვაკლდებიან, საქართველოს ხვალინდელი დღეც გააქვთ: ვანიკოს, სულიკოს, ქეთინოს, ვასიკოს, ეკას ნაცვლად იოჰანს, სულეიმანს, კეტის, ვასიას, კატარინას აჩენენ...

ოღონდ საყვედურად არ ვამბობ ამას (ისევე, როგორც თამრი ფხაკაძე), ფაქტის კონსტატირებას ვახდენ მხოლოდ. არც შეფარული ღვარძლით ვაფრთხილებ ვინმეს, დადგება დრო, როცა იქ, უცხოეთში, ხელახლა იპოვი დღეს დედინაცვლად მიჩნეულ სამშობლოს, რომელსაც გაექეცი და ინანებ, რომ შენი ტოტი შენს მშობლიურ ბუჩქზე არ მოტეხეო. არა, ღვარძლით არა, უბრალოდ, გული მტკივა, ამდენ შვილს რომ ვკარგავთ. ბოლოს და ბოლოს, ყველა თავისი თავის პატრონია, ყველას აქვს უფლება იქ ყოფნა აირჩიოს, სადაც უკეთესად იქნება, ბოლოს და ბოლოს, ადამიანი ერთხელ ცხოვრობს, ბოლოს და ბოლოს გულს ვერ უბრძანებ...



აბა ის სჯობდა, ჭორად რომ ამბობენ, უკლონისტები ოციან წლებში დეკრეტის გამოცემას მოითხოვდნენ, ქართველ ქალს, რომელიც უცხოტომელს გაჰყვება, ქართველობის უფლება აეყაროსო?

ოღონდ, თუ სიყვარულს გასადევნებლად კი არა, მხოლო შეჭირვებისგან გასაქცევად აიკრიფეს ფრთები ჩვენმა ქალიშვილებმა, და თუ ასე გაგრძელდა, ჰეეე...

მაგრამ რატომ მხოლოდ ქალიშვილებზე ვლაპარაკობ! ჩვენი ბიჭები რა, ნაკლები წარმატებით შეეტკბნენ უცხოელ მეუღლეებს?

სტატისტიკოსები განგაშით იუწყებიან, რომ იმ პრობლემათა შორის, რომელიც თავს დაატყდა ახალგაზრდა ქართულ სახელმწიფოს, ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო უკვე დაწყებული დეპოპულიზაციის პროცესია. მიგრაცია ხელს უწყობს შერეული ოჯახების შექმნას. ასეთი ოჯახები ყოველთვის ვერ ახერხებენ უმტკივნეულოდ შეეგუონ ახალ პირობებს. მათ წინაშე მრავალი ეკონომიკური, იურიდიული, სოციალური, ფსიქოლოგიური და სხვა სირთულე წარმოიქმნება. მათი გადაჭრა ადვილი არაა. ეს პრობლემები აქტუალურია, როგორც საქართველოდან წასული, ისე აქ მუდმივ საცხოვრებლად ჩამოსული პირებისათვის...

— ვერ გეტყვით, კარგია თუ ცუდია შერეული ოჯახები რომ იქმნება, მაგრამ ჩვენი მოწონება-დაწუნების მიუხედავად, უცხოელი სიძეები და რძლები მოგვიმრავლდნენ და ეს მოვლენა უყურადღებოდ არ უნდა მივატოვოთ, ასეთი ოჯახების კვლევა საინტერესოა, სხვათა შორის, არა მხოლოდ წმინდა მეცნიერული თვალთახედვით, არამედ პრაქტიკული მოსაზრებითაც, — მითხრა ჩვენში ამ ორიოდ წლის წინათ დაფუძნებული საერთაშორისო ფონდის „ფემილის“ თავმჯდომარემ ამირან სხირტლაძემ.

**ბატონი ამირანი (ქართულმა საზოგადოებრიობამ მას ამ დღებში 60 წლისთავი მიულოცა) ინჟინერი და ეკონომისტია, ორი ათეული სამეცნიერო ნაშრომის ავტორი გახლავთ, მათ შორის მონოგრაფიებისა. მისი სამეცნიერო ინტერესები მოიცავს განათლებისა და ტრანსპორტის ეკონომიკას, აგრეთვე დემოგრაფიის საკითხებს. ბოლო წლებში, ძირითადად, სოციოლოგიურ და დემოგრაფიულ გამოკვლევებზე მუშაობს.**

ამირან სხირტლაძე ფონდის მიზნებსა და ამოცანებს მიცნობს: საქართველოში მცხოვრები შერეული (ბიეთნიკური) ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური პირობების კვლევა; უცხოეთში მცხოვრები ქართველების მიერ შექმნილი ოჯახების შესახებ ინფორმაციის მოპოვება, მათთან მჭიდრო კავშირის დამყარება და გარკვეულწილად იმის ცდა, რომ ისინი აქტიურად ჩაებან საქართველოსთან ურთიერთობაში; შერეული ოჯახების წევრთათვის, რომლებიც მოწყვეტილნი არიან სამშობლოს, ხელის შეწყობა ფსიქოლოგიური განმარტოების გადალახვაში. ამჟამად ამუშავებენ ბიეთნიკური ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გაუმჯობესების პროგრამებს. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ერთობლივი საწარმოების დაფუძნებას, რაც, ერთი მხრივ, გულისხმობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, მეორე მხრივ კი მიგრაციული და დემოგრაფიული პრობლემების შერბილებას. პირადი, ნათესაური, მეგობრული და საქმიანი კავშირები შერეული ოჯახის წევრებს საშუალებას მისცემს გამყარონ საკუთარი ეკონომიკური ბაზა და ქვეყნის საერთო ეკონომიკურ პროცესშიც ჩაერთონ.

ფონდი რეგიონებში, კუთხეებში ქმნის წარმომადგენლობებს. „ფემილის“ სახელმწიფო ორგანოებისა და სტრუქტურების დიდი მხარდაჭერა აქვს, სახელმწიფო უწყებები ითვალისწინებენ ამ ფონდის მიერ წამოწყებულ კეთილ საქმეებს, რათა შეძლებული ბიეთნიკური ოჯახების წევრები ქვეყნის ეკონომიკისა და ტურიზმის აღორძინებაში დაიხმარონ. ბატონი ამირანი ვარაუდობს, რომ სწორედ ტუროსტული ბიზნესი იქნება წამყვანი მათი საქმიანობაში.

ვარაუდობენ, რომ ფონდი „ფემილი“ მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს არსებული კონფლიქტების ფონზე შექმნილი გარკვეული სიტუაციების გადაჭრასა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში. ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური შერეული ოჯახების გამოკვლევა და მიღებული შედეგების ანალიზი ხელს შეუწყობს კონფლიქტის ჭეშმარიტი მიზეზების დადგენას: რომ ისინი არა საკუთრივ ეთნოკონფლიქტებია, არამედ მესამე, დაინტერესებული ძალის ჩარევის შედეგად წარმოქმნილი განხეთქილებები. სოციალური გამოკვლევების შესაბამისი მონაცემებით გამყარებული დასკვნა და აუცილებელი მეცნიერული დასაბუთება უეჭველად დაანახებს საუკუნეთა მანძილზე არსებულ კეთილ ურთიერთობათა აღდგენას (ამ თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა ფონდ „ფემილის“ მიერ წარდგენილი პროგრამა „ქართულ-აფხაზური ოჯახების შესაძლებლობები კონფლიქტის მოწესრიგების საქმეში“, რომელიც სახელმწიფო კანცელარიაში განიხილეს და მოიწონეს კიდეც).

ფონდი „ფემილი“ ფეხზე დგება... იმისდა კვალდაკვალ, რაც ღლითიდღე უფართოვდება სამოქმედო არე. მის თავმჯდომარეს ამირან სხირტლაძეს უამრავი სამომავლო გეგმა აქვს.

**ალეკო ასლანიშვილი.**

**სურათზე: საერთაშორისო ფონდ „ფემილის“ თავმჯდომარე ამირან სხირტლაძე შერეული ოჯახის პატარებთან.**

## სიტუაცია

# დიდი შოუ-პროგრამა კუს ტბაზე ... ნუთუ სამხიარულოდ გვაქვს საქმე?!

## მოხდა უბედური შემთხვევა: ვინ აგებს პასუხს?

უძნელესია იმ თემაზე მასალის დაწერა, რომელშიც, ნებსით თუ უნებლიეთ, მოიხსენება 16 წლის ნიკა ხურცილავას ხსენება, უკვე შეწყვეტილი სიცოცხლის გახსენება... შემინდოს უფალმა და მომიტევოს ხურცილავების თავზარდაცემულმა და განადგურებულმა ოჯახმა.

ამ რამდენიმე დღის წინათ, კიდევ ერთმა საზარელმა ამბავმა შეძრა ქალაქი: კუს ტბამ სამარადჟამოდ „შთანთქა“ ხალისით სავსე ნიკას სიცოცხლე...

კუს ტბა ერთ-ერთი ბუნებრივი წარმონაქმნია (არცთუ ისე დიდი მასშტაბის), რომელსაც ყველაზე „მსუბუქ ტბად“ მიიჩნევენ, მასში ჩამდინარე ბუნებრივი წყლის ნიშნების თვალსაზრისით. 2000 წლის პირველი დეკემბრიდან კუს ტბასაც გამოუჩნდა მეპატრონე და, კერძოდ, შეიქმნა ახალი კომპანია — შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო „კუს ტბა XXI“, რომლის დირექტორია თემურ გეორბელიძე. „2000 წლის 1 დეკემბრიდან ჩვენ ვართ კუს ტბის მიმდებარე ტერიტორიის ერთ-ნახევარი ჰექტარისა და მასზე განლაგებულ შენობა-ნაგებობათა მესაკუთრე, გვიამბობს იგი. ჩვენს მიერ გადახდილი მიწის რენტისა და საპრივატიზაციო თანხები შეადგენს 20 ათას ლარს. რაც შეეხება ტბის წყალს: იგი 25-წლიანი იჯარით გვაქვს აღებული. ჩვენდამი დიდ ყურადღებას იჩენს ქალაქის მერია. 2001 წლის დამდეგს მერიამ 42 ათასი ლარი გამოგვიყო, რომელიც ასოთხმოცი მეტრი სიგრძის გვირაბის გამწმენდ სამუშაოებსაც მოხმარდა. ტბაში ბანაობა უფასოა, მაგრამ დანარჩენი მომსახურება — ფასიანი. საერთოდ, მძიმე კომერციულ დატვირთვებს ვერიდებით, მაგრამ თუ რაიმე შემოსავალი არ გვექნა, ხომ ვერ შევძლებთ ამ ობიექტის მოვლა-პატრონობას, და ოთხ ათეულზე მეტი კაცის შენახვას?“

ამ მომენტისათვის, ალბათ, არ არის მნიშვნელოვანი გავაცნოთ ჩვენი საუბრის დეტალები, რომლებიც, ძირითადად, „კუს ტბა XXI“ სამომავლო განვითარების ბიზნეს-გეგმებს შეეხება. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თემურ გეორბელიძესთან შეხვედრამდე, კუს ტბაზე შეხვდი გია ხარძიანს „კუს ტბა XXI“ გენერალურ მენეჯერს, დირექტორის მოადგილეს, რომელიც იმ საბედისწერო დღეს აქ დატრიალებული უბედურების თვითმხილველია. აი, რა გვიამბო მან:

— „მაშველებმა ვერ შეძლეს ბავშვის გადარჩენა, ამიტომ, ჩემი თანხებით გამოვიძახე მყვინთავები, სასწრაფო დახმარების მანქანა და ექსპერტი. ორმოც წუთში ბავშვი 6 მეტრის სიღრმიდან ამოიყვანეს. რაც შეეხება სამაშველო სამსახურს და 2 მაშველს, მათ ტექნიკურ და ფინანსურ უზრუნველყოფას ჩვენ ვახორციელებთ. გარდა მაშველებისა ტერიტორიას აკონტროლებენ დაცვის სამსახურის თანამშრომლებიც. მოტორიანი ნავის საშუალებით მაშველი ყოველ ორმოც წუთში აკონტროლებს ტბის ტერიტორიას, გარდა ამისა, მეგაფონით ვაფრთხილებთ დამსვენებლებს. ამ უბედური შემთხვევის დღეს დაცვამ და მაშველებმა რამდენჯერმე გააფრთხილეს ნიკა ხურცილავა, რომ არ გაეცურა „აკრძალულ ზონაში“... დირექტორის მოადგილემ ამ თემაზე საუბრის გაგრძელება აღარ ისურვა და... გაუჩინარდა.

ბუნებრივია, საუბარს თემურ გეორბელიძესთან ვაგრძელებ. ამთავითვე ვიტყვი, ჩვენი დიალოგი საკმაოდ მძაფრი ხასიათისა იყო.

**— სამწუხაროდ, კუს ტბაზე მოხდა უბედური შემთხვევა... ამასთან დაკავშირებით ვისი პასუხისმგებლობის საკითხი დგება: სამაშველო სამსახურისა თუ...**

— ძალიან ვწუხვართ, რომ ასეთი ფაქტი მოხდა. გულისტკივილზე დიდი პასუხისმგებლობა ნამდვილად არ არსებობს. კუს ტბის ტერიტორიაზე შემოსვლას არავინ არ კრძალავს და ბანაობაც უფასოა. იმ ადგილას კი, სადაც ეს შემთხვევა მოხდა, ბანაობა აკრძალულია.

**— თუ გაქვთ გაფორმებული სამაშველო სამსახურთან ოფიციალური ხელშეკრულება მხარეთა ვალდებულებისა და პასუხისმგებლობის გათვალისწინებით?**

— ჩვენ გვაქვს გაფორმებული ოფიციალური ხელშეკრულება. მიგვაჩნია, რომ ორი მაშველი ამ ეტაპზე საკმარისია, შევეცდებით, გავყვადეთ მყვინთავიც. განსაკუთრებით ვაკონტროლებთ ბანაობისათვის აკრძალულ ზონას. იმ შემთხვევაში თუ მაშველმა დაინახა, რომ იქ ბანაობენ, მაშინ ამ ტერიტორიას აკონტროლებს მოტორიანი ნავის საშუალებით.

**— თქვენ თქვით, რომ ბავშვი ბანაობდა აკრძალულ ზონაში. რატომ არ მიიღეთ სათანადო ზომები?**

— იგი მრავალჯერ გააფრთხილეს, დაცვამ ერთხელ ამოიყვანა წყლიდან, მაგრამ... სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ თვით მოქალაქეები არ ემორჩილებიან დადგენილ წესებს...

ბევრი რამ მართლაც უკვე სამწუხარო და გამოუსწორებელია...



ნიკა ხურცილავა.

ამჯერად მკითხველის ყურადღება მინდა მივაპყრო შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოს ქ. თბილისის წყალში მაშველთა სამსახურის დირექტორის ომარ ბერიანიძისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოს „კუს ტბა XXI“-ის დირექტორის თემურ გეორბელიძის შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომელშიც მითითებულია მხარეთა ვალდებულებანი და პასუხისმგებლობის საკითხები. ხელშეკრულება ძალაშია 2001 წლის 2 იენისიდან (სადაც იენისი ხელნაწერით არის შეტანილი) 1 ნოემბრის ჩათვლით. ამ ხელშეკრულების გაცნობის შემდეგ მრავალმა აზრმა გაიელვა გონებაში და ერთი რამ, რაც უდაოდ მისახვედრია, ის არის, რომ პასუხისმგებლობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. ხელშეკრულების მიხედვით, „მაშველთა სამსახური ვალდებულებას იღებს სამაშველო ზედამხედველობის მომსახურება გაუწიოს როგორც კუს ტბის პლაჟზე დამსვენებლებს, ასევე „კუს ტბა XXI“-ის კუთვნილი ნიჩბიანი ნავების გამქირავებელი პუნქტის მუშაობას“. (ხელშეკრულების სტილი დაცულია). მაცხოვრებლობა, ვის აყრით თვალში ნაცარს? სად პლაჟზე დამსვენებელი, სად გამქირავებელი პუნქტის მუშაობა და სად მაშველები?! მიყვევით ხელშეკრულების ტექსტს: — „კერძოდ, აკონტროლებს და ღებულობს დამტკიცებული ნორმებით გათვალისწინებულ ზომებს, რათა არ იყოს დარღვეული ნაოსნობისა და ცურვის უსაფრთხოების წესები წყალზე“ (აქაც სტილი დაცულია). როგორი ქართულით არის შედგენილი ეს დოკუმენტი, ეს ქართული ენის სპეციალისტებისათვის შემინდვია, ხოლო ის, რასაც ახლა შევთავაზებ მკითხველს, იგი ნამდვილად „თავსატეხია“ და მასზე ერთად მოგვიწევს ფიქრი და „ტვინის ჭყლეტა“: „და რაიმე გაუთვალისწინებელი უბედური შემთხვევისას სასწრაფო დახმარება აღმოუჩინოს განსაცდელში ჩავარდნილ ადამიანებს, როგორც პლაჟზე მობანავეებს (?!), ასევე ნავებით მოსეირნე დამსვენებლებს.“ — რა ბედნიერებაა ასეთი „რეკომენდაცია“, თუ ამას რეკომენდაცია ჰქვია, სად არის ამდენი კომპეტენტური პირის პასუხისმგებლობა, თუ მარტო ქაღალდზე დაწერილ „ჩაჭიკჭიკებული“ გულგრილი ხელშეკრულების ტექსტი უნდა ვიკმაროთ? არამც და არამც! აქ ხომ ლაპარაკია ადამიანის სიცოცხლეზე! ტკივილი კიდევ უფრო გაამძაფრა უმართობის გრძნობამ...

### „დირექციას მყვინთავების მუშაობა მოეწონა?!“

შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოს თბილისის წყალში მაშველთა სამსახურის დირექტორმა ომარ ბერიანიძემ ამიხსნა სამაშველო სამსახურის მუშაობის მექანიზმი, გულისტკივილით გაიხსენა „ძველი“ დრო, როდესაც თბილისის სამაშველო სამსახური, დამტკიცებული დებულებისა და ინსტრუქციების მიხედვით მუშაობდა. მაშინ, საყოველთაო ნორმების შესაბამისად, კუს ტბაზე მე-3 თანრიგის სამაშველო სადგური ათი თანამშრომლით და ერთი სამედიცინო მედდით იყო დაკომპლექტებული...

იხ. მე-7 გვ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 179. პარასკევი, 20 ივლისი, 2001 წელი.



სიტუაცია

# დიდი შოუ-პროგრამა კუს ტბაზე ... ნუთუ სამხიარულოდ გვაქვს საქმე?!

(მეექვსე გვერდიდან)

მოკლედ, სამაშველო სამსახურის ბაზა, მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვა-მომარაგება, თანრიგების მიხედვით დაკომპლექტებული სამაშველო სადგურებისა და საგუშაგოს საშტატო ერთეულები, ასე ვთქვათ, „იმ დრომ ჩაყლაპა“ და ომარ ბერიანიძის დღემდე დაუვიწყარ მოგონებად დარჩა... დღეს კი თბილისის სამაშველო სამსახურის შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოდ გარდაქმნის მიუხედავად, იგი საბიუჯეტო ორგანიზაციად რჩება – 60 ათასი ლარის წლიური დაფინანსებით, ოცდაექვსი საშტატო ერთეულითა და გაძვალტყავებული ტექნიკური აღჭურვილობით... ომარ ბერიანიძე ამ სამსახურში 1968 წლიდან მუშაობს. როდესაც სამაშველო სამსახურის დებულებისა და ინსტრუქციების გაცნობა მოვინდომე, ბერიანიძემ საბჭოთადროინდელი რუსულენოვანი სქელტანიანი დებულება ამოიღო უჯრიდან, სადაც ერთ-ერთი თავი საქართველოს სამაშველო სამსახურის ფუნქციონირებას შეეხება...(?)

ასე რომ, შპს თბილისის სამაშველო სამსახურისა და „კუს ტბა XXI “–ს მესვეურებს შორის დადებული „ხელშეკრულება № 2“–ში მითითებული „დამტკიცებული ნორმებით გათვალისწინებული ზომებისა“ და ვალდებულებათა ქართული ვარიანტი არ არსებობს... რაც შეეხება ამ ხელშეკრულებას, რომელიც, ჩემი აზრით, ნონსენსია, ბერიანიძე ამ აზრს არ დაეთანხმა და აღნიშნა:

– „ჩვენ ვალდებულებას ვასრულებთ ( კუს ტბა XXI –თან დადებული ხელშეკრულების მიხედვით), რომ უზრუნველვყოთ დამსვენებელთა უსაფრთხოება პლაჟზე... 8 ივლისს კუს ტბაზე მომხდარი შემთხვევის შესახებ მაშველებმა შეტყობინება გვიან მიიღეს. ნიკა ხურცილავა უკვე 6 მეტრის სიღრმეზე იყო ჩაძირული. ტბაში მხედველობა თითქმის არ არის. მღვრიე წყალია და ამიტომ უსკაფანდროდ ძნელია სამაშველო სამუშაოს შესრულება. ჩვენ ვარღვევთ შრომის კანონმდებლობას, როდესაც კუს ტბაზე 2 მაშველს ყოველდღე დილის 9 საათიდან ღამის თერთმეტის ნახევრამდე ვამუშავებთ. მე უკვე მოგახსენეთ, რომ კუს ტბის სამაშველო სამსახური, ათკაციანი ჯგუფითა და მედიცინის მუშაკით უნდა იყოს დაკომპლექტებული... რა ვქნათ? უჭირს ქალაქს, გვიჭირს ჩვენც...

მაშ, ასე: ომარ ბერიანიძემ აღნიშნა, რომ „მაშველებმა შეტყობინება გვიან მიიღესო“, შეტყობინება რაღად იყო საჭირო, როცა, მათივე განმარტებით, ნიკა დაცვისა და მაშველთა სამსახურებს არაერთგზის ჰყავდათ გაფრთხილებული არ შესულიყო აკრძალულ ზონაში... რა ხდება? მაშველებმა, რომლებიც თურმე დღის განმავლობაში დაუთვალთვალად აკონტროლებენ ბანაობისათვის აკრძალულ ადგილებს, „ურჩი მოცურავე“ ვერ შენიშნეს, ვიდრე არ მიიღეს დაგვიანებული შეტყობინება წყალში ჩაძირული ყმაწვილის შესახებ?!... ომარ ბერიანიძესთან საუბარმა უამრავი ეჭვი გამიჩინა:

**– „კუს ტბა XXI “–ის დირექციასთან საუბრის შემდეგ ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ თქვენი პასუხისმგებლობის საკითხი დგება... რა ევალება და როგორ იქცევა მაშველი, როდესაც ურჩ მოცურავეებთან აქვს საქმე?**

–ჩვენ საერთაშორისო ნორმების მიხედვით ვმოქმედებთ... თუ პლაჟზე (?!) დაიხრჩო ვინმე, ჩვენ მოგვეთხოვება პასუხს, რის მაშველები ვართ მაშინ? როდესაც ღრმად შედის წყალში მოცურავე, ამ შემთხვევაში დაცვის თანამშრომლებმა უნდა „გამოყარონ“ წყლიდან ურჩი მოცურავეები... ჩვენს ორ მაშველს არავინ დაემორჩილება... რატომ უნდა დადგეს მაშველების პასუხისმგებლობის საკითხი? თუ კარგად გაეცანით ხელშეკრულების ტექსტს... (საუბრის სტილი დაცულია)

აქ უკვე თემურ გეორბელიძე ჩაერთო ჩვენს საუბარში, რომელიც აშკარად უკმაყოფილო იყო ბერიანიძის პასუხით და ადამიანის უფლებების დაცვაზე ალაპარაკდა:

– ჩვენ ვერ დავარღვევთ ადამიანის კონსტიტუციურ უფლებებს და ძალით ვერ ამოვიყვანთ წყლიდან ურჩ მოცურავეებს, ასევე ვერც საჯარიმო სანქციებს დავაწესებთ, რადგან კანონი არ არსებობს ამის თაობაზე. ისე კი გამოძიება დაადგენს, ვინ აგებს პასუხს, და იყო თუ არა ეს ჩვენი გაუფრთხილებლობის გამო მომხდარი უბედური შემთხვევა... მაე ზღვაზე ქობულეთში უამრავი ხალხი იხრჩობა, მაგრამ... რამდენადაც ვიცი, ექსპერტის თქმით, ნიკა ხურცილავამ „მზის დაკვრა“ მიიღო...



თემურ გეორბელიძე

კაცი, რომელმაც პირველი ჩვენი შეხვედრის დროს, თავი საერთო საქმის დიდ მცოდნედ და პროფესიონალად გამაცნო, ამჯერად ყველა ღონეს მიმართავდა, თავი ემართლებინა... გამოგიტყდებით, მომეძალა უდიდესი სურვილი გამეხსნა „გორდიას კვანძი“.

ზემოთ აღვნიშნე, რომ „კუს ტბა XXI “–ის დირექტორის თქმით, ამ ობიექტისათვის „ორი მაშველი ამ ეტაპზე საკმარისია“ და დაამატა, რომ შეეცდებიან მომავალში ჰყავდეთ მყვინთავიც. ჩემთვის კი ამ ეტაპზე, საინტერესო გახდა, ვინ არიან კუს ტბის მაშველები და რა პროფესიული მომზადების კრიტერიუმს უნდა აკმაყოფილებდეს მაშველი სამსახურში მიღებისას? თუ გავითვალისწინებთ, რომ მათი ხელფასი 40 ლარს არ აღემატება, ამ საკითხების თაობაზე კომენტარი ომარ ბერიანიძეს ვთხოვე:

– შარშან კუს ტბაზე გამოცდილი მაშველი გია მაზიაშვილი მუშაობდა და შემთხვევაც არ გვქონია. წელს მაშველები არიან სერგო გარსევანიშვილი და ზვიად ხარძიანი. მათ არა აქვთ გავლილი სწავლების სპეციალური კურსები და ამდენად ისინი არაპროფესიონალები არიან...

ბერიანიძის ამ პასუხმა კვლავ გეორბელიძის გულისწყრომა გამოიწვია და მაშველების პროფესიონალიზმი ასე ამიხსნა: ესენი ზღვაზე გაზრდილი ბიჭები არიანო... ამ მეტად „დელიკატურ“ პასუხს, ბატონი ბერიანიძეც დაეთანხმა და დასძინა: მათი მუშაობისათვის აუცილებელია „კატარღა“ და არა მოტორიანი ნავიო.

**– რას იტყვით მყვინთავზე და, კერძოდ, ზურაბ გათენდაშვილზე, რომელმაც მაღალი პროფესიული დონე გამოავლინა... ადგილზე რომ ყოფილიყო მყვინთავი, იქნებ...**

– რაც შეეხება მყვინთავს, იგი სპეციალური კურსების გავლის შემდეგ იღებს ობიექტზე მუშაობის უფლებას. რაც შეეხება ზურაბ გათენდაშვილს, იგი პროფესიონალი მყვინთავია და წყალში ჩასვლისთანავე ამოიყვანა ყმაწვილი წყლიდან. რადგან „კუს ტბა XXI“–ის დირექციას მოეწონა მყვინთავის მუშაობა, მე იძულებული ვარ, დავარღვიო კანონი და თბილისის ზღვის სამაშველო სადგურიდან ზურაბი ამ ობიექტზე გადმოვიყვანო. მაგრამ, ამ ტერიტორიაზე, აუცილებელია ორი მყვინთავი მაინც...

ღმერთო, დაგვიფარე! რა საშინელი მოსასმენია: „დირექციას მოეწონა მყვინთავის მუშაობაო“, ესე იგი, საჭირო იყო მსხვერპლის შეწირვა, რომ მყვინთავს (რომელზეც მადლობის მეტი რა გვეთქმის) „კუს ტბა XXI “-ის დირექციის მოწონება დაემსახურებინა და ამ ობიექტზე მუშაობის დასტური მიეღო?! მანამდე ხომ არც თბილისის სამაშველო სამსახურს არ გახსენებია კუს ტბაზე მყვინთავის ინსტიტუტის შემოღება!? მაგრამ, რა მიკვირს... თუ ამ ორი იურიდიული პირის ხელშეკრულების ტექსტის მიხედვით ვიმსჯელებთ, გამორიცხული არ არის დირექციამ ხელშეკრულება „მარკშეიდერთან“ ან მეშახტესთანაც გააფორმოს, სასაცილოა, ნამდვილად, სატირალი რომ არ იყოს...

გთავაზობთ ზურაბ გათენდაშვილთან ჩემი საუბრის მოკლე ჩანაწერს. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ პროფესიონალმა მყვინთავმა მართლაც რომ დიდი ოსტატობა აჩვენა... აი, რა მიამბო მან: როგორც კი შეგვატყობინეს, ორმოც წუთში ადგილზე ვიყავით. ადგილობრივი მაშველები ნიკას ვერ გადაარჩენდნენ, რადგან წყალში მხედველობა არ იყო.

**– მყვინთავი რომ ადგილზე ყოფილიყო, იყო თუ არა ნიკას გადარჩენის შესაძლებლობა?**

– როგორც ვიცი, ნიკასა და მის მეგობრებს ტბა უნდა გადაეცურათ, გარკვეული მანძილის გაცურვის შემდეგ, ბიჭებმა გადაიფიქრეს და ნაპირისაკენ იწყეს გამოცურვა. ნიკას, შეიძლება ნაპირი შორს მოეჩვენა და შიშმა აიტანა. რაც შეეხება ნიკას გადარჩენას (თუ მყვინთავი ადგილზე იქნებოდა), ალბათ, შეიძლებოდა...

### თვითმხილველის ნაამბობი

**შევხვდი** 8 ივლისს კუს ტბაზე დატრიალებული ტრაგედიის თვითმხილველს, გაზეთ „დროს“ მთავარი რედაქტორის მოადგილეს შორენა დარჩიას. ამ ქალბატონმა 11 –17 ივლისის გაზეთ „დროში“ გამოაქვეყნა მასალა – „ეწვიეთ კუს ტბას... ნაპირიდან სამ მეტრში აღესრულებით!“ რომელშიც დაწვრილებით აღწერა ამ ტრაგედიის დეტალები. ჩვენს შორის გამართულ საუბარში გაირკვა, რომ შორენა შვილებთან და მეგობრებთან ერთად გაცილებით ადრე იყო კუს ტბაზე მისული, ვიდრე ნიკა და მისი მეგობრები, ამიტომ მან ყველაფერი აღნუსხა.

– „ქალის შემზარავმა კივილმა მოიცვა იქაურობა, ხმა იმ ნაპირიდან მოდიოდა მერიის პლაჟის სახელით რომ იცნობენ, ანუ „მოუვლელი პლაჟიდან“. მოტორიანი ნავი ხუთი წუთის შემდეგ მივიდა იმ ადგილზე. უცნობი ქალბატონი ტირილნარევი ხმით უყვებოდა მათ, რომ ბავშვი ახლახან ჩაიძირა სწორედ იმ ადგილზე... ნავიდან ორი მამაკაცი გადახტა წყალში და უსწრაფესად, ასე ვთქვათ, „ჩასკუპდნენ და ნავში ამოსკუპდნენ“... ეს იყო ნაპირიდან სამი მეტრის დაშორებით. არ ვიცი, ვინ იყვნენ ისინი, მაგრამ განაცხადეს, რომ ვერ ჩაყვინთავდნენ წყალში, რადგან არაფერი არ ჩანსო. რაც შეეხება გაფრთხილებას, სულ ორჯერ იყო. პირველად რომ „ძაღლი გაიყვანეთ წყლიდან“ და მეორედ – „ნავით „ბუიოკის“ (ტივტივას) აქეთ არ გადმოხვიდეთო“. მეტი გაფრთხილება არ ყოფილა. ჩვენ დღის პირველი საათიდან იქ ვიყავით. ეს ამბავი კი დაახლოებით ორიდან სამის ნახევრამდე მოხდა. ის, რომ დაცვამ ბავშვი ნაპირზე ამოიყვანა, როგორც ამბობენ, მტკნარი სიცრუეა. კიდევ ერთი, რამაც მე და ჩემი მეგობარი წონასწორობიდან გამოგვიყვანა: მთელი ამ დროის მანძილზე ერთი საათის განმავლობაში კუს ტბაზე სიმღერა „გიხაროდენ“ ჟღერდა“ –, გვიამბო ქალბატონმა შორენამ.

დამეთანხმებით, შორენა დარჩიას ამ მონათხრობს რაიმე კომენტარი არ სჭირდება.



**მინაწერი:**

**ჯერჯერობით** აქ დავსვათ წერტილი. დაველოდოთ, რას იტყვის მართლმსაჯულება, მანამდე კი... 20 ივლისს „კუს ტბა XXI“ თბილისელებსა და დედაქალაქის სტუმრებს დიდ შოუ-პროგრამაზე ეპატიჟება. ბუნებრივია, კუს ტბის მეპატრონეები შეეცდებიან შოუ-პროგრამა დასამახსოვრებელი გამოვიდეს. იქნება ზარ-ზეიმი და მხიარულება, მოილხენენ მასპინძლებიც, რომლებსაც ერთი წუთითაც არ გაახსენდებათ ორი კვირის წინათ ამ ტბაში 16 წლის ნიკა ხურცილავას ჩაფერფლილი სიცოცხლე, არ გაახსენდებათ თავზარდაცემული ნიკას მშობლები, რომლებთანაც, სამწუხაროდ, სამძიმრის სათქმელადაც მათგან არავინ მისულა!? კი, მოგეცათ ლხენა, კარგი იყოს შოუ, მუსიკა, გართობა, რა თქმა უნდა, თუ ამის განწყობა გაქვთ. მე რომ მკითხოთ, აქ უპრიანია გაგახსენოთ ერთი ქართული გამოთქმა „სხვისი ჭირი ღობეს ჩხირიო“.

მინდა შეგახსენოთ, განსაკუთრებით თქვენ, გულგრილობისა და გულცივობის ჭაობში ჩაძირულნო: სინდისი ღვთისაგან ბოძებული სიმდიდრეა, ჩვენი ცოდვა-მადლით შევსებული, უზენაეს სამსჯავროზე წარსადგენი საბოლოო განაჩენი,-სანეტარო სასუფევლის დამკვიდრებისათვის გამიზნული, რომელიც ყველა დაწერილ კანონზე მაღლა დგას და ჩვენი ცხოვრების წესს აკონტროლებს...

მაგრამ, თქვენ, სამწუხაროდ, მარტო დაწერილი კანონები გაშინებთ!!

**იამზე კიკნაძე,**
საქინფორმის კორ.

კალათბურთი

## ვის რას ვერჩით?



საქართველოს კადეტ კალათბურთელთა ნაკრები რიგაში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატის ფინალური რაუნდის „პლეი-ოფს“ მიღმა დარჩა. მერაბ ცირიკიძის გუნდმა უძლიერესი შემადგენლობის ქვეჯგუფში ბოლოსწინა, მეხუთე ადგილი დაიკავა და ნაადრევად მოუწია სამშობლოში დაბრუნება, მეოთხედფინალში კი იუგოსლაველები, ლიტველები, ესპანელები და თურქები გავიდნენ.

სანუკვარი მეოთხე საგზურისთვის ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბალტიისპირელებთან მეოთხე ტურში გამართულ მატჩს. „შინდისფერები“ ვაჟკაცურად უმკლავდებოდნენ მრისხანე მეტოქეს, მაგრამ, ასპარეზობის სტარტზე თურქებთან საბედისწერო შეხვედრის მსგავსად, ამჯერადაც ძირითადი დროის უკანასკნელ წამებზე დამარცხდნენ – 65:67.

დასკვნით სათამაშო დღეს ჩვენს ბიჭებს კიდევ რჩებოდათ მიზნის მიღწევის თეორიული შანსი. საამისოდ იტალიელებს თურქები უნდა დაემარცხებინათ, ოღონდ არაუმეტეს 43 (!) ქულისა, თორემ თვითონ მკვიდრდებოდნენ ელიტაში, ქართველებს კი ამ შემთხვევაში ესპანელებთან წაგებაც აწყობდათ. სამწუხაროდ, პირველი წყვილის დაძაბული დუელის ბოლო წამებზე მსაჯთა მიერ თურქთა სასარგებლოდ „დაშვებულმა“ ოთხქულიანმა შეცდომებმა „სკუადრა აძურას“ ზედიზედ მეხუთე ხელმოცარვა – 69:71 და ჩვენთვის ტურნირთან ვადამდელი დამშვიდობება გამოიწვია. ესპანელებთან ფორმალობად ქცეულ „გედის სიმღერაში“ ქართველი კადეტები მატჩის დასრულებამდე სამწუთნახევრით ადრე ცხრა ქულით იგებდნენ, მაგრამ მაინც მოახერხეს თამაშის დათმობა – 77:82. ბუნებრივია, იბადება კითხვა: როცა სამ შეხვედრას ბოლო წამებზე წააგებ, საკუთარი თავის გარდა, ვისთან გაქვს სასაყვედურო?

**ნათია შანშიაშვილი.**

ფეხბურთი

## ევროპის სტადიონებზე

გასულ ოთხშაბათს, ქუთაისის მსგავსად, ჩემპიონთა ლიგის I საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო შეხვედრები კონტინენტის კიდევ ცხრა ქალაქში გაიმართა. გაუწყებთ მათ შედეგებს:

„შამქირი“ – **„ბერი თაუნი“** 0:1 (0:2),
**„ვლაჟნია“** – „რეიკიავიკი“ 1:0 (1:2),
„კაუნასი“ – **„სლოგა“** 1:1 (0:0),
**„მოზირი“** – „ვაგური“ 5:0 (0:0),
„ლევადია“ – **„ბოჰემიანსი“** 0:0 (0:3),
**„ჰაკა“** – „ვალეტა“ 5:0 (0:0),
„ქელეზნიჩარი“ – **„ლევსკი“** 0:0 (0:4),
**„სკონტო“** – „დიუდელანჟი“ 0:1 (6:1),
**„შერიფი“** – „არაქსი“ 2:0 (1:0).

ჩემპიონთა ლიგის II საკვალიფიკაციო რაუნდის მატჩები 25 ივლისსა და 8 აგვისტოს გაიმართება. საქართველოს ორგზის ჩემპიონი ქუთაისის „ტორპედო“ დანიის „კოპენჰაგენს“ ჯერ შინ ეთამაშება.

**რუსეთი.** XVII ტური. „ტორპედო“ – „კრილია“ 0:4, ცსკა – „სპარტაკი“ 1:1, „ლოკომოტივი“ – „სატურნი“ 1:1, „ზენიტი“ – „ზილი“ 4:0, „სოკოლი“ – „როსტსელმაში“ 1:1, „ალანია“ – „დინამო“ 3:3, „ანჟი“ – „ფაკელი“ 2:0, „ჩერნომორეცი“ – „როტორი“2:3.

„კრილია“ – 33, „სპარტაკი“ – 32, „ლოკომოტივი“, „ზენიტი“ – 31-31, „ტორპედო“, „სოკოლი“ – 29-29, ცსკა – 27 ქულა.

**შვეიცარია.** III ტური. „სიონი“ – „არაუ“ 0:1, „ლოზანა“ – „ციურიხი“ 1:1, „ლიუცერნი“ – „ლუგანო“ 1:2.

„სიონი“ (4 თამაშიდან), „ციურიხი“, – 7-7, „არაუ“ – 6 ქულა.

**ავსტრია.** II ტური. „ტიროლი“ – „ბრეგენცი 5:0, „რიდი“ – „რაპიდი“ 2:2.

„ტიროლი“ – 6, „რაპიდი“, „რიდი“ – 4-4 ქულა.

**გერმანია.** ლიგის თასის ნახევარფინალი. „ბაიერნი“ – „ჰერტა“ 0:1, „შალკე“ – „ბორუსია“ 2:1.



სურათებზე: ასპარეზობის მომენტი; გამარჯვებულთა კვარცხლბეკი (მარცხნიდან) – ვასილ ხოსიტაშვილი, მირიან ონოფრიშვილი და დავით ჩოხელი.

ავტორის ფოტო.

ავტოსპორტი

## იუბილეს მიეძღვნა

საქართველოს საგზაო პოლიციის დაარსებიდან 65 წელი შესრულდა. ამ თარიღთან დაკავშირებით, შსს საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს (უფროსი კობა კობიაშვილი) და საქართველოს საავტომობილო ფედერაციის (პრეზიდენტი ვიქტორ თოდაძე) ინიციატივით გაიმართა საინტერესო შეჯიბრება ავტომანქანების სწრაფ და ფიგურულ მანევრირებაში. საასპარეზოდ გამოვიდნენ როგორც მთავარი სამმართველოს, ასევე თბილისის და დედაქალაქის სხვადასხვა რაიონის საგზაო პოლიციის თანამშრომლები, ასევე ავტოსპორტის გამოცდილი ოსტატები. ორ-ორი ცდის ჯამით გამოვლინდნენ გამარჯვებულები და პრიზიორები – მირიან ონოფრიშვილი, ვასილ ხოსიტაშვილი და დავით ჩოხელი, რომლებიც ფირმა „კოკაკოლამ“, სავალდებულო დაზღვევის ფონდმა, ავტომფლობელთა ფედერაციამ და საქართველოს საავტომობილო ფედერაციამ ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვეს.

**ალექსანდრე კოტორაშვილი.**



ჩოგბურთი

## „ჯეოსელის“ თასზე

ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე წლეულს მეორედ იმართება ჩოგბურთელ მამაკაცთა საერთაშორისო ტურნირი მობილური კავშირის კომპანია „ჯეოსელის“ თასზე 15 ათასი დოლარის საპრიზო ფონდით.

10 ქვეყნის 50-მდე სპორტსმენი ჩაება პირველობისთვის ბრძოლაში. მეთექვსმეტედფინალისტთა შორის 6 საქართველოს წარმომადგენელი იყო. ორი წრე ჩინებულად განელო ირაკლი უშანგიშვილმა. ასპარეზობის სტარტზე მან უზბეკ აბდულჰამიდ მაჰკამოვს სძლია 6:1,6:3, გუშინ კი „ჯეოსელის“ თასის შარშანდელ გამარჯვებულს არტიომ დერებასკოს დააყრევინა ფარ-ხმალი 7:5, 6:4. საგულისხმოა, რომ დერებასკო ახლახან უიმბლდონის ტურნირში მონაწილეობდა და საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. უშანგიშვილი დღეს მეოთხედ-ფინალში რუს მიხაილ ელგინს შეხვდება.

რაც შეეხება დანარჩენ ქართველ ჩოგბურთელებს, ისინი მეორე წრეს ველარ გასცდნენ. გიორგი რევაზიშვილმა მეთექვსმეტედფინალში თანამემამულე ლადო ჩიხლაძე დაამარცხა 2:1 (6:4, 6:7, 6:3), მაგრამ გუშინ თვითონაც წააგო ესპანელ კარლოს რექსაჩ-იტოიზისთან – 0:6, 4:6. ვლადიმერ კაკულიამ მხოლოდ პირველ პარტიაში გაუწია წინააღმდეგობა ლატვიელ რაიმონდას სპროგას (5:7), მეორე ხელი კი იოლად დათმო (1:6) და, ცხადია, ასპარეზობას გამოეთიშა. მისი ბედი გაიზიარა მე-2 წრეში მიხეილ ჩადუნელმა (მან პირველ წრეში მირიან ქორქაშვილს სძლია 6:2, 5:7, 6:2). იგი უზბეკეთის წარმომადგენელ, მეორე ნომრად განთესილ დმიტრი ტომაშევიჩთან დამარცხდა – 3:6, 4:6.

ქართველმა ჩოგბურთელებმა ვერც წყვილთა პაექრობაში იყოჩაღეს. გიორგი რევაზიშვილმა და ზვიად ცერცვაძემ იოლად წააგეს არტიომ დერებასკოსთან და აბდულ-ჰამიდ მაჰკამოვთან 2:6, 0:6, ხოლო ლადო ჩიხლაძე და ირაკლი უშანგიშვილი, რომლებმაც I წრეში თანამემამულეებს – კოტე ბურჭულაძეს და მირიან ქორქაშვილს სძლიეს 6:2, 7:6, გუშინ ალექსანდრ სიკანოვს და ალექსანდრ იარმოლას დანებდნენ – 3:6, 2:6.

დღეს ტურნირზე მეოთხედფინალური შეხვედრები გაიმართება.

**ლექსო ცინცაძე.**

ყოველი მხრიდან

### დაიწყო მეორე წრე

**დორტმუნდის** საერთაშორისო საჭადრაკო სუპერტურნირზე განახლდა დიდოსტატთა პაექრობა, მეექვსე ტურში მსოფლიო ჩემპიონი ფიდეს ვერსიით ანანდი დამარცხდა რუსეთელ ალექსანდრე მოროზევიჩთან, დანარჩენი მონაწილენი კი ყაიმს დასჯერდნენ: კრამნიკი-ტოპალოვთან, ხოლო ადამსი-ლეკოსთან.

ისე რომ, ახლა კრამნიკს 4 ქულა აქვს, ლეკოსა და ტოპალოვს – 3,5-3,5 მოროზევიჩს – 3, ანანდსა და ადამსს კი – 2-2.

### მაღალი ჯილდო – ფეხბურთელს

**სამშაბათს** ლონდონში, ბუკინგემის სასახლეში დედოფალმა ელისაბედ მეორემ ფეხბურთში ინგლისის ნაკრების ყოფილ კაპიტანს



ალან შირერს გადასცა ქვეყნის უმაღლესი ჯილდო – ბრიტანეთის იმპერიის ორდენი.

1996 წელს შირერი გახდა მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი. მასში „ნიუკასლმა“ 15 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაუხადა „ბლეკბერნს“.

ქვეყნის მთავარ გუნდში თამაშის დროს შირერმა მეტოქის კარში 30 ბურთი გაიტანა.

**სურათზე: ალან შირერი.**

### არმსტრონგიც იმარჯვებს

**მსოფლიოში** ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ და პრესტიჟულ მრავალდღიან ველორბოლაში „ტურ დე ფრანსე“ ადრე ორგზის გამარჯვებული, ამერიკელი ლენს არმსტრონგი ამჟამად ერთგვარად ჩრდილში იყო, თითქოს და გამარჯვებისაკენ, ლიდერობისაკენ არ ისწრაფვოდა, მაგრამ მაინც თანდათან წინ მიიწევდა, ათი ეტაპის შედეგების მიხედვით ის მეოთხე ადგილზე იყო. თუმც იმას კი აღნიშნავდა, რომ მთებში გიჩვენებთ ჩემს ძალასო და ასეც მოხდა: მან ჯერ მე-10 ეტაპზე გაიმარჯვა, შემდეგ კი მე - 11 ეტაპზეც – 32-კილომეტრიან სამთო გადარბენაზე შამპრუსში ყველას აჯობა. მისი შედეგი 1:07. 27 ზუსტად ერთი წუთით უკეთესია, ვიდრე მისი მთავარი მეტოქის, გერმანელი იან ურლიხის მაჩვენებლები. ამ წარმატებით ამერიკელმა საერთო ჩათვლაში მესამე ადგილზე გადაინაცვლა, ურლიხი მე-5-ზეა. ჯერჯერობით ფრანგი ფრანსუა სიმონი ლიდერობს.

უნივერსალი

## მეცნიერი, მწვრთნელი, დირექტორი



**პროფესიული** საფეხბურთო კლუბი „მაუდი“ ა. წ. მარტიდან არსებობს, თუმცა მის დაბადების დღედ რეგისტრაციაში ოფიციალურად გატარების თარიღი – 2001 წლის 11 ივლისი ითვლება. ჯერაც თოთო შპს-ს პრეზიდენტია ომარ თეთრაშვილი, ვიცეპრეზიდენტი კი – მიხეილ ბახტაძე. აქ უკვე ასამდე ჭაბუკი და ბავშვი ვარჯიშობს, ხოლო სექტემბრიდან 6-9 წლის მოზარდებსაც მიიღებენ. წელსვე სხვადასხვა ასაკის გუნდებს დებიუტი ექნებათ თანატოლთა ეროვნულ ჩემპიონატსა და თასის გათამაშებაში. დანარჩენზე კლუბ „მაუდის“ საფეხბურთო სკოლის დირექტორი და მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელი ირაკლი გორგოშიძე მოგითხრობთ.

### სადარბაზო ბარათი

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მათემატიკოსის სპეციალობით. თამაშს თავი სწორედ სწავლის პერიოდში დაანება. თავიდან მუშაობდა ქირურგიის ინსტიტუტის სამეცნიერო ენერგეტიკის განყოფილებაში, ფიზკულტურის ინსტიტუტსა და საბჭოთა კავშირის წყალბურთელთა ერთ-ერთ ნაკრების სამეცნიერო მეთოდური ჯგუფის წევრად. სპორტის საყვარელ სახეობას 1982 წელს განთქმულ 35-ე საფეხბურთო სკოლაში დაუბრუნდა. აქედან მოყოლებული, სხვადასხვა პერიოდში მოღვაწეობდა თბილისის „დინამოს“ მწვრთნელად სამეცნიერო მეთოდურ დარგში, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ნაკრები გუნდების განყოფილებასა და 16 წლამდე ასაკის ჭაბუკთა ნაკრებში, რომელსაც თვითმყოფადი მწვრთნელი რეზო გაგუა თავკაცობდა. ერთ დროს გიგა ნორაკიძესთანაც თანამშრომლობდა.

ჰყავს 21 წლის გოგონა და 17 წლის ვაჟი.

– **ჯერჯერობით** ჩვენი სავარჯიშო მინდორი საშუალო მდგომარეობაშია – იწყებს დიალოგს ბატონი ირაკლი – მაგრამ აუცილებლად მივხედავთ და დიდუბეში კეთილმოწყობილი ბაზა გვექნება. ძირითად დანიშნულებად 17-18 წლის ბიჭების ძლიერ კლუბებში დაწინაურება გვესახება, რაც ჩვენც დაგვეხმარება ფეხზე მყარად დადგომაში.

**– საბრძოლო ნათლობის მიღება თუ მოასწარით?**

– ჯერჯერობით მხოლოდ ახალი სკოლის გახსნისადმი მიძღვნილი თამაში გავმართეთ. გავიმარჯვეთ და მომავალ წარმატებებზე განაცხადიც გავაკეთეთ.

**– რატომ გაისმის ამ ბოლო დროს ხშირად, თითქოს ნიჭიერი მწვრთნელები არ გვყავდეს?**

– ვფიქრობ, უფრო პირიქით არის საქმე. კერძოდ, ახალგაზრდა სპეციალისტებს წინსვლის საშუალებას არ აძლევენ და ხელს უშლიან, შესაძლებლობათა მაქსიმუმი გამოამჟღავნონ. ასეთივე სიტუაცია იყო საბჭოთა ეპოქაშიც. აუტანელია, ადამიანი ათწლეულების განმავლობაში რომ ებღაუჭება სკამს და თავი უბერებლად მიაჩნია. ყველა უნდა შეეგუოს, რომ სამწვრთნელო ასაკი 35-დან 50 წლამდე მერყეობს. ვიდრე ამას გავითავისებთ, საშუალო თაობა იჩაგრება. მესმის, რომ ეკონომიკური ფაქტორიც მოქმედებს, მაგრამ როცა სპორტის კანონის შესაბამის მუხლების მოთხოვნებს დავიცავთ, აღარ მოგვიწევს გულსატკენი სიტყვების მოსმენა – საქართველოში ნორმალური მწვრთნელი არ მოიძებნებაო. სხვათა შორის, იმ დამრიგებელთა უმრავლესობას, ვისთან ერთადაც ვცდილობდი ძლიერი და პერსპექტიული ფეხბურთელების აღზრდას, მძიმე (და არა აუტანელი) ხასიათი ჰქონდა, მაგრამ მაინც ვამყარებდი მათთან კოლეგიალურ ურთიერთობას.

**– ორიოდე სიტყვას, ალბათ, ეროვნულ ნაკრებზეც გვეტყვით.**

– მოკლედ მოვჭრი – გუნდი უძლიერესი ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული, მაგრამ მათ გარკვეულ ნაწილს სწორ პოზიციას ვერ ურჩევენ.

**– და ბოლოს, როგორ წარმოგიდგენიათ ცხოვრება უფეხბურთოდ?**

– ძალიან გამიჭირდება. ვიმედოვნებ, დიდხანს ვიქნები სკოლის დირექტორი, მეტ დროს დავუთმობ პედაგოგიურ მოღვაწეობასა და ორგანიზაციულ საკითხებს, კვირაში ორ დღეს კი უსათუოდ დავისვენებ.

**ნია ტალახაძე.**

**სურათზე:** ირაკლი გორგოშიძე (მარცხნივ) და კლუბ „მაუდის“ ვიცეპრეზიდენტი მიხეილ ბახტაძე.

სპორტის რედაქცია.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## ალბომი

### ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



საჩხერის რაიონის სოფელ ჭორვილის ოთხწლიანი სკოლის პედაგოგები. პირველ რიგში – თამარ ბურძენიძე, ქუქუნა გულიაშვილი, თამარ ნადირაძე, ქენია მაჭავარიანი, თამარ იაკობიძე-მჭედლიშვილი.
მეორე რიგში – გიორგი ივანიშვილი, ვიქტორ ბიჭაშვილი და ვალერიან გამგებელი (მომღერალ ნუგზარ გამგებლის მამა).
1952 წელი.
ფოტო მოგვაწოდა ჯანგულ მჭედლიშვილმა.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

*რედაქცია გთხოვთ, მობრძანდეთ დაბეჭდილი სურათების ორიგინალებისათვის. დაკარგვის შემთხვევაში ჩვენ პასუხს აღარ ვაგებთ.*

## ღიმილის დოზა



პოლიციელმა გააჩერა ერთ-ერთ ტრასაზე საათში 101 მილის სიჩქარით მიმავალი ავტომანქანა. მივიდა მძღოლთან და ეუბნება:
– ამ ტრასაზე დასაშვებია მხოლოდ 65 მილის სიჩქარით მოძრაობა.
– კი მაგრამ იქ, ტრასის დასაწყისში 101 ეწერა.
– იდიოტო, ის ტრასის ნომრის აღმნიშვნელია.
– აუჰ, – შეწუხდა მძღოლი, – იქნებ დამეხმაროთ, ხმა მივაწვდინო ჩემს ძმას კარლოსს, რომელიც 405-ე ტრასაზე მიდის.

* * *

ახალგაზრდა კაცი ბაზარში ქათმების საყიდლად მივიდა. ეუბნება გამყიდველს:
– ისეთი ქათამი შემირჩიე, ქალწული რომ იყოს.
გამყიდველმა დიდხანს ეძება ისეთი, როგორსაც მყიდველი სთხოვდა. იპოვა და გაუწოდა ნახევრად გაპუტული და კოჭლი.
– რა იცით, რომ ეს ქათამი ქალწულია?
– მამალი რომ იყო, ზედ შეხედავდი?

* * *

ევა მეგობარ ქალს უყვება:
– ჩვენმა მოსამსახურემ ქმარი გადამირია.
– როგორ? – ცქვიტა ყურები ქალმა.
– ერთხელ დაინახა, რომ მოსამსახურე გოგო უთოს აფურთხებს. შეეკითხა, რას აკეთებო? იმან უპასუხა, რომ ასე ვიგებ, გაცხელდაო თუ არა უთო.
– ეს ხომ ჩვეულებრივი ამბავია.
– შენ ჩვეულებრივი თქვი, ჩემი ქმარი კი მას შემდეგ, კერძი რომ შემომაქვს, ამავე მეთოდით ცდილობს გაიგოს – ცხელია თუ არა.

## ტელევიზია – პარასკევი, 20 ივლისი

08.00 ალიონი 09.30 ტელესერიალი "ძილის წინ" 09.50, 00.05 ვიდეოპატრული 10.00, 20.55 სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" 10.30 მშვიდობისა და სიცოცხლისათვის 11.05, 18.20 სერიალი "საზღვაო პოლიცია" 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 თბილისის დროით 12.35 პოეზია ტანჯვაა - დ. ქუმბურიძე 13.00 ნაშუადღევს 14.00, 15.10 ჩოგბურთელ ვაჟთა თბილისის საერთაშორისო ტურნირი პირდაპირი) 17.00 50-50 18.00 ვუქტნიკი 19.10 მაესტრო 19.25 გმირი 19.40 ბასტი-ბუბუ 21.40 მშვიდობისა და სიცოცხლისათვის 22.15 ენა დედაა ერისა 22.35 ტელესერიალი "ძილის წინ" 00.15 მხ.ფ. "სხვისი ბილეთი"

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.05 იყო და არა 19.30 სერიალი "ზაფხულის საიდუმლო" 20.20, 22.05 მუსიკა 20.25 მხ.ფ. "დიკ ტრეისი" 22.10 აფხაზეთის ტელევიზია 22.50 მხ.ფ. "ალყა"

07.00 მუსიკა. 07.30 ტექს ავერი, რობინ ჰუდი 08.00, 12.00, 15.00 კურიერი 08.55 სერიალი "გვადალუპე" 09.50 სერიალი "ათასწლეული" 10.40 სერიალი "მამაცი რაინდი" 11.10 სერიალი "იოლი ფული" 12.15 მულტსერიალი 13.30 მხ. ფილმი 18.00, 21.00, 23.00, 03.30 კურიერი 18.30 სერიალი "მამაცი რაინდი" 18.55 სერიალი "სასწრაფო" 19.45 სერიალი "იოლი ფული" 22.00 ტელევიქტორინა "ვის უნდა ოცი ათასი" 00.05 მხ.ფ. "ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა" რეჟ. მილოშ ფორმანი. მთ. როლებში ჯეკ ნიკოლსონი6 ლუიზა ფლეტჩერი 02.30 სიმფსონები 03.00 სერიალი "წითელი ფეხსაცმლის დღიურები" 03.40 კლასიკა

იბერია მიმდინარეობს არხის რეორგანიზაცია 08.00, 20.00 ანონსი, მულტფილმი 08.15, 20.15 ალსავალი 08.20, 10.05, 11.40, 20.20, 22.10, 23.55 მუსიკა 08.25 მხ.ფ. "პროვინციალები" 10.10 მხ.ფ. "ალისფერი ნიშანი" 20.25 მხ.ფ. "კოლია" 22.15 მხ.ფ. "სურვილით დაბრმავებული"

ევრიკა 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 "ვესტი" 10.15 ზღაპრის ტელედარბაზი 10.45 სპორტული პროგრამა 11.45 მუსიკალური კოლაჟი 12.15 "სალონი" 13.45, 15.15 მხ.ფ. "ატომური კლდე" 18.30 თქვენი ადვოკატი 19.30 ზღაპრის ტელედარბაზი 20.00 მსოფლიო სპორტი 21.30 კრიმინალი, პოლიცია, საზოგადოება 22.00, 00.15 ძველი კინოკლასიკა მხ.ფ. "დიდი რბოლა"

IST 10.00 "ბისი".მხ.ფ. "ჩვეულებრივი დამნაშავე" 11.45, 21.00, 22.50, 00.55 კლიპ-მიქსი 14.00 კონცერტი 18.00 მულტფილმები 19.00 "Co.მედია" მხ.ფ. "პატარა ნიკი". მთ. როლში ადამ სანდლერი 19.30 "მორწმუნის ძლევამოსილი ხმა" 20.45 პროგრამა "F" მხ.ფ. "ერთადერთი გამოსავალი". მთ. როლში ბილი ზეინი 22.30 "ბრავო". მხ.ფ. "სეირნობენ, ლაქლაქობენ". მთ. როლში კეტრინ კინერი 00.15 "ღამურა" მხ.ფ. "დრაკულა-2000". მთ. როლში ჯონი ლიმილერი 01.50 ნონ-სტოპი.

## საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი მოწვევა საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე)

20 ივლისი, 2001 წ.

### ქ. თბილისში ვაკე-საბურთალოს მაგისტრალური წყალსადენის გადატანის სამუშაოები

1. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე) დაინტერესებულ ორგანიზაციებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ დალუქული კონვერტები საკონკურსო წინადადებით ქ. თბილისში ვაკე-საბურთალოს მაგისტრალური წყალსადენის გადატანის სამუშაოების წარმოებაზე, რაც მოიცავს ასფალტის საფარის დანგრევას, მილდენის ტრასის მოსწორებას, მიწის გატანას, 1460 მ სიგრძის ფოლადის უნაკერო მაგისტრალური მილის დ=530/12 შეძენა-მონტაჟს და მის გაძლიერებულ იზოლაციას, მონოლითური რ/ბეტონის კედლების მოწყობას და სხვა სამუშაოებს. (კონტრაქტის TBILISI/NCB №025/01).

2. საკონკურსო დოკუმენტაცია (და აგრეთვე, დამატებითი ასლები) კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ მუნიციპალური განვითარების ფონდში მისამართზე: თბილისი, 280077, ვაჟა-ფშაველას გამზ. № 41, ტელ: 94-32-40; 94-29-47, ფაქსი: 94-04-39, თითოეული კომპლექტისათვის აუნაზღაურებადი 50 ლარის გადახდისას შემდეგ ანგარიშზე:
თბილუნივერსალბანკი,
თბილისი,
კოსტავას 70,
ანგარიში № 3608000763
ბენეფიციარი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

დაინტერესებულ მონაწილეებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ოფისში.

3. საკონკურსო წინადადებები ძალაში უნდა იყოს 90 დღის განმავლობაში კონკურსის გახსნის დღიდან და მათთან უნდა ახლდეს წინადადების საბანკო გარანტია 8.000 ლარის ოდენობით (ან ეკვივალენტურ თანხაზე კონვერტირებად ვალუტაში). საკონკურსო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში ზემოთ აღნიშნულ მისამართზე არაუგვიანეს 2001 წლის 20 აგვისტოს 12.00 საათისა. ყველა საკონკურსო წინადადება გაიხსნება კონკურსის იმ მონაწილეთა თანდასწრებით, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს დაესწრონ წარმოდგენილი წინადადებების გახსნის პროცედურას.

### ქ. ქუთაისში ჭავჭავაძის გამზირის კაპიტალური შეკეთება

1. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე) დაინტერესებულ ორგანიზაციებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ დალუქული კონვერტები საკონკურსო წინადადებით ქ. ქუთაისში, ჭავჭავაძის გამზირის კაპიტალური შეკეთების სამუშაოების წარმოებაზე, რაც მოიცავს 1290-მეტრიან მონაკვეთზე გზის საფარის მოწყობას, ტროტუარების და ბორდიურების მოწყობას, 60 ცალი სხვადასხვა დანიშნულების სათვალთვალო და 16 ცალი ღვარსადენი ჭების ამოწევას, ქუჩებთან მიერთებების და კორპუსებთან მისასვლელების მოწყობას და სხვა სამუშაოებს. (კონტრაქტის KUTAISI/NCB №001/01).

2. საკონკურსო დოკუმენტაცია (და აგრეთვე, დამატებითი ასლები) კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ მუნიციპალური განვითარების ფონდში მისამართზე: თბილისი, 380077, ვაჟა-ფშაველას გამზ. № 41, ტელ: 94-32-40; 94-29-47, ფაქსი: 94-04-39, თითოეული კომპლექტისათვის აუნაზღაურებადი 50 ლარის გადახდისას შემდეგ ანგარიშზე:
თბილუნივერსალბანკი,
თბილისი, კოსტავას 70,
ანგარიში № 3608000763,
ბენეფიციარი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

დაინტერესებულ მონაწილეებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ოფისში.

3. საკონკურსო წინადადებები ძალაში უნდა იყოს 90 დღის განმავლობაში კონკურსის გახსნის დღიდან და მათთან უნდა ახლდეს წინადადების საბანკო გარანტია 8.000 ლარის ოდენობით. საკონკურსო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში ზემოთ აღნიშნულ მისამართზე არაუგვიანეს 2001 წლის 20 აგვისტოს 12.00 საათისა. ყველა საკონკურსო წინადადება გაიხსნება კონკურსის იმ მონაწილეთა თანდასწრებით, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს დაესწრონ წარმოდგენილი წინადადებების გახსნის პროცედურას.

## ხსოვნა

### შალვა თურმანიძე



მოულოდნელად შეწყდა სიკეთითა და სითბოთი სავსე კაცური კაცის, გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობის საბინაო-კომუნალური გაერთიანების დირექტორის ბატონი **შალვა იოსების ძე თურმანიძის** გულისცემა.

უზომოა თითოეული ჩვენგანის მწუხარება, ვინაიდან ღრმად გვწამს, რომ საქართველოს არ ჰყავს დასაკარგი ბატონი შალვასთანა უანგარო, კეთილშობილებით აღსავსე კაცი, რომელსაც ჯერ კიდევ ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთება შეეძლო. ახლა უკვე ვცდილობთ გავიხსენოთ მის გვერდით გატარებული წუთები, ზოგიერთისათვის ეს წუთები გაზაფხულის 51 გაელვებაა, რომლის გახსენებისას იგი თვალწინ დაგვიდგება, როგორც ჭირში და ლხინში ყველასათვის მხარში მდგომი, დაფიქრებული, აწონილი სიტყვის პატრონი, სულით უტეხი და ვაჟკაცური კაცი. დავიწყებაც კი შეუძლებელია იმისა, თუ რა თავდადებით ემსახურებოდა ბატონი შალვა მინდობილ საქმეს, იგი წლების მანძილზე მუშაობდა მთაწმინდის რაიონის გამგებლის მოადგილედ, სადაც, როგორც საქმისადმი უანგარო დამოკიდებულების მქონემ დამსახურებულად მოიპოვა კოლეგების, ახლობლების და მეგობრების საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა.

მუდამ თავაზიანი, იუმორის გრძნობით დაჯილდოებული ჩინებული მოქალაქის, ნაღდი თბილისელის, გულითადი მეგობრის, მოსიყვარულე მეუღლის, მამის და ბაბუის მიერ სამაგალითოდ განვლილ ცხოვრებაზე თითოეულ ჩვენგანს დარჩება ტკბილი მოსაგონარი, მისი უეცარი წასვლით გამოწვეული უდიდესი გულისტკივილი, მაგრამ გვწამს, რომ ნუგეშად დატოვებულ მის თბილ ოჯახს, კაცურად გაკვლეულ გზას დავიწყება არ უწერია.

მსუბუქი ყოფილიყოს თქვენთვის, ბატონო შალვა, მშობლიური ქართული მიწა, რომელიც აწ უკვე ასე ნაადრევად სამუდამოდ ჩაგიკრავთ გულში.

**თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობის თანამშრომლები.**


## ხელმომწერთა საყურადღებოდ!

გრძელდება ხელმოწერა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაზე" 2001 წლის მეორე ნახევრისთვის. შეგახსენებთ, რომ ხელმოწერა გაიაფებულია და პრესის გამავრცელებელი ორგანიზაციების ექსპედირების ხარჯის ჩაუთვლელად ერთი თვის ღირს 13 ლარი, სამი თვით – 39 ლარი, ექვსი თვით – 78 ლარი.

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა".**


საქართველოს კონტროლის პალატა თანაუგრძნობს საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანს ბატონ ვალერი ხაბურძანიას დედის
ქუქუნა ხაბურძანიას
გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

სულხან მოლაშვილი ოჯახით თანაუგრძნობს ბატონ ვალერი ხაბურძანიას დედის
ქუქუნა ხაბურძანიას
გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

ედვარდ სურმანიძე თანაუგრძნობს საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანს ბატონ ვალერიან ხაბურძანიას დედის
ქუქუნა ხაბურძანიას
გარდაცვალების გამო.

---

ვლადიმერ პატარიძე ოჯახით თანაუგრძნობს ბატონ ვალერი ხაბურძანიას დედის
ქუქუნა ხაბურძანიას
გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამგეობის საბინაო-კომუნალური გაერთიანების დირექტორი
შალვა იოსების ძე თურმანიძე
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.
პანაშვიდი 22, 23 VII 6 სთ. გამოსვენება სამშაბათს, 24 VII 3 სთ. კორნელი კეკელიძის 6.

---

თეიმურაზ კინწურაშვილი ოჯახით თანაუგრძნობს გია და ლიკა ხუნწარიებს, მაია მეხაშიშვილს და მერაბ კინწურაშვილს დედის, დედამთილისა და სიდედრის
ლეილა გაგოშიძის
გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

შვილები მურთაზი, მანანა, ნანა, და ლეილა, ძმა ზურაბი, რძლები მარინა გოგოხია, ნონა ჩიქოვანი, სიძეები ოთარ ბაღათურია, ზაურ ჩანჩიბაძე, ლევან მეგენეიშვილი, შვილიშვილები თემურ, გია ჯეჯეიები, თეა, ეკა ჩანჩიბაძეები, ნინო, ზურა მეგენეიშვილები, მძახალი ცირა ხუციშვილი, ბიძაშვილები, დისწულები, ძმისწულები, ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
თალიკო ბაგათელია
პანაშვიდი 20, 21 VII 5 სთ., გამოსვენება 22 VII 3 სთ., ნუცუბიძის პლატო, IV მიკრორაიონი, კორპუსი 18, ბინა 31.

---

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მათემატიკოსის ოთარ წერეთლის მეუღლე
მანანა სინაურიძე
და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

საზოგადოება „ოზურგეთის" გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული აგრონომი, „აფხაზეთის განთავისუფლების პარტიის" გურიის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენელი გურიის რეგიონში
ანზორ ივანეს ძე დუმბაძე
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

## ხსოვნა

### ანზორ დუმბაძე

გარდაიცვალა თვალსაჩინო პიროვნება, ცნობილი საზოგადო მოღვაწე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს წარმომადგენელი გურიის მხარეში, „აფხაზეთის განთავისუფლების პარტიის" რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, აფხაზეთის დამსახურებული აგრონომი **ანზორ ივანეს ძე დუმბაძე**. ღირსეული პიროვნება დააკლდა ქართულ ინტელიგენციას, კიდევ ერთი მამულიშვილი აფხაზეთში საკუთარ სახლში დაბრუნების აუხდენელი ოცნებით გულმკვდარი წავიდა ამ ქვეყნიდან.

საინტერესო და რთული გზა განვლო ბატონმა ანზორ დუმბაძემ. იგი დაიბადა 1936 წლის 18 ივნისს, ოზურგეთის რაიონის, სოფ. შემოქმედში.

1961 წელს საქართველოს სუბტროპიკული ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ბატონი ანზორი სხვადასხვა დროს მუშაობდა ეშერის სასწავლო მეურნეობის აგრონომად, მმართველად, კომკავშირის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის განყოფილების გამგედ, 1967 წლიდან ქ. სოხუმის გამწვანების სამმართველოს უფროსად, სადაც თავი გამოიჩინა, როგორც უნარიანმა სპეციალისტმა და ხელმძღვანელმა. მისმა გულისხმიერმა დამოკიდებულებამ საქმისადმი, სიკეთით გამორჩეულმა ბუნებამ თავისი განუმეორებელი იერი შესძინა აფხაზეთის დედაქალაქს.

აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიის პირველი დღიდან ბატონი ანზორი ჩადგა ქ. სოხუმის დამცველთა რიგებში, იყო ქალაქის სტაბილიზაციის კომიტეტის წევრი. ბატონი ანზორი დევნილობის პერიოდში ასრულებდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს რწმუნებულის მოვალეობას გურიის რეგიონში. მისმა მუხლჩაუხრელმა, გულისხმიერმა შრომამ და თანადგომამ დევნილი თანამემამულეებისა და მათი ოჯახებისადმი, განაპირობა მრავალრიცხოვანი პრობლემების მოგვარება და აუტანელი გაჭირვების შემსუბუქება. ამავე დროს ბატონი ანზორი იყო კულტურისა და სპორტის დიდი ქომაგი და გულშემატკივარი. არჩეული იყო აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის საპატიო პრეზიდენტად, თვად ყოფილი სპორტსმენი, მუდმივად მხარში ედგა აფხაზეთის დევნილ საფეხბურთო კლუბ „ცხუმს".

მისთვის განსაკუთრებულად სათუთ და მტკივნეულ თემას ქართველი და აფხაზი ხალხის ძმობასა და მეგობრობას მიუძღვნა წიგნი „ჩატეხილი ხიდი", მრავალი ნოველა და მოგონებები.

ყოველივე ამის გამო, მან დაიმსახურა აფხაზეთიდან დევნილი საზოგადოების საყოველთაო მადლიერება და პატივისცემა. სამწუხაროდ, იგი ვერ მოესწრო სახელმწიფოს უმაღლეს ჯილდოს, ღირსების ორდენს, რომელზეც წარდგენილი იყო აფხაზეთის ხელისუფლების მიერ.

მზრუნველი მამა, ერთგული მეუღლე დააკლდა ოჯახს, ღირსეული მამულიშვილი საზოგადოებას.

კეთილი, ნათელი, თავის ხალხზე და ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებული ადამიანის მაღალი მოქალაქეობრივი და ზნეობრივი თვისებების მატარებელი ბატონი ანზორ დუმბაძის ხსოვნა მუდამ დარჩება მისი საყვარელი ხალხის გულში.

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო;
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო.**

### ალექსი მელიქიძე



გარდაიცვალა რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, პოეტი, ღირსების ორდენოსანი **ალექსი ვლადიმერის ძე მელიქიძე**.
დაიბადა 1928 წელს. გორის პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, მთელი თავისი სიცოცხლე მომავალი თაობების აღზრდას შეალია. დაუღალავი [illegible] შრომა – 1969 წელს რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება მიანიჭეს. ავტორია მრავალი ლექსისა, რაც წიგნადაც გამოიცა.

სამშობლოს სიყვარულით, მესხეთის სიყვარულით ცოცხლობდა, ოცნებობდა აყვავებულ საქართველოზე.

ბატონი ალექსის ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება მისი მეგობრებისა და ახლობლების გულში.

დიდება მის კეთილ სახიერებას მარადიულ სასუფეველში.

**მეგობრები.**

საქართველოს პარლამენტი ღრმა მწუხარებას გამოხატავს საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის, ბატონ ვალერი ხაბურძანიას დედის, ქალბატონ
ქუქუნა ხაბურძანიას
გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს გენერალური პროკურატურა სამძიმარს უცხადებს საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანს ბატონ ვალერიან ხაბურძანიას დედის
ქუქუნა ხაბურძანიას
გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ხელმძღვანელობა და პირადი შემადგენლობა ღრმა მწუხარებას გამოთქვამს საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის ბატონ ვალერი ხაბურძანიას დედის
ქუქუნა ხაბურძანიას
გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია თანაუგრძნობს ბატონ ვალერი ხაბურძანიას დედის
ქუქუნა ხაბურძანიას
გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელობა და მთელი პირადი შემადგენლობა, ღრმა მწუხარებას გამოთქვამს საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის ბატონ ვალერი ხაბურძანიას დედის
ქუქუნა ხაბურძანიას
გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო თანაუგრძნობს საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანს ვალერიან ხაბურძანიას დედის
ქუქუნა ხაბურძანიას
გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლები თანაუგრძნობენ საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანს ბატონ ვალერიან ხაბურძანიას დედის
ქუქუნა ხაბურძანიას
გარდაცვალების გამო.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

**რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!**

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-98"

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, როლანდ ბასილაშვილი, გურამ ბოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, გიორგი ლალიაშვილი, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბექა ჭედია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - „საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი ოთარ ხუციშვილი.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა – PRESS-98@CAUCASUS.NET

იბეჭდება შპს „ნეა-ინტერმედიის" სტამბაში. რ. აგლაძის 39.